

# ჩვენი მწერლობა



გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

21 აგვისტო 2009

№17(95)



1516  
2009

კობა იმედაშვილი ნიკო სამადაშვილზე  
პაროლდ პინტერის სანობელო ლექცია

ნიკოლოზ ჩუბინიძის ნოველა  
ჯონ სტაინბეკის საიდუმლო  
რას ამბობს ყურის ბიბილო  
მზე თიხასა და სიტყვაში  
გია კობახიძის ლექსები  
პოეტური ანდერძი



# წიგნის თარო



დაუფინანსარი სახელები	2	კობა იმედაშვილი „ორმოცდაათი წლის მერა ბაიბაგაძე ჩემს ვულნისთქმას“... (ნიკო სამადაშვილის)
არი და ბაფინანსარი	6	როსტომ ჩხეიძე ჯონ სტანიცხაქის საილუმოლო
კალნაარსი	10	2009 — კნუტ პასუნის წალი
მასარს-ინბარირი	11	პაატა ჩხეიძე კვდომა-აღდგომა (მომზადა ნატა ვარადამ)
დრამატურბი	12	რეზო შეიშვილი, ემზარ კვიტიაშვილი სამინა (მბატრული ფილმი სამ დროდ და ხუთ გადსელად)
პროზა	22	ნიკოლოზ ჩუბინიძე ...ეცვი, თუ გინდა (თანამედროვე ამბავი)
პოეზია	24	გია კობახიძე „ტყუი ირთადერთს ვადგავარ გილიქს“ და სხვა ლექსები
მნიშობა	28	პაროლდ პინტერი ხალოვნება, ჭამბარითება და პოლიტიკა (2005 წელს ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე წარმოთქმული სიტყვა)
მონაწიანა სიბრბი	34	ნანა კოტეტიშვილი მე და ვახუშტი
რანობრბი	36	თამარ ღონღაძე მზა თინასა და სიტყუვბი
კრბბბა	39	ინგა მილორაგა სიტყუიარი ზადვას მადლი (ეკა ფხალაძის ნოელები)
მწოდრო პაუაზა	42	რუსუდან ნიშნიაიძე ამერიკის „რჩაული ლიტარატურის“ ძარბივილი ავტორი (გიორგი პაპაშვილი)
მარბი ხალოვნება	46	რეზო ადამია მიქაელაწავალო კვდოგადა!
მამონაწიანა	47	მარინე ტურაგა პოეტური ანდარბი (რევაზ თაბუკაშვილი)
მბბა	49	ნინო ჯაგელიძე „მბრისის ანუ მუხანათის ანუ იმბარბის“ მინაზა მონასხა ტრბბა ისტორიიდა
სალოარბის საბაბ	54	ეკა ბუჯიაშვილი ახალი ტაბარი მბბა უბანბი
პოეზიის მარბობაწება	55	აიათოლა ხომეინი საბრზობალო ლირიკიდა
საორბი	57	როდ ლივიარის საბი მცნება
მსოვლი წოვბა	61	ივან ბუნინი ქაპკასის
მონაბა	63	რას ამბობს ყურის გიბილო

2

ორკვირული ჟურნალი  
 „დამფუძნებელი „ილიონი“  
 მისამართი: თბილისი,  
 ჩუბინაშვილის №41  
 რედაქცია – (995 32) 96-20-62  
 რეკლამა – (995 93) 65-93-68  
 გაერცელება – (995 77) 11-24-30  
 ფაქსი: (995 32) 96-20-62  
 E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე  
 პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი  
 პოეზიის რედაქტორი – მკაე ვოხაძე  
 კრიტიკოსა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი  
 მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი  
 სტილისტი-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დეკორაციონება – თენგიზ რობიაშვილი  
 ოპერატორი – თამარ ჩხეიძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი  
 გაერცელების სასაბუხი – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: შატალი, ბაბუა აღუდაურის ფოტოეტიუდი  
 ნინო ვახანია, მურმან ჩარუას ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 სექტემბერს



კობა იმედაშვილი

## „ორმოცდაათი წლის მერს გაიბეჯა ჩემს გულსიტყვას“...

პატარა რომ ვიყავი, შინაურთა თუ სტუმართა გასახალისებლად წარმოედგინას ემართადი. კარგად მახსოვს, ოტელის მონოლოგს ვკითხულობდი, ბოლოს სანოლზეც გადავიტყეოდი სიტყვებით: „და დეკალ აი, ასე“ და სანამ ვინმე არ ამაყენებდა, ვინეტი. მაგრამ ამით არ მთავრდებოდა ყველაფერი, ერთი ლექსიც უნდა მეთქვა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „გაუმარჯოს დიდ სტალინს, ვოროშილოვს, ბერიას“, თანაც ხელი ჯერ სადღაც შორს, სტალინისკენ, უნდა გამემშორა, მერე აქვე, ჩვენსავე ოთახში კედელზე ჩამოკიდებულ ვოროშილოვის სურათისკენ და, ბოლოს, ისევ სადაღაც შორისთვისკენ, ბერიასკენ...

რომ გავიზარდე და ტყუამი ჩავეარდი, სულ მივიკრდა, რა უნდოდა ვოროშილოვის სურათს ჩვენს ოჯახში ან რატომ ვამბობდი ამ ლექსს... კარგა ხანს ეკიდა ეს სურათი... ბოლოს, 1983 წელს, პაპაჩემს, ოსებ იმედაშვილის, ოუბი-ლესთვის მზადების დროს, კედლიდან ჩამოხსნილი ვოროშილოვი ყველამ ვხეებში ებლანდებოდა და დედაქვეშა, ერთადერთმა კომუნისტმა ჩვენს საგვარეულოში, ფეხი გავრა, „რა გააძვირა საქმეო“. შუმა გატყდა, ვოროშილოვის სურათი გაიხა და მის უკან რაღაცეა გამოჩანდა. ავიბიეთ ვოროშილოვი და ხელთ ნოე ფრადინიას პორტრეტი შევცურა, 1920 წელს ნატურადან დახატული ცნობილი პორტრეტისტი, კოტე ქვათარაძის, მიერ — თავისუფალი საქართველოს სახსოვარი და სიმბოლო.

ასეთი იყო ჩვენი ცხოვრება, ორმაგი, სამმაგი... მრავალ შრეში მფუფთული, დახურული და დაგმანული გარე თვალისაგან.

პაპაჩემი, ახალგაზრდობაში რევოლუციონერი, მიჩვეული იყო ამ ყოველივეს, როდესაც ჯერ კიდევ მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, დამწყებ წინთომოვაქრეს და გამომშემელს, ლეგალური ნივთების ყუბები აკრძალული ნივთები პერდას მიქმალდა... ახლა მას უკვე დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნების დაფარვა უნდევდა... ეს ძნელი იყო მისთვისაც და ჩვენთვისაც...

1924 წელს, მის ფრანკლინ „თეატრი და ცხოვრება“, დაიქტადა უცნობი მხატვრის ვარლამ მახარობლიძის ნაბატი, ნოტბალური, არაფრისმთქმელი წარწერით „თანამედროვე კულტურა“, მაგრამ ახლა რომ ვუყურებ ამ ფანტასმაგორულ სასაქლავს, მეორე მხარეს ვაღა. კტონის ლექსის შინაწერით: „აქ მკვდრები დაქაირან ზაბარული რამებით და ბედის ეტლები, რომელთაც ჰაერი სიკვდილით დაფარეს“ („დროშის“). ამკარად ჩანს, რომ იგი 1921 წლის სისხლიანი დღეების გამოხსილია. იქნებ ამიტომაც ეს ნოტიერი მხატვარი ვერ შეეგუა საბჭოთა სინამდვილეს და საბჭოთა სინამდვილეც ვერ იცუა იგი.

მერე, იქვე 1926 წელს, ფრანკლის დახურვის წელს, ოსებ იმედაშვილი გადაწყვეტს ერთი უცნობი ავტორის ლექსის დაბეჭდვას, ნაწერს კიდევ ლექსის ფურცელს ზემოთ, კუბები „მთავლიტს“. **ი. 22**<sup>1</sup>. მაგრამ ეს ალბათ მის მიერ მთავლიტში

გაგზავნილი ბოლო ტექსტია, რადგან მარტის თვეში შუქრებული ფრანკლის გამოცემას გაგრძელება აღარ ეწერა. არადა, მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ ეს ლექსი თავისი მხატვრული სიხალბით, მოქალაქეობრივ სინდისურებითა და გამბედაობით, სხვებისაგან განსხვავებული ხიზლით:

სიცოცხლე ჩემო, ვეღარ შეამჩნევ  
ხეობის გაღმა მონასტრის ზარებს.  
აღმოსავლეთი ღმუილს შევაჩვენებს.  
ზღვის ქარი ნახირს გამოცხარებს.  
ბედუნებში შევად მდიანა.  
ტყის მცველს დაენვის მუხის საფანე.  
სიცოცხლე წადო, საშობ ომიდან,  
სიმღერით სადმე გადამიყვანე.  
ახოელი ვარ. შუბებს მოვლუნავ?  
გორაკებთან წლები დგებთან.  
მნამს მოვარდნილი საუფუნო,  
ჩვენ სისხლის ტებთან დაფიქრებთან.  
ცის ვრცელ ლაფარებებს კვამლი ერევა.  
ღვთის ანგელოზი მსხვერპლად დაიკვლის.  
გავერანებულ ბერების გვერდით,  
მთხოვარ ბავშვების ხროვა გაიკვლის.  
სიცოცხლე ჩემო, ვინ, მაინც, ისევე,  
დაიწყებ მოდვას, შინ ნამოთხალევი.  
და ნამებული, ვით მშვიდი ქრისტე!  
მინიდან ნახვალ ნამტრარაღვი.

1926 წ

1926 წლის მარტის თვის შემდეგ ფრანკლი „თეატრი და ცხოვრება“ აღარ გამოისულა და ვერც ეს ლექსი — „მომავლის ნახევი“ — დაბეჭდვა, რომლის ავტორი ახალგაზრდა კაცი, ოცდაერთი წლის ნიკო სამადაშვილი გახლდათ.

ოსებ იმედაშვილმა თავის დროზე ბევრ მწერალსა თუ მხატვარს ააღმეგინა ფეხი ამ ფრანკლით, მაგრამ ნიკო სამადაშვილსა და საქართველოს ბედმა ისე იჩინა, რომ სწორედ ახლა ჩაკეტლიყოს ის კარი, რომელიც სად მიიყვანდა პოეტ სამადაშვილს, კაცმა არ იცის, რადგან ასე წერა და აზროვნება, არამეტუ ბეჭედა, მაშინ და მერეც არ შეიძლებოდა. თუმცა დაქტერას მაინც ვერ გადარჩა. 1943 წელს დააპატიმრეს და სამკოთა ხელისუფლების დამხობის მონა-დებისთვის ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯეს (რეაბილიტირებულ იქნა 1989 წელს). მადლობა ღმერთს, მხოლოდ ერთი წელი იჯდა.

მხატვრულ ტექსტს სოველი ჩვენგანი ჩვენი ტყუსისა და გემუნების მიხედვით ვკითხულობთ და და მესამე კაცი, ალბათ, საქორი არაა, მაგრამ მაინც მინდა გთხოვოთ, დაფიქრდეთ, რა დგას ამ სახეების მიღმა, რაგონ ამბობს ამას პოეტი და როგორ ამბობს: „ვეღარ შეამჩნევ ხეობის გაღმა მონასტრის ზარებს“, „ტყის მცველს დაენვის მუხის საფა-



ნე", „მამას მოვარდნილი საუკუნენი, ჩვენ სისხლის ტბებთან დაფორდებიან“, „ღვთის ანგელოზი მსხვერპლად დაიკვლის, გავერანგებულ ბერლინის გვერდით, მთხოვარ ბავშვების სროვა გაიკლდეს...“ მართალი გიხიბრათ, აქ „ბერლინის“ სხენება ვერაფრით ავსხენი... პირველ მსოფლიო ომში ბერლინის არაფერი მსგავსი არ დაშრთინა, მეორედვე დიდი დროა... მაგრამ ამ ყოველივეს თუ საშინველობა ხატად აღიქვამათ, ბერლინის გვერდით „მთხოვარ ბავშვების“ წარმოდგენა მართლაც მძიმე სურათის უკმირს, მაგრამ 1945 წლის ტრაგედია ოცდაათი წლის წინ დაწერილ სამადავიცილის ლექსში წინასწარმეტყველებულად რატომ უნდა ასახულიყო? თუქვა არ იცია... ერთი კვა, როცა ამაზე ვმსჯელობდი, ზახა აზნაინიძემ მარტოვად გადამინფიცია ყველაფერი: „ბერლინის ნაცელად მანდ რაღაც სამხარცე-ლიანი სიტყვა უნდა იყოს, ალბათ თბილისი“. მაშინ ყველაფერი თავის ადგალზე დგება. ეს მწვენიერი ლექსი ეპოქის საშინველბასთან გვაჯახებს (ცხვირ-პირით, იმასთან, რაც დაგვემართა 1921-24 წლებში.

ასეა თუ ისე, იგი მაშინ ვერ დაიბეჭდა ორი უზრალო მიზეზის გამო: „თეატრი და ცხოვრება“ დაბრუნეს და მთავლბრტვი მის დაბეჭდვაზე ნებართვას არ მისცემდა. ამასი დარწმუნებული ვარ.

არადა, ამ ლექსს სასონარკვეთლი ავტორის, ახალგაზრდა ამბიციური კაცის დიდი იმედები და იმედების მსხვერპლაც ახლდა თან. სამი სასონარკვეთილი წერილი აქვს გამოვხადნილი 26-27 წლებში ნიკო სამადავიას „თეატრი და ცხოვრებას“ პასუხისმგებელ მიღმართან, შალვა იმედავილთან, ისევე მიღმართული უფროს ვაითან, რომელიც 1924 წლის აჯანყებლასთან დაკავშირებით უკვე ნაფდომი იყო და ძლივს დაიხსნა იგი მამისმა... ცუდ დროს და, საბჭოეთის შეზღუდვებით, ცუდი დამხმარებლის იმედი ჰქონდა ახალგაზრდა პოეტს. ამ სამი წერილი უკიდურესი სასონარკვეთია ისმის მარტოსული და მისუბაერი ადამიანისა:

„მეგობარო შალვა, როგორც ვატყობ, თქვენი ჟურნალის ზეზემი კვლავ შეზნელდა. მე კი ამდენი ლოდინი სული შევუბება, განსაკუთრებით როცა ვუწმენ უდელი და ფულისთვის შეთობნილი ჟურნალების „პაზარს“.

ვერ გაიბედა, ოხერი ბედი ძეძვის ღობესავით რად შემოშრტვა, ისეც ტანჯული და უბედური ადამიანს.

მინდა სორბოდა, გატაცება და უწინური თაფდავიწყება, მაგრამ ვასაქანს კი ვერსად ვერ ვტყვამ...

—უფრობო, კომპონიკის და გალიღვის დროს ისე არ იყო სიტყვის თავისუფლება დახშული, როგორც დღეს...“

...არ ვიცი ეს ოხერი ლექსები სად გადაყვარი, რომლებმაც ასე დადარწნეს და მოშინამდეს მთელი ჩემი ახალგაზრდობა...

...სხვა რაღა გითხრა. — ტიპოული წამოყვები ლექსამაუბის საშოვნელად“.



ნიკო სამადაშვილი

ნიკო სამადაშვილი 20/X-26 5.

„ძვირფასო შალვა!“...

—უცქერი ჩემს მოზავალს და გული მიკვდება, მე კი სიცოცხლე მინდა. მე არ მინდა ჩემი საძაგელი ცხოვრება სიკვდილის დაუკარგავად...“

მე მინდა ჩემი ლექსები პოეტის სივრცზე გაფრინდნენ. შეიძლება დიდი არაფერი მოუტანო ქართულ კულტურას, მაგრამ საქართველო იქნება იმ დამწვარ სხეულის კვალი, რომელიც მისივე შეჩერება საერთაშორისო დრამულიან სივრცეზე. ცხლა კი მწყურია გიჟური გატაცება და პოეზია.

ვერ ცნობილი მწვერლები არ დღემი არიან და, ვიღაც ოხერ უფროს მელექსეს რა უმჯობესა მეგობარო შალვა, რომელსაც უწინის მები ვერაინ იცნობს. რა სიმწარეი ვუყურებ მუდამ ნიჭიერ ხალხის სამინელ დააბატარავენას“.

...მაშე დაღუპვას ვარჩევ და ჩემს ლექსებს სახელგამში ვერ მიეიტვება გასასყიდად“...

ნიკო სამადაშვილი 7/II-26 5.

„მეგობარო შალვა,

მესამე წერილს გიგზანი და პასუხად მხოლოდ სიომუბა, სიომუქ, რომელიც გულს მიკორტნის და, სულს მინაგლებს“.

„მე არ მეგონა, თუ ჩემი პოეზიის ბედიც ასე მწარე და საძაგელი გამოდგებოდა.

გულიცები, ამდენი მღუმარებით სული მიგაზბდება და არ ვიცი ჩემი უდაბური გზა რომელ უდსკრულს შემოიხვევს. მე კი თქვენგან მოველი შევლას, რადგან თქვენის მები არავინ არ მიცნობს (არც მინდა კიდევ სხვა ვინმე იცნობდეს ჩემს პირად ცხოვრებას).

რა ამაოა და, ცარიელია ჩემი ცხოვრება და, როგორც მწლდდება ახალგაზრდული ბედნიერება — გზა შემოქმედებისაკენ. არ ვიცი როგორ დავიმშვიდო გამოცნებული სული და, როგორ დავაყენო გამშავებული ოცენის მძლე მღლვაკრება, რომელმაც უკვე დამასალა“.

...„პოეზიის გარეშე ჩემი ცხოვრება შემზარათია და მე მუდამ აზღერული მდინარება“...

„სყავით კარგად“

თქვენი ნიკო სამადაშვილი 25/II-27 5.“

ამ წერილების მიერ და ჟურნალის საბოლოოდ დახურვის მერე ურთიერთობა იმედავილებთან თითქმის უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ, ცნებობა, არა. მსგავსი სული მსგავსს პოეზიის, იგი უმეგობრდებოა გაიზო იმედავილებს (მალე იმედავილის უმცროსი ძმას), მის თანატოლს, რომელიც ადრე კაიუს პულის ფსევდონიმით აქვეყნებდა ლექსებს. მან საჯაროდ ლანდა ბოლშევიკები 1921 წელს, და მერეც, სიკვდილამდე, შინაგან ემიგრაციაში დარჩა. მათ მიეღო ცხოვრება ბერი რამ აკავშირებდა... სხვათა შორის, ერეკლე ტატიშვილის უდიდესი სიყვარული და გაღმერთებამდე მისული პატივისცემაც. მე ვიცი, როგორ უყვარდა ბიძაქმეს, გაიზო იმედავილს, დიდ მეცნიერს, ნიკო სამადაშვილი და, ეტყობა, მასაც ასევე უყვარდა იგი, რისი დასტურიცაა ორი ლექსი, ერთი მიძღვნა — „ჩემი პორტრეტი გაიზო იმედავილს“ და მეორე ლექსზე („გულიანობლივი“) მინაწერი: „ჩემი გაიზო, გქონდეს სასსოვრა“. რაკიღა ეს ლექსები და მესამეც არსად დაბეჭდილა, მინდა ახლა შევთავაზო მკითხველს:

ს ა ბ ა რ ა მ ე ნ ა  
 ა რ კ ი ვ ა რ ე ბ ა  
 გ ი ლ ი მ ი თ ე  
 ჩ ე ყ ვ ა მ წ ე რ ლ ი ბ ა 21 აპრილი 2017



ჩემი პორტრატი

გაიოზ იმედაშვილი

ის ყოველდღე დაეძებდა ტილ სარდავებს, თითქმის ყოველდღე სულ მფოთამდა და იმდეროდ. შთამომავლობა მის ცხოვრებას რას დაიჯერებს, კაცი, რომელიც ბნელ გრიგალეს გადამღეროდა! რომ მას შეეძლო პოეტური უმანკოება; მისანს ურბენდა, დედამინის უარყოფელი. არ დაგიდევდა თუ უკმეხათ ეფეა დროემ! ან, თუ სიერცვიებს გაყმუოდა ნუთისოფელი! ვილაც, ლილინით მის საფლავზე ბალახს გათიბამს, იტყვიან: რა კრულით დაილუბენენ მამა და შვილი? თან კლდის ნატეხზე მიანერავს ოდნავ ირიბათ, აქა მარხია ჩენენ ნიკო სამადაშვილი.

22.VI-49 წ.

(არ აგეროთთ ეს ლექსი ამ სათაურით დაბეჭდილ სხვა ლექსში)

შორე ლექსი, აგულთამბილაი\*, მხოლოდ ნანილობრიც იმუორებს სამადაშვილის აფერისცვალებამი\* დაბეჭდილ ლექსს (პირველი რვა ბნკარი ეთბევეა იმედაშვილების არქივის ვარიანტს ურთი სხვაობით, შერე ბნკარი ასე იკითხება: „სადაც ჰყავოდა სიყმანეული და გარემოცვა“, შემდეგ კი სხვა ტექსტია):

გულთამბილაი

ვინრო შეღმართებს, დუღაბისფერ უბნების ნაკრძალს, კაცი შეჰყვება — ასურეთში ოცნების დაკრი. შვიშორალებს მალალ ცაცხვზე, კვირანაღივით, ზატის მიხეზით დაცემული ალგეთის ქარი.

აჰყვება ზეილი... საკმეველზე გამურულ ღმერთებს, ბედის მუქს უცხად გააბრუებს მთანმინდის ლოცვა! ის სველ უბეში შეინახამს დედის სიმღერებს, სადაც ჰყავოდა სიყმანეული და გარემოცვა.

ხანშეულ ზარებს ტაშის გრიალს შეეკითხება, ზეამინო იგრძნობს დევენი მგზავრები თხელ

ნაფხურებს!

ის უნი სიზმრებს უგრძობებს შეხერხადს, იქ ნისკარტებით რო მოქონდათ დილა ბელურებს.

დაბრეცილ ქურებს შეღმართებზე ჩამოფენილებს, დახუტს კაცი ბურუსივით, ვით მატინენ...

დაბურულ ანდერძს დუტოვებს ფერად ფრინველებს, ცხადარს კი ქვევით ნიაღვრები ჩამოიტანენ.

ეკომპატი სიო უსურვაზთან დაიგებს ჩრდილებს, მკერდს გაუკანარამს ბასრი ფრთებით ფიქრების თოში. შენეს იტყვიან: ქადაგივით ჰკრავდა გვირილებს, და სულ ლაფარებებს უცინოდა საქართველოსი.

23 ღვიწობისთვე 49 წ.

მინანერი: „ჩემო გაიოზ, გქონდეს სახსოვრად“. დაბოლოს, კიდევ ერთი უცნობი ლექსი, „ქელის სალა-მური“, რომელიც ასევე ავტობიოგრაფიკის ჯანრშია დანერული 1929 წელს:

ქვეყნიერებას უცქეროდი ათასნაირად, წარმართ თვალბეზე ქრისტეს წვევლა გქონდა აკრული მთვარე დასითთ გათიბია, როგორც დაიარ, ანკელზეებს ულანძიხარ მუხნელ-მაზრული.

შენ, გეთსიმანის ბაღში დიდხანს ტრუბადურობდი. ღმერთების ჯოგი გოლგოთაზედ გელანდებოდა დასწყევლოს ქირმია.. რალა ნისლებს დაუშეგობრდი, თუ არ იცოდო: სად ანთალა, სად ბნელდებოდა.

რა საოცარი იყო შენი მარადისობა! დევენი სიცოცხლეს ბნელ სიზმრების ჯანყი მალავდა. დრო საუკუნის ჯახა-ჯუხუხი ჩაისრისება, და ეც ცხოვრებაც მოთავდებდა როგორც ბალადა...

ძლივს დარწმუნდები, რომ შენ ჯვარცმაც კი არ გწყალობდა.

ბედს ნულარ ერჩი, თუ ლოდებმაც ამოიხორცს. იტყვიან: ნეტავ დაგენახათ როგორ წვლობდა, სანამ დარდებმა საცოდავი სულ არ გამოსხრეს.

ხელა, დადიხარ... და ხეებსაც კი ერიდები, ბნლ არცკი ვინდა რომ ბინამი შემოგვევს ჩრდილი! ცოტახანს კიდევ... იმის მერე რომ დაბერდები, ეგ თვისს ქალა კლდეს ეწენება პირში გაჩრილი!

და შენს ხერხემალს, სალაშურად გამოიყენებს, ამბობს კერპი ან ქარვთის ტილი ოციე. სანამ კერვალებს, შენს ძვლებს კვეროხით

დაყარევენებს

გოლგოთის მიიდან შორეკილი ღმერთების ჯოგი.

1929 წელს.

ამ ლექსების გარდა ითსებ იმედაშვილის არქივში (თუ არქივის ქურდმა ხელს არ გააყოლა) ან სხვაგან საძებარია ნიკო სამადაშვილის კიდევ ზოგი ლექსი: „ჩამორბენა მოგონებებიდან“, „გაფიქრება ბაღეთთან“, „მუნი ლექსი“, „საყოფა-ობა ჩემი დევების“, „მოულოდნელი გაქცევა“. ეს ლექსები მოხსენიებული აქვს ნიკო სამადაშვილს თავის ერთ-ერთ ნერილში, მალავა იმედაშვილს რომ გამოეგება (7.XII.26).

ნიკო სამადაშვილი ჩენენ მამების თაობის კაცი გახლდათ, მაგრამ მათი პოეტი ვერასდროს ვერ გახდა. მას იცნობდნენ, პატივს სცემდნენ, უყვარდათ, მასთან შეგობრობდნენ, მაგრამ დიდ პოეტად არ აღიქმებდნენ. არადა თავიდანვე, თუნდაც 26-29 წლებში დაწერილ ლექსებში, იგი უკვე დასრულებული, თავისუფალი შემოქმედი, სხვათაგან მკვეთრად განსხვავებული ტრადიციით, ლექსში უკომპრომიზო, ქვეყნისა და პოეზიის სიყვარულში ბოლომდე ერთგული და სრულად დახარჯული.

გაიოზ იმედაშვილი თავის მოგონებებში წერს: „სამადაშვილი, როგორც პოეტი, ერკველ ტატიშვილის აღმოჩენა. ჩენენ მასნავლებელი, მოძღვარი და მეგობარი ერკველ ტატიშვილი დაბეჭდვით გვიტყობდა, რომ სამადაშვილი არის დიდი პოეტი და საყურადღებოა არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით. ამის გაზიარება მაშინ მიახლოებითაც კი შეუძლებლად მიგვჩანდა. დრომ გვიჩვენა, რომ ეს დიდი ალაირება უსაფუძვლო არ ყოფილა.“



სამუნხაროდ, ნიკო სამადაშვილი მიუღებელი აღმორნ-  
და მისი თაობის პოეტური გემოვნებისთვის. ელტიამაც კი  
ვერ გაითავისა (შალვა ნუცუბიძე, პავლე ინგოროყვა, გე-  
ორგო ტყეშელაშვილი). მხოლოდ მომდევნო თაობამ შესძლო ნიკო  
სამადაშვილის ლექსების ქართულ პოეტურ სამყაროში შე-  
ნეშად შეყვანა. პირველად რეზი თვარაძემ დაბეჭდა იგი თავის  
„ლიტერატურულ საქართველოში“, სხვათა შორის, ასევე  
რეზი თვარაძემ დაბეჭდა პირველად იმავე გაზეთში მეორე  
შესანიშნავი პოეტის, ესმა ონიანის, ლექსები. მანამდე არც  
მას უზნინდნენ გზას მისივე თანამედროვენი. ეს ბევრს  
მეტყველებს როგორც თავად ბატონი რეზის, შესანიშნავი  
ლიტერატორის, გემოვნებისა და კონსერვატორის, ისე იმ  
ახალგაზრდების (არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი, ვა-  
ხუშტი კოტეტიშვილი) გემოვნებაზე, რომელთაც ყველაფე-  
რი ილონეს, რომ ნიკო სამადაშვილი, დიდი პოეტი, ქართულ  
პოეზიას არ დაეკარგა, ბევრს მემკვიდრეობის იმ დროზე, რო-  
მელშიც ჩვენ ვცხოვრობდით და კონსერვატული გემოვნე-  
ბის ინტერესის მსხვერვის სიძინელზე.

ასე ვცხოვრობდით. ამ ორმავე ცხოვრებამ ნაირკითხ-  
ვაობის სტილიც კი შექმნა ქართულ ხელნაწილებში და ასეთ  
მხატვრულ ტექსტებს ქართული კრიტიკა სასიკეთოდ შეგნე-  
ბულად ზოლომდე არც მიფრავდა. ყველაფრის ზოლომდე  
თქმა შეიძლება დასინამაძვად აღქმულიყო.

შორს ვამტყავს სიტყვა. ასეთ მხატვრულ სფეროში ნიკო  
სამადაშვილს ხომ თავად ეხუთებოდა სული („ლომოდ  
ნურც სიკვდილს, ნურც სიცოცხლეს ნუ დამაძალებ“), მაგ-  
არ სამსჯებო კანონობაზე მისი შიშობილი რეაგირებაც,  
რომელიც კანონიზებული პოეტურ ენასთან უხემ დამო-  
კიდებულებაშიც ვლინდებოდა, ბევრს მკითხველისთვის,  
თავად პროფესორანალიტიკისთვისაც კი, მიუღებელი გახლ-  
დათ. უნდა მოსულიყო ახალი თაობა, რომელიც მას ადე-  
კატურად აღიქვამდა, და მის შემოქმედებას შესაბამისად  
გააანალიზებდა არა მხოლოდ ქართული პოეზიის, არამედ  
მსოფლიო პოეზიის კონტექსტში, თავის სახელს დაარქმე-  
ვდა ყველაფრს და ჩასწავებოდა იმ სიღრმეებს, რაც ნიკო  
სამადაშვილს საქართველოს გარეიცაც ღირდა პოეტად ნარ-  
მოჩენის.

\*\*\*

ჩვეულება მაქვს ასეთი, ზღუნანერმა, სანამ მზეტყავათან  
ნავილება, ერთი-ორი ღამე სახლში უნდა გაათავის. მეორე რომ  
ნავი კითხავ, შესწორებას და დამატებას თუ არ მომიბრუნებს,  
უტყობა, ჩემგან მუტს ვერაფერს გამოაღებდა და უნდა გადა-  
ვაბეჭდინო. ახლაც ასე იყო და რიცა მეგონა, ევლირაფერს  
დაეუმატებდი, ნიკო სამადაშვილის კიდევ ერთი ლექსი ამო-  
ტრიატავდა არქივში „მოგონება და სინანული“, 1953 წლის  
თებერვალში დაწერილი, ზედ მიწანერთი: „ჩემო გაიორ! ეს  
ლექსი შენ განახსოვრე. 6. სამადაშვილი. 11.II-53 წელი“.

11 თებერვალი ბიძინების, გაიორ იმედაშვილის დაბადე-  
ბის დღეა და ეს შესანიშნავი ლექსიც — ბრწყინვალე საჩუ-  
ქარი. უტყობა, მათ ზოლომდე უერთგულეს ერთმანეთს და  
თავის მეგობრობას. აი, ეს ლექსიც:

**მომგონება და სინანული**

შენ დამივიწყე ხელა კი არა, დიდხინის წინათ,  
ელდა დაწყებდით მოგონებებს გაიხიბოს ვილაც...

ჩარხის ნისქელიდან სარანგით ილოცვებს წვიმა,  
დაქრილმა ლექსმა ჩაიყოლა საფლავში ტყვიაც.

მოვლენ დღეები, მოიტანენ დაფხრენილ ფიქრებს,  
შენის მერქანში სიყაბვილეს ქცევის ფუტუროთ,  
ნერის ყვირილი კის ტანებში დაიფურცლებს,  
რეალიც გადნება კაცის თვალმა სულ რომ უყუროს.

გამოქვაბულთან ზარის რეკა დაიგუგუნებს,  
მეთისმშობელს ცაცხვის ქვეშ დარჩება თეთრი კაშები.  
მნათვთა ძახილი შემოსწვდება ციხის ქონჯკობს,  
ბალდახინები იცეკვებენ ძირს მარმამუბით.

გული დაგწყდება მეგობარო, რომ ვერ იხილავ,  
შენი ფარეშის ტინიშყვეყვას — სიბედნიერეს.  
გზებზე დაფრები, როგორც კეტიტი მოკლული ხალაა,  
საკუთარ ძვლებთან ვიკეჩნავეთ ასი წლის მერე.

დედის ვედრება მაინც განაშა ნისლით წინდა,  
შენ რომ უხედავდი იმ განგების უმბაკო შენით.  
რა ვუთხარ მერე!.. ღამე იყო, თუ ძვიერ წვიმდა,  
ბალდახინები ხომ ცეკვავენდენ თეთრ მარმამუბით.

თებერვალი 53 წ.

ეს ლექსი დაბეჭდილია ნიკო სამადაშვილის შესანიშნავ  
კრებულში „ფერისცვალება“ (შემდგენილი და რედაქტირო-  
ნიზა ორფონიკიძე, 2004. გვ. 239), მაგრამ სიტყვიერი თუ  
პუნქტუალური განსხვავებანი მას ახალ ვარიანტად აქ-  
ცივს, ამიტომაც გადავწყვიტე მისი გამოქვეყნება.

და კიდევ, ერთი დეტალი — ლექსი ჩადებულ იყო გაკე-  
ცილ ფურცელში, რომელზეც ჩანერილი იყო ორი მეგობრის  
საუბარი მიზნით სინამდვილის შესახებ: „ქვეყანას აჭრუბენ  
ძმობისა და ერთობის სახელით... ნამდვილად კი ამ წიოლ სი-  
ქაშია ნამდვილმა რუსმა დათვა გაილიძე... ის ნაველკავა ჩვენ  
და ჩვენს დაღუპვას, ჩვენი განადგურებას... მსოფლის  
ამწვანს როგორც ჩვენს აღორძინებას. ნამდვილი რუსული საქე-  
მე დაიწყო რუსული მეთოდით — უხეში ძალი, წგრევი, სისას-  
ტიკით და სხვისი კულტურული ტრადიციების განადგურებით.  
თეთრი ხე დასხივდა ქონიათ, ხოდა ეს ენადლეუბით... მოცე-  
ლების ისტორიულ მემკვიდრეებს... მიფრები და ტიტლები შე-  
მოიფრებენ ტოლისში, დაძღუნენ და ჩაიკვეს ჩვენი შთაბრძნის მი-  
ერ დატოვებულ სანაყოფიან და ტანსაცმელი...“

გაიორ იმედაშვილს თავისი თვლითი ჰყავდა ნანახი ეს  
„ტიტლები და მიფრე“ რუსული, რასაც იმ დროის ჩანანხე-  
რიც მემკვიდრეებს: „1921.24.II... „ქუჩაზე გაატარეს ტყვე ზოლ-  
მეფიკები ფრანგებთან. ისინი რუსები იყვნენ. მხოლოდ იმან  
გამოცა, რომ დაღვლილში და აღბათ მიმეგრები იყვნენ...“  
„უფროსი, დაღვალელი ტანსაცმელი, ზოგი ფხიშველა“...

თანატოლებმა, ნიკო სამადაშვილმა და გაიორ იმედაშვილ-  
მა, ერთნაირად დანიანებს და განიცდეს საქართველოს თავს  
დატბულოთ უფედრება. ვერც ერთი ვერ ეგვიფა და ვერ შეუ-  
როგდა სინამდვილეს, ერთმა ბულაღერის პროფესიას შეაფარ-  
და თავი, მეორემ კვეფისტყონისის“ კვლევას. უტყობა, ამანაც  
განამირობა მათი მეგობრობა. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

შინაგან ამოგარციაზე ვერ ვიკავებ ბევრია მოსაძიებელი,  
გასაანალიზებელი და დასაწერი.

ერთი კი... როგორ მეორედა ყველაფერ... მაშინაც  
ისე მზავრებდა შემოვივდნენ, როგორც ახლა, მაშინაც  
ისევე მიფრები და ტიტლები იყვნენ, როგორც ახლა...



გაძღობა, ნაგლეჯვა და წართმევა, აი, მათი ყველაზე დიდი, მხვეურნი მოტივაცია, რომელიც არც ერთ ადამიანს არ ექვემდებარება...

რა გააძღობებს ჩვენს ქროლოებს. 1801 წლიდან დღემდე რუსეთის იმპერიამ და მისმა მოდიფიკაციებმა, საბჭოთა თუ თანამედროვე რუსეთის სახით, ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი მოსპო ფიზიკურად თუ მორალურად, მეტიც, დამპყრობლებმა დაპყრობილებს მადლობაც არაერთხელ ათქმევინეს, ღირსებაც შეუღლებეს და თავმოყვარეობაც.

ათიათასობით დაზოცილი, გადასახლებული, ნანაშენი... განადგურებულია ერის გენოფონდის საუკეთესო ნაწილი... და ბევრს მაინც ჰგონია, რომ მადლობა კეთაქვს მათთვის სათქმელი... არცაა გასაკვირი. ასე გვზრდებიან.

ვისაც დაევიწყდა, გავახსენებ, ხოლო ვინც არ იცის, იცოდეს:

1936 წელს საქ. კ.პ.(მ.)-ც პარტკომპროცემლობაში დაისტამბა „საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბუღადას დიდი სტალინს“, რომლის ავტორები იყვნენ პალოლი იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ მინიშვილი, აღილი მამაშვილი.

მანამდე, 1924 წელს გიორგი ლეონიძეს ძმა დაუხერხიტეს, მერე პალოლი იაშვილი თვითმკვლელობადად მიიყვანეს, დახვრიტეს ნიკოლოზ მინიშვილი.

„საბჭოთა საქართველოს ოცდაბუთი წლისთვის საზეიმო დღეებში ქართველმა პოეტებმა ახალი კოლექტიური ნიგნი მოუძღვეს სტალინს, ორმოცდაბუთი თანამედროვე ქართველი პოეტი მონაწილეობდა ამ ნიგნიში...“

1952 წელს გამოსულ ანალოგიური ნიგნი ორმოცდაბუთი ქართველი პოეტთან ერთად ოცდათექვსმეტი საბჭოთა და ოცდაბუთი უცხოელი პოეტია წარმოდგენილი.

ყველა ისინი სტალინის სახით, ფაქტობრივად, რუსეთის ალყუდენდა ხოტბას საქართველოსა და მსოფლიოს უპირველეს მტერს, ვერაგსა და უპირის.

ზოგამა ამ პოეტთაგან პრემიები, ორდენები და თანამდებობები დაირიგა, ზოგი დახვრიტეს, ზოგიც გადასახლებამი დაიღუპა.

კიდევ კარგი, რომ ნიკო სამადაშვილი არცერთ საიამი არ მოხვდა... არც დახვრეტილებში და არც ალყუდებულში...

კიდევ კარგი, რომ მისი ლექსი არ დაიკარგა და მძიმედ შექმერდა საქართველოს ღრუბლიან სიერცხულზე“.

ერი და პედისწრა

როსტომ ჩხეიძე

ჯონ სტაინბეკის საიდუმლო

— ნეტა ვინ გამოიგზავნა, ნეტა რატომ გამოიგზავნა?! კოლაუ ნადირაძის ეს გაოგნებული ფრაზა რეფერენოთის მასალებზე ჩემს ერთ დარწმუნეს და დამავიკრეფინებელ აკორდადაც ყველაზე უკეთესი ის გამომდგაროყო.

უილაშ ბატლერ იუტისის დიდტანინაი პოეტური კრებული ჩაშობლოდა უცხოეთიდან, სადაც არც ნათესაეი, არც ნაცნობი არავინ ეგულებოდა, არც არავითარი წარწერა ახლდა წიგნს, გამოიგზავნის ვინაობის აღმნიშვნელი. მის სახელზე გამოიგზავნათ — ესაა და ეს... და საიდუმლო სასაბურს მანამდე გულდაგულ ეწიროკა წიგნი, ვიდრე ადრესტაც გადასცემდა, ვითო სადმე რაიმე მინიშნება, პოლიტიკური კვებტესტი იმალება და არ გამოავრჩესო.

ვერაფერი აღმოვიჩინათ.

ანკო რას ნახავდნენ — ისეთი გულუბრყვილო არ უნდა ყოფილიყო გამოიგზავნი, ჰგონებოდა, საიდუმლო სამსახურის მისაღებად თვალს გამოეპარებ ვერაფერ ტექსტსა... მაგრამ კოლაუ ნადირაძესაც რომ ვერაფერი გავგო?... ის კი არა, ინგლისური ენა სრულად არ იცოდა და არც იუტისის სახელი სემუნდა ოდესმე.

მამ რატომ გამოიგზავნო თაეი იმ უცნობს? ასეა თუ ისე, დიდებული ორლანდიელი პოეტის საუკეთესო ლირიკულ ქმნილებათა კრებულს შემოუღლია ქართულ სიერცხულში და ადრე თუ გვიან ვინმეს გამაიადგებოდა.

მაგრამ... ამის გულისათვის მოენდომებინათ წიგნის გამოგზავნა, ოდესმე ინგლისური პოეზიის ქართველი მოყვარული ნასიამოვნებნი დარტყბა ამ ლექსების გადაკითხვითო?

უითომ ასე გზავნიდნენ იუტისისა თუ სხვა პოეტთა კრებულებს ყველა ქვეყანაში?

აბა, საქართველო რატომ ამოვიშნათ?

ან კოლაუ ნადირაძისათვის საიდან მიეგნოთ?

ერთი პიროვნების საქციელს არა ჰვადა. აშკარად გუნდი იგულისხმობოდა გამოგზავნის მიერ, რამხელა გუნდი, ძნელია ეს ამოგვეცნო, მაგრამ უთოუდ ადამიანთა კრებული და არცთუ მცირერიცხოვანი.

კოლაუ ნადირაძის პიროვნული ხასიათი და ბიოგრაფია წინასწარვე და გულდასმით გამოერკიათ, სახელგატეხილი კაცო რომ არა ყოფილა და ხელისუფლების მონა-მორჩილი, ესეც უსათოოდ შეეტყუით და მისი მუებულავი სახელის იმედით შეეხმინებოდნენ ასე უცნაურად.

რა ჩაეთუქვინათ ან რას ანიშნებდნენ?

მარტო მას არა, ცხადია — ამ უცნაურ შემთხვევას კოლაუ ნადირაძე აუცილებლად მოსდებდა ლიტერატურულ წრეებს და მათგან რაღაც გამოძახილს ელოდნენ. აშკარად და სასწრაფოდ არა, მაგრამ ვარკვეული განწყობილებით კი უნდა შექმნილიყო. ყველას თუ ვერა, ცალკეულ პიროვნებებს უნდა ამოეცნოთ გზავნილის მინაარსი, კრებულში ასე სფულდაგულოდ შეფუთული, და ამ ამოცნობას ვარკვეული იმედი ჩაესახა მათთვის.

შესაფერისი განწყობილებაც და მისი ვავრცილებაც ამას უნდა მოჰყოლოდა.

ნეტა ვის გამოიგზავნა?... ნეტა რატომ გამოიგზავნა?... არაფერი ყოფილა დაფარული, რომელიც არ გაცხადებულყო.

და ეს გაცხადება უეცრად ნამოტივტივებდა ჯონ სტაინბეკის სახელსა და საქართველოში მიერე მოგზაუ-



რობის მიზანს — საქმად გამოვითქვით და ღრმავარდევანს, მსოფლიო პოლიტიკის ნაწილს და არა გაცილებით პროგრამის, რომლის სახელწოდებასაც უნდა შევნიშნა ამერიკის პრეზიდენტის ჯონ კენედის პირადი დავალება, დიპლომატებს რომ ვერ მიადგობდა და აღმსრულებლად მწერალი ეწოდებოდა, თანაც რა არანგის მწერალი — რაც მიუწევდომელი დარჩებოდათ დიპლომატებს თუ სხვა პოლიტიკოსებს, ჯონ სტაინბექისათვის შედარებით უფრო ადვილი მოსახელთებელი უნდა ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, ცდად ღირდა. და ოლიკო ელენტი 1963 წლის ამ მგზავრობის მიზანს ალღოთი რომ მიაკვლიდა აქ იმგვამად რაღაც ლისხებოდა ამერიკელთა რაღაც ინტერესი და სტაინბექს ამკარად რაღაც მისია დაკისრებოდა, — ვახტანგ ამაღლოშვილი ქართულ და ამერიკულ მემუარულ-დოკუმენტურ ცნობებზე დაფუძნებით გამოიდა და სარწმუნოს გახდიდა ამ მიხედვრას — ვარაუდს დამაჯერებელ ვერსიად გადაიქცევა და ამ მოგზაურობას შეარქმევდა სტაინბექის საგანგებო მისიას საქართველოში.

თავალსაჩინოებისათვის უფრენ ფრწენის სიტყვებსაც დაიმონებდა:

— სტაინბექის მეგობრობა ადვილ სტრავსნითან, ჯონ კენედისა და განსაკუთრებით ლინდონ ჯონსონთან საყოველთაოდ ცნობილი ხდება. ამ დროისათვის იგი მართლაც ჩართული გახლდათ ეროვნულ პოლიტიკაში, თანაც, როგორც ჩანს, თვითონ არ გაეცნობიერებდა ბოლომდე, რომ უკვე აღარ გახლდათ რევიონული დონისა და ამ პრინციპს მსოფლიო კლასის მოთამაშე ხდებოდა.

არა, გაცნობიერებულ როგორ არა უქონია და თანაც სრულყოფილად — მაშინ ხომ ასეთი რწმენითა და სიმტკიცით ვერ ახსენებდა მტლების გაღალია ჩამწვედევასა და მსოფლიოში უკვდა კარის გარდაუვალ გახსნას. და ვერც თავის მისიას დაინახავდა ამ საეკონომიკო მოვლენის აღსრულებში.

ახლა თვითონვე უნდავეს მისიას. და კიდევ: ლექციისმავარ სურვილს. თურმე რაოდენ ძვირფასი, ღრმადინტიმური გამხდარა ეს განზახავა მისთვის.

გახტანგ ქუციძის თავისი მემუარული ნარკვევი ასე რომ დაესაბუთებინა: „ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ“, სწორედ სტაინბექს დაუსხებოდა, მის თავდაუკერებელ მტკიცებას პირადი საუბრისას:

— ახლა სხვა დროა, სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, დიდი სახელმწიფოში მფარველობას გაუწევენ მცირერიცხოვანი ერებს... ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ... ამის იმედი უნდა გქონდეთ...

და იქვე სიამაყით ახსენებდა ჯონ კენედის, რაც გამჭვირვალედ გულისხმობდა, ეს მიზანი უშუალოდ იმის რომ გავზიარებინა მწერლისათვის. ერთად შეთანხმებულყოვენ.

კოლაუ ნადირაშქვაც რომ მოსწერდა ბარათს, ვითომდა მხოლოდ მადლოებრბოსა, ოღონდ იმ ადვილად განასახლეთ ქარაგმისა — მგლებო და გალისი გახსნა — ამ წერილის არსებობა, მისი აღმოჩენა განა იეიტისი კრებულის გამოგზავნის საიდუმლოებას არ გვიამკარავებს? კრებულში გამოგზავნილია სტაინბექის სტუმრობამდე.



ჯონ სტაინბექი

წინასწარვე მზადდება ის განწყობილება, რაც მწერლის ჩამოსვლამ კიდევ უფრო უნდა გააღვივოს და განამტკიცოს.

გზავნილის მიზნებებს მეტი ძალა და მზურგალება შესძინოს. რატომ მაინცდამაინც იეიტისი — ირლანდიელი პოეტი და ეროვნული მოღვაწე — და არა რომელიმე ამერიკელი ან ინგლისელი შემოქმედი, მასზე არანაკლები?

სწორედ მისი ირლანდიელობა და ეროვნული მოღვაწეობაა ის გამჭვირვალედ ქარაგმა, რაც გული-სხმობს ეროვნული მოძრაობის გაღვივებას საქართველოში მწერალთა თაოსნობით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფის შენდებებს ლიტერატურული მოღვაწეობითა თუ თეატრის ეროვნული სულისკვეთის გამძაფრებით — ირლანდიური აღორძინების ეპოქა რა გზასაც დადგომდა იეიტისი შეთაურებით.

თუ ასეთი რამ არ არსებობდა საქართველოში, დაე ახლა მაინც მოეკიდა ფესვი მათ გულში ამ სწრაფად და თუკი ისედაც ნრიალებდა იატაკქვეშ, უფრო მომძლავრებულიყო საერთაშორისო თანადგომის იმედი.

ვიდრე სტაინბექი საშობოლოს დაბრუნდებოდა, პრეზიდენტ კენედის მკვლელობა მოუდებდა ბოლოს... მაგრამ უცვლელი დაბრუნებდა ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკა თუნდ საქართველოს მიმართ და მწერალი ახალ პრეზიდენტს, ლინდონ ჯონსონს, რომ წარუდგებოდა, ამ მოგზაურობის შიდაგეფილოტებს მას გადასცემდა და გამოქვეყნებაზე არც იფიქრებდა, განსხვავებით პირველი სტუმრობისაგან — 1947 წელს — როდესაც მოგზაურობის შიდაგეფილოტებზე შექმნილი იყო მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „რუსული დღიური“.

სტაინბექის საგანგებო მისიის ირგვლივ მსჯელობა თავისთავად მოიხმობდა ელენ სტაინბექისა, მწერლის მეუღლის, და რობერტ უოლსტენის ცნობას: პირობა უქონდა დიდებული, რკინის ფარდის მიღმა მოგზაურობის შესახებ სამშობლოში დაბრუნებამდე ოფიციალურად არაფერი გამოეცხვენებინათ.

აგერ, შემდგომაც შეუკავებიათ თავი. ეს ყოველივე კიდევ ერთბელ თავალსაჩინოებს პოლიტიკური დავალების გასაიდუმლოების აუცილებლობას.



დავლებმა დავალებამ, მაგრამ პირველი მოგზაურობის დროსაც საქართველო გამორჩეულად წარჩინდა და სხივანი და აქაურების მონახულების ქრონიკასაც აღადგენდა „რუსულ დღიურში“ — მნიშვნელოვან ადგილს დაუთმობდა და იმდენ საგულსსმო ცნობას გააბნენდა თხრობით, ისეთ მახვილვანიერულ დაკვირვებებს შემოკრთავაზებდა, მათი შესრულვა-გაზარება ძალიან ნავაგებდა ჩვენი იმდამინდელი საზოგადოებრივ-კულტურული სინამდვილის სრულყოფილი წარმოსახვის მცდელობისას.

ამ მოგზაურობას „ნიუ-იორკ პერალ ტრიბუნის“ რედაქციის დავალებმა დაერქმეოდა და ჯონ სტიბინეკთან ერთად რომერტ კაპასაც მოავლინებდნენ — სახელოვან ფოტოხელოვანს, ვის მიერ შედგენილი ფოტოქრონიკაც შეავსებდა სტიბინეკის თხრობასაც და თავისთავად ისტორიულსა და ესეთიკურ დირექტივებსაც შეიქმნდა.

თამაზ ნატროშვილი ვარჯა ხნის წინათ გამოარქმევდა „რუსული დღიურის“ ამ მონაკვეთს, საქართველოში მოგზაურობის ქრონიკას, მშენიერო სიხშირის თავისებურ ანარეკლს, და ფრაგმენტ-ფრაგმენტ გადმოიღებდა ქართულად, რომერტ კაპას ფოტოებითაც დაინტერესდებოდა და მალე გახდებოდა შესაძლებელი ამ ნამუშევრების მოძიება და ფოტოალბომის გამოცემა ჩვენს ქვეყანაში.

თუმც, ცხადია, სამოგზაურო ვანრის ეს წინებული ნიშნები სრულადაც უნდა გამოაცემულიყო ჩვენში — ქართული თემა ერთიან ფონზე გამოკვეთილიყო, და ამ განზრახვასაც მოეძებნა თავი დავით გვეგენავის მეოხებით, ვინც წინასწარლის ბიოგრაფიულ პრისიექტსაც დაურთავდა და ქართულ პრესის გამოშაურებებსაც 1963 წლის სტუმრობის ირველი — საბჭოურ ყაიდას მისადაგებულს.

რასაკვირველია, იმ მასალებში დავკვირვით არ უნდა გავლენილიყო სტიბინეკის ნამდვილი გულისტკივილი, უშიშრელებსაც კი ეს:

— უცნაურია, — ჯონ სტიბინეკი საქართველოს მწერალთა სახატლის დარბაზშიც მიუყვანია მოგზაურობას, ტრიბუნასთან ნარმდგარა და საჯარო დიალოგი გაუმართავს მწერლებთან. ჩარჩოში მომწყვდეული, ეპოქილი, ოთხზე კუთხით ავად მოდარაჯე მჭერის შუაღელში, მაგრამ დიალოგის ანარეკლად მინც ითქმის, და სახელოვანი ამერიკელი, მადლიერებას რომ გამოხატავს იმ ქვეყნის მიმართ, რომელსაც ოცი წლის შემდგომ კიდევ ერთხელ სტუმრებია, თავს მინც ვერ შეუკავებს, რადგანაც ყველაფერი რომ ახსნას, ეს უცნაურობა ვერაფრისადგებით ვერ აუხსნას:

— მწერლის მოვალეობა ხალხის თანადგობა და ხელისუფლებასთან დაპირისპირება, ასეა ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, ჩვენც, ამერიკელ მწერლებსაც იმით მოგვინებს თავი, რამდენჯერ გადავგებოივართ ხელისუფლებას და ხან მკვეთრად შევჯავებოვართ კიდევ; აქ კი, თქვენთან, მწერლები იმით ამაყობენ, ხელისუფლებასთან ერთად ვიღვინით.

დუმილი ჩამოწეწეწობა დარბაზში. უცნაურია, — ვახტანგ ქულიძისთანაც გაიმეორებდა, ოდნედაც შეიტკბებდა, მის რომანს რომ თარგმნიდა — „ხათარი ჩვენი მღალეარებისა“, და გახარებულს განსაუბრებელი სიტობი ჩაეღვრებოდა გულში. ავტოგრაფსაც ნაურხრდა ქართულ ხელნაწერზე, ზოგიერთ

რამის გამოიკითხავდა და... ისეც იმ თავსატეხს მიადგებოდა: ხელისუფლებას თანადგობა მწერლურ მოვალეობად რატომ გვსახებოდა ამ ქვეყანაში.

ბარელამ არც ესახებოდათ, მაგრამ... რკინის ხუნდებს თავისი კანონები მოუხანა, ანტიკომპარტიზმი დაიღვას. მთელი და, სახელმწიფო პოლიტიკასთან შენინალმდებება თავგანწირულ მწერლებს იოლად რომ არ ჩაუვლიათ, სხვანი გავრთხილდებოდნენ და ვინ გულწრფელად და ვინ სიმწირთ აღიარებდა პარტიულ-სახელმწიფოებრივ მონოდეტას, მწერლის დანიშნულებას რომ უარყოფდა და პროპაგანდისტის ფუნქციას ანიჭებდა, თანაც... სიყალბის პროპაგანდისტის.

ამ საბურეელის მიღმა მინც გაისმოდა პროტესტის სიტყვა, უფერულ, მდორე ნაკადს მინც შეერეოდა ქუმშირტი სულიერი ფასეულობანი, მაგრამ ლოხუფი სახარლად ხმინობდა და დამეკრებოს, შეურაცხყოფის განცდა უნდებოდა ჯონ სტიბინეკს, ცხადში ვიძყოფები თუ რომელიმე სატორიკოსი სამყაროში ამოიცივა თავი პერსონაჟად, თუნდაც ვლიანთა სვიტების ან ჯორჯ ოროულის.

რომანის თარგმნა როდისთვის მოთავსებო? — ამასაც იკითხავდა და: მალე, — ვახტანგ ქულიძე რომ დაიმიქდებდა, ნიკო ყიასაშვილი დავადესტურებდა: თუ რაიმეს ჩაუჯდა, ერთბაშადვე მოთავსებს, გაქთაზურება არა სჩვევია, თანაც მისი მთარგმნელობითი ხელოვნება აღიარებულიყო.

იმთავიფიერ ცრველი სარბილისათვის შემოეხვია ხელა და უშიშმესი ტვირთის აზიდვა ეცადა. ერეკლე ტატიშვილი სწორედ ამას შთავაგონებდა, სამამისოდ აზხდენდა და მის რჩევას აჟყოფდა, — ნაპრალეტიც თანდათან ამოვიტო ქართულ კულტურულ სივრცეში და ინგლის-ამერიკულ თანადგოვლად რეკონსტრუქციულ პარცესსაც კვლავაკვალ მიჰყოლოდა. რკინის ფარდაში ჩაყოფილი გათანადებოდა თუ არა, მამინეც მარჯვედ ესარგებლა, თორემ ხვალ, ვინ იცის, რეალობა როგორ შემოტრიალებულიყო.

მთაწინდელთა მთარგმნელობითი ტრადიცია აღდგინა ძველ ნაპრალთა ამოცხებოთა და თანადროულ თვალსაზრის შმატერულ ქმნილებათა ამტყვევლებით ქართულ ენაზე, და ამიტომაც მოთავსდებოდნენ გვერდგვერდ მის ვებერაფერსა ნაღვანში დაბიულ დეფინდ-ერესტე პემინტუვი, ჯონ მილტონი და ჯეროი სელინჯერი, ჩარლზ დიკენსი და ჯონ სტიბინეკი... მიუსები კიდევ მიესება — იქით ულიამა შექსპირი, აქით ჯონ პრისტლის, ანტონი მელიორისა თუ ტენციუ ულიამასი დრამატურგიული ქმნილებანი, და ჩვენი სამწიფო პროცესის დიდ განახლებას ამ შირიფაც ვაგზოზომელ დანაღს დასდებდა.

ერთბაშადვე მოთავსებო... დაყოვნება, სევენტ-სევენება ამხელა შენობას ვერ ააგებინებდა, სადაღაც ქვემოთ შეუნყვებოდა გაბეფული ჩანაფიქრი და მთაწინდელთა მიწნევის განმეორება მარტოდენ ბარანა ბრეგავძეს დაანვებოდა მზრებზე. ახლა კი ამას გაუკავა გზასავალი უფათოფი თვალსაზრისით.

ბედისწერას ასე განეჩინა, უკან დაეპარა ილია ქვეყანა პოლიტიკურადაც და კულტურითაც, და მის გაცარ განდევნებლებას თავგამეტებული გარჯა თუ შეენინალმდებებოდა კულტურის წვეტილობათა ამოცხებად.

სტიბინეკის ამ ერთ რომანს არც იკამერებდა და „ტორ-



ტილა ფლექსაც მოადვენება მწერლის სტილური მრავალფეროვნების წარმოსაჩვენად. მრისხანების მტვერების ნევავე სულისკვეთებასა და „ზამთარი ჩვენი მღელვარებისას“ იქნებ არანაკლებ მძაფრ დრამატისმსი დღეი იუმორი რომ ამოსვდებოდა ვეფრდითი „ტრაგიკალა ფლექსის“ სახით, დიკენსისა და მარკ ტვენს გაჯიზიბრებოდა თითქოს სტიანიბეკი და ვახტანგ ქულიძე ამ მზრთავც დიანი-ტერენდებოდა, ნეტა მისი იუმორი როგორღა გადმოვა ქართულად, ზოლოსდაბოლოს, მე თვითონ როგორ მოვახ-ტერენდ ამ საიხ განსხვავებული იუმორის ნიუანსებრივ თავისებურებათა შენარჩუნებას ჩვენს ენობრივ სამოსელშიო.

ამერიკული კრიტიკა ცოტა სხვაგვარად განსჯიდა — მარკ ტვენს სტიანიბეკის უშუალო ნინამორბედად შერაცხავდა და იმის თქმასაც არ მორიდებოდა: სტიანი-ბეკის იუმორი მარკ ტვენისა და მეზერის იუმორის ნახა-ვიყო. ფილომა — ნახევარი ერთი, ნახევარი მეორე. „ტორ-ტილა ფლექსის“ შემოქმედს რაღა რჩებოდა?... მაგრამ ეს მანიც გადაჭარბება უნდა იყოს, სტიანიბეკი უფრო დრ-მატულ მწერლად ესახებათ და მის იუმორს ამიტომაც არ დაგვიდევინ მაინცდამაინც, თორემ — მეზერი იქით იყოს — „ჰელაბერი ფინის თაგვადასავლის“ შემოქმედის სხვაგვარად სტიანიბეკზე უფრო მეტი სულაც არ არის, ვიდრე ურნესტ პეინინგუის აღიარება: ჩვენ ყველა მარკ ტვენისადა მოვიდვართო.

დრამატულ მწერლად და: „მრისხანების მტვერები“ გაორტების უპირველესად სტიანიბეკის სახელს, იმის გადა-დუარავს სხვა ყველაფერი და, ის კი არა, მასთან შედარებით „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ ფორნალის-ტურ რანგის თხულებადიც კი ნამარტავდებითა.

თავის დროზე ამ უპირველეს ქმნილების ფინალზე სადავო გამომართო: ისე უცვრად მოკვეცა თბრობა, მიღურტების დაეგვანა და უგზოუკულოდ მიატოვა საკუთარი პერსონაჟებითი. დაე ამერიკულ მწერლობის თვითონ ეცა თავში და ერკვია, მართლა კიდევ ერთი განსაკუთრებული რომანი შექმნილი თუ მწერლის ხელ-იდან გაიშვა ჩინებული შესაბუნებლობა და სუსტი ფინალი ჩვეულებრივად დიდებულ განზრახვას... მაგრამ ასე არ განსჯიდა. ითარ ჩვიძე და სტიანიბეკის უსამართლო გაკოლვას პირად დამიკრებდა მიიღებდა, რაკილა დიდებული რომანის ამაღლებულ და განზოგადე-ბული ფინალი შესაფერისი ანალიზის გარეშე მიფურტებად ცხადდებოდა. ძალიან დაინანებოდა ზერულე შეფასებისათვის და საგანგებოდ გამოქმნებურ-ბოდა რომანის ფინალს, რომელზეც უსჯელად ამოიკონდა „მრისხანების მტვერების“ მხატვრულ ტენდენციას.

ნუღა გამორჩეულია მკითხველს, თუ როგორ იზრდე-ბოდა ფინალი რომანს სახე, თვის მხატვრული დანიშნულებაც თითქოს ის გაბლდათ, რომ ტვირთად ქვეყნული თავისი უგზოობის ვახაზე დამდგარი და განამხებული ოჯახისათვის. სტიანიბეკს ქალი ჩაეჭირა ერთდროულად დედობისა და ვენების ყოფაში, და ამ რთულ ფსიქიკურ მდგომარეობას რაღაც დიდი ნაივლის ანარქიკლად გადაუვლიდა რომხს იდუმალი ნერვტარების დიმილი, და თბრობის ამ გამოკვეთილი, სრულყოფილი დაგვირგვინების შემდეგ მკითხველს თავი აღარ უნდა ემტერია ჩვეულებრივი შეკითხვებით: ნეტა რა

დაემართათ დანარჩენ პერსონაჟებს, ამას, ამას ან თუნდაც ამას.

ეს კრიტიკულ-ესთეტიკური ეტიკული გამოქვეყნებებო-და სტიანიბეკისათვის ნობელის პრემიის მინიჭებამდე — ანუ 1962 წლამდე — საში წლით ადრე... თუმც თბილისში ჩამოსული ამერიკელი მწერლისათვის საიდუმლოდ დარჩებოდა ამ სტატიის არსებობა.

მამინდელი დრო როგორც მოიხზოდა. ამ ლიტერატურული ნარკვევის გამოქვეყნებისას სტიანი-ბეკის ამტკიცოთ ეს რომანი, მისი არცერთი თხულებუბა არ თარგმნილიყო, ერთი ნოველაც კი, თუმც არამორდაპირი უკვე მხოვედრილიყო მისი მოთბრობაც და სახელუც ქართულ სამწერლო სიერცემი — დემნა შენგელაიას „განძი“ იგულისხმება, სტიანიბეკის „მარგალიტის“ ნარუმატებელი განმეორება, თუმც გარეგნული ნარმატების იერიც რომ დარჩენიდა, ზედმეტბოდა დაეაღებული ამერიკული მწერ-ლის შედეგისაგან. ისე ეს ვარებობა მამინეგ არ დარჩენილა შეუმწვეული და რეგავ ჯაფარიძე ადვოლად დაამტკიცებდა პირველფაროს არსებობასაც და მისი ხელუგების მოუნდლობასაც „განძიან“ შედარებით.

დავებოდა ამ მწერლის ქმნილებათათვის კარის გახსნის ფაში და „ქრიზანთემების“ ვახტანგ ქულიძისეული თარგმანის გამოქვეყნება უშუალოდ დაემთხვეოდა სტიანი-ბეკის სტუმრობას.

ეს ნოველა უკვე ანთოლოგიებშიც მოხვედრილიყო და მისი გადმოღება შეუქმნიდა მკითხველს მართებულ ნარმოდგენას მწერლის მხატვრულ ისტატო-ბაზე, ხოლო „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ დიდ ნარ-მატებად რომ არ ჩამოერთობა ამერიკულ კრიტიკას მისთვის, ვახტანგ ქულიძე არ დადიდებდა ამ ზედამიზულ შეფასებას, რადგანაც თვითონ ძალიან მოყმენებოდა და ვერ აეხსნა, თუ რატომ სწამებდნენ ამ რომანს ფორნალიზმის მოსალებას.

არა, გარეგნულად, სტილური სიმსუბუქითა და ყოფითობის რეალისტურ-ნატურლისტური წარმოსახვით იქნებ მართლაც დაგერქეს ეს შთაბეჭდილება, მაგრამ ის უღრმესი ტკივილი, რითაც განმსჭვალულია რომანი და ტრაგიკზმის სულისკვეთებამდეც მალდებდა, განა ასე იოლად მისაყურისძირებელია?

ტრაგიკის, გვარიმეულობის, კეთილმოზიღების თანდათანობით გაქრობის ხილვას სტილურლამდე რომ შეუარებას ითვს ჰოლი და სულიერი სიმარტუითი ვგარეხე გაკრული მაცხოვრის ტრაგიკული განცდის ანარქიკლად წარმოსდგება, განა შეიძლება ეს გამოგერქეს და თბრობის განგებებსა სიოლდე და ყოფითობის დეტალიზებამ გადა-ფაროს ყველაფერი?..

მეტი სინათლისათვის თვითონ ჰოლის ცნობიერებაში მოტეხილებს ვგარეხე გაკრული მაცხოვრის ხატება და მისი გაუსაძლისი სიმარტოვე, თუმც მოქმედების გათა-მაშების დროდ წითელი პარასკევისა და აღდგომის მერ-ჩევაიც ამაქუთრებულ მინიშნება გახლდათ იმ ქვეტექსტე-ბისა და რომანის მხატვრული მწნამსის ამოსაკითხად, ნუთსიოფლისა და მარადისობის ზღვარზე რომ ირანდებდა და კაცობრიობის სიცოცხლის დრამატისმით ბრუნდა.

ახალი ფაშის სიმზოლიკაში ეს განცდა, ეს ჭიდილი ამოღლებლობისაკენ სწრაფვასა და მის ტრაგიკულ გამი-წიერებადა-ქანცობას შორის ამ თვალათხედვით გამოიხ-

ატივობდა: ალბათ ასეთივე გრძობა ჰქონდა კეთილ ანტიმანს, როცა მისი ნალოლიანები აზრი მატერიის არის შესახებ ცეცხლის ალად მოედო პროსისმასო.

სხვაგვარად ამ განცდასა თუ გულის ჭდილს საყოველთაო მიმის ტრადიციაც ერქვა, ყოველ შემთხვევაში, უილიამ ფოლკნერი ამ ლიტერატურულ ფორმულაში მოაქცევდა და სტილიზირებულ მოხიბლულიყო ამ ლაკონური და ზუსტი განსაზღვრებით, თანაც ნობელის სამადლოელ სიტყვებით ფოლკნერის ამ განმარტებას საბაზადაც გამოიყენებდა, რათა თავისი დიდი ნინამორბედი განსაკუთრებული პატივისცემით მოუხსენიებინა — მასავით ვცდებოდა შევეყვებო თავგზაბნულ კაცობრიობას ამ პირქუში და უკაცრიელ დროის გამოვლამო. თორემ ეს ტრადიცია იმდენი ხანია გრძელდებოდა, ლამის უკვე სულერიებასაც ვაგინწყებდა.

— ფოლკნერმა ყველაზე მეტად უწყუდა როგორც ადამიანის ძლიერების, ისე მისი სიტყვის შესახებ. მან იცოდა, რომ მიმის შეცნობა და დაძლევა მწერლის არსებობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ლეთური ძალა ეტვირთა სტილიზირებას, ადამიანი იკეთებოდა უდიდეს სამშობობად ღვთისმოკლებულ სამყაროში და ამ ტრადიციის შემხედვარეს უნებური სურვილი გინდებოდა, იოანე მოციქულის იმ უდიდესესი ფრაზის ახლებურად გააზრებაზეც ვაფიქრა: ბოლო არის სიტყვა და სიტყვა არის ადამიანი, და სიტყვა ადამიანიაბაო.

„ნიუ-იორკ ტაიმსს“ მაიონ რამ დაანერხა 1968 წლის 20 დეკემბრის ნომერში, მწერლის გარდაცვალების დღეს: სტილიზირება ნობელის პრემია არ სჭარბებოდა, ეს ნობელის პრემიების კომიტეტს სჭირდებოდა სტილიზირებო.

ამ სიტყვებით კი გამოითხოვებოდნენ და... გადანივლებდა ეს ფრაზა სტატიიდან სტატიამი, ნიუ-იორკ ნიუზში, ენციკლოპედიიდან ენციკლოპედიამი... „რუსული დილორის“ ქართული გამოცემის გარეკანზეც მოხედებოდა.

სხვა კერძოთი ნობელიანტი არ შეუფასებიათ ასე — არც ამერიკასა და არც სხვა ქვეყანაში, არავისთვის გაუმტეხებიათ ახლება ქება.

ჯონ სტილიზირების მიმართ კი გაემეტათ.

1964 წლის 9 მაისს კი ბარათს რომ გამოუგზავნიდა კოლეუ ნაიდრატეს, თან ნობელის პრემიის მიღების ნარმოთქმულ ამ სიტყვასაც აახლებდა, როგორც საკუთარი რწმენის ყველაზე ხელშესახებ გამოხატულებას, და მწერლის მოვალეობას კი ამასაც დასძენდა, რაც 1962 წლის 10 დეკემბრის საზეიმო ცერემონიის რატომღაც გამოუტყობინა: სამყაროს ოდნავ მეტი მზიარებულა, ოდნავ მეტი სილად შექსინოს და ოდნავ მეტი სიცილითაც ააუოსო.

კაცები მაინც როდის ხდებოდნენ ერთმანეთის უახლოესნი? სტილიზირება ამაზე თვისი შეხედულება ჰქონდა: როდესაც ერთად იცინიანო. ამ დაქვირებებს ქართულ პოეტსაც უზიარებდა და მოაგონებდა, თბილისში ერთად რამდენს ვიცინოდით, კიდევ ცეცქავდით და კიდევ ველყოფითო.

სიცილსა და მზიარებებს ამოფარებოდა დიდი პოლიტიკური განზრახვანი და ენებები, უშუალოდ გადაჯაჭვული საპერიოდიკის კარის გაღებასა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან.

თვითონაც არ გაეცნობიერებინა ბოლომდე, ამ არენაზე მსოფლიო კლასის მითამამე რომ ხდებოდაო...

ამ სტრიქონების ნაკითხვას რომ მოსწონებოდა, ისე გულანად იცინებდა, საკუთარ თავსაც ნააჭარბებდა. თუცე მალევე მოსხედა სიცილს, რადგანაც... განზრახვა ჯერაც აღუსრულებელი რჩებოდა.

მცირერიცხოვან ერებს დიდი სახელმწიფოები მფარველობას გაუწევენ და ამერიკა არც თქვენ მიგატოვებთ განსაცდელშიო, — ამ იმედოვნების განხვევას ქართულ საზოგადოებაში ხელშესახები გამოძახილი ჯერჯერობით არ მოჰყოლია და ჯონ სტილიზირე, ვინ იცის, უილიამ ბატლერ იეიტსის აჩრდილსაც მესთხოვდა:

— ისევ მენ თუ შეახსენებ, რა დარდი გზრავდა, რას ესწრაფოდა და რას ენერებოდი, რა ევალებდა და მოეთხოვება მწერალს სახელმწიფოებრიობადაკარგულ მინა-წყალ ზეო.

## კულარაბი

# 2009 — ქნტ ჰამსუნის წლი

გადაწყვეტილებამ ნორვეგიამი, პატივი მიავან თელსაჩინო მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატს კნტ ჰამსუნს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებისადმი განსაკუთრებული სიმპათიებით გამოირჩეოდა, რაულ ვალენბერგის (შედეგ დიპლომატი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს მწერალი ებრაელი იხსნა სიკვდილის ბანაკებში განადგურების-აგან) საერთაშორისო ფონდის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია.

2009 წელს მწერლის დაბადებიდან 150 წელი აღსულიდება და ამასთან დაკავშირებით ნორვეგიამ წლევანდელი წელი ჰამსუნის წლად გამოაცხადა. ავსტრიაში მწერლის მუზეუმის გახსნაა განზრახულს.

ამ გადაწყვეტილებას ყველა ერთნაირად არ შეხედრიდა. „ნორვეგიის მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს ნაციზმის სამარცხვინო რეაბილიტაციას და მისილის სტილიზირებებს,

რომელთაც მსოფლიო ელოდება მისგან. ნინაალმდე შემთხვევამი ნორვეგიას მოუწევს ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედებათა შედეგებთან ცხოვრება.“ — ნათქვამია რაულ ვალენბერგის ფონდის ხელმძღვანელი საბჭოს წევრის ნიკოლას ტრონესის წერილიში.

პასუხად ნორვეგიის საჯარო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ მწერლის სლოვისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი მის ნაცისტურ წარსულსაც წარმოაჩენს, რაც ხოლოკოსტას ისტორიის ცერაობის 60% მეტი ებრაელი მოსახლეობის განადგურება ნაცისტთა მიერ გამუდმებული დევნისა და ხოცვის შედეგად გერმანიისა და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიებზე 1933-45 წლებში შესასწავლად საგანმანათლებლო მიზნებსაც მოემსახურება. ცხადია, ასე სჯობს — არა მიქმნულა და აკრძალვად, არამედ ყველაფრის გათვალსაჩინოება.



პაატა ჩხეიძე

# კვლევა-აღდგომა

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

- საკუთარ გასვენებაში საკუთარი საფლავის პირას დგომა.
- საღ ისურვებდით ცხოვრებას?
- საქართველოში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— საკუთარი ქმნილების ნახვა.  
— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი“), ლევო („ბორიაცი“), ჯოჯოლა („სტუმარ-მასპინძელი“), კვენტინ დორჯარდი (უოლტერ სკოტის ამავე სახელწოდების რომანიდან)...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?  
— დაივიწყებდით, ქეთევან ნამეხული, სოლომონ ლომიძე...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?  
— დიმიტრი ერისთავი, კარლო ფაჩულია.  
— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?  
— ზოინა კვერნაძე.  
— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ვაჟკაცობასა და შრომისმოყვარეობას.  
— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?  
— დედაკაცობასა და შრომისმოყვარეობას.  
— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— ერთგულება.  
— თქვენი საყვარელი საქმიანობა?  
— მასწავლებლობა.  
— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ავთანდილ ჩხეიძე.  
— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?  
— მიმდობლობა.  
— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?  
— მეგობრობას.  
— თქვენი მთავარი ნაკლი?  
— სიზარმაცე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?  
— რაც შეიძლება მეტი მადლიერი ადამიანის დატოვება შენს შემდგომ.  
— რა იწინებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— რწმენის დაკარგვა.  
— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?



— ფიზიკელი, ცნობისმოყვარე, შრომისმოყვარე.  
— თქვენი საყვარელი ფერი?  
— დაბინდული ქლიავისფერი.  
— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ია.  
— თქვენი საყვარელი ფრინველი?  
— შავფალა შიმშიო.

— თქვენი საყვარელი მწერალი?  
— ოთარ ჩხეიძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?  
— რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი, ნიკო სამადაშვილი...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალბი?

— ოთარანთ ქერივი, ვაჟა-ფშაველას ლელა, ფოლტერ სკოტის ფლორა მაკივილი, ოთარ ჩხეიძის თეკლა...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— გიორგი VII, დემეტრე თავდადებული, ლუარსაბ III, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, მერაბ კოსტავა, ჩარლზ პარნელი...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?  
— ქეთევან დედოფალი, თეკლა ბატონიშვილი, მარი მაყაშვილი...

— საყვარელი სახელები?  
— როსტომი, რევაზი, დიმიტრი, გიორგი, ნატო, ნონა, ლალი...

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?  
— როცა მალევიებენ.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დამისახარა?

— ყორღანაშვილი, იასე ფალავანიშვილი, სოსო ჯულაშვილი, სერგო ორჯონიკიძე...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი შეტანაკლები ალტაცებისა?

— შარბაძის ბრძოლა, ასპინძის ბრძოლა, ყვარელის დაცვა, კოჯრის ბრძოლა...

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ქრისტიანობის შემოღება საქართველოში.  
— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერისა.  
— როგორ გინდათ გარდაიცვალოთ?


— უცერად, მუშაობისას, კარგ გუნებაზე მყოფი.  
— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?  
— შენუხებული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— უნებური შეცდომები.  
— თქვენი დევინი?

— კვლევა-აღდგომა.  
— თუკი ოდესმე შეხედებოდი ღმერთს, რას ისურვებდი, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— მთლად ტყუილად არ გიცხოვრებო.



რეზო ჭყიშვილი

ემზარ კვიციანი

# სამაია

თეთრი მატარებელი

სადგური.

მატარებელი.

ციხფრად შედგებილი, მოღიავებული სახაფხულო ვაკონ-ბი – თბილისი უდაბნო.

ვაკონებზე შემოხვეული ფერადი ბაფთები ასეთი სიტყვებითაა აჭრელებული: „კეთილი მგზავრობა ლურჯი ზღვის ახალგაზრდა მშენებლებს“, „ლურჯი ზღვა“, „ჩვენი შევექმნით ლურჯ ზღვას უდაბნოში“.

ბექანზე უამრავი ხალხი.

წამსვლელები და გამცილებლები ერთმანეთში ირვებიან. ქალებსა და ვაჟებს ღია ფერის მსუბუქი ტანსაცმელი აცვიათ.

ვაკონის ხმა. სიცილი. ხმამაღალი ლაპარაკი.

მატარებელი გახსნრივ დადღლილი თორნიკე შორბის. იგი ვაკონებს ათავსიერებს. ნაცნობებს ესალმება და გამცილებელთა ვჯავთებს მოურიდებლად მიარდევს.

ვაკონის მოაჯირზე გამომოყდარი სიმონი. სიმონს ფეხები ღიანდაგების მძარეს აქვს დადმონყობილი. ზურგჩანთა სვეტზე მიუკიდია.

თორნიკე – (გაოფლილი, დადღლილი) სად არის თამარი? სიმონი – თამარი?... არ ვიცი!

ზაღბის ხმაური, გნისასი. სიმონის ხმა ძლივს ისმის.

სიმონი – (ხმამაღლა) მოდი, თუ!

სადგურის ზარის ხმა

თორნიკე – არ ვიცი

მატარებელი ნელ-ნელა დაიძვრება.

სიმონი – რაზე მკითხებ? (თორნიკე პასუხის გაცემას ვერ ასწრებს)

ვაკონები. ბორბლები. გაიძვებული სახეები. ყვავილები. ერთი ვაკონის ციხფერ სვეტთან თამარი დგას. თამარს იასპინის პაჭარა ტოტი უჭირავს ხელში. ლოყა სვეტზე აქვს მიდებული საოცრად ნაღვლიანი თვალებით ტოვებს ქალას.

მატარებელი უმატებს სიჩქარეს, ლიერდება აერხებილი ვარ და მარხულებს” მელოდიის რიტმი.

საღამოვება. მუც ჩადის. თორნიკე ღიანდაგებსშუა დგას და მატარებელს უყურებს. მატარებელი მიდის სულ პირდაპირ და პატარადება. ღიანდაგები თანდათან უახლოვდება ერთმანეთს. წყნარდება მუსიკა. თეთრი მატარებელი შედის ღრუბლებში.

ზემოდან ჩაბნელებული თბილისი მოჩანს. უეცრად ყველაფერი განათდება. ყველა ლამპობანი ერთად აინთება. ყველა სახლის დაწვრილად ერთდროულად გამოვარდება სინათლე.

თორნიკე ოთახში შედის. ცდილობს სინათლე აანთოს. ტყუპმა ნახსამია. ხელში კონიაკის ბოთლი უჭირავს.

თორნიკე – რა ჭირი დავმართა, რატომ არ ინთება?! ფილიპეს ხმა – (მეორე ოთახიდან) რაღაც ჩაინვა დამცველში.

თორნიკე – როდის?

ფილიპე – რა ვიცი როდის. ტკაც! – დაიძახა და ჩაქრა.

და ჩემი ლექსების პირველი მსმენელი.

(„ავაცია“)

ცხრა ჭაუხს ვადმოვანი ვიქვი,  
გულში ბორგავდა ლექსი,  
ცხრა ჭაუხს ვადმოვანი ვიქვი,  
ფიქრი მთავარზე შევსვი.

(„ვეთა ჩარგალში“)

ჩვენ, ისევე როგორც სხვებმა, ბევრი გადავიტინეთ. მტრის შვილები ვეგრძევა. დიდი სიღუბეში გამოვიარეთ. გაუსარელი ბავშვობა გვექონდა...

ხშირად მესიზმრებო ხოლმე ვახუშტის ის ძველი, აივნისანი, ლამაზი ორსართულიანი სახლი, ჩემთვის ძალიან ძვირფასი, ჩემმა ბავშვობამაც ხომ იქ გაიარა. სიზმარში სახლი ყოველთვის განათებულია, გაღებული კარ-ფანჯრით, ცარიელი, ადამიანების გარეშე...

აღბათ ვახუშტის მოლოდინში... თითქოს ვახუშტის ხმაც ისმის, მშობლებისადმი მიძღვნილ ლექსს რომ ამბობდა მისწავლეობისას...

ჩვენ ცისფერ ყვავილებს ვეაჩუქებს მთაწმინდა,  
და მათ საფლავებზე ცრემლებად დავეღვარათ.

რეპორტაჟი

თამარ ლონღაძე

მზა თიხასა და სიტყვაში

და კიდევ მეოთხე  
შახვედრა ზუგდიდში

მკითხველს ვერ მოისყიდი, პირთუნელი მსაფუღია. წიგნს ძალით ვერ მოაწონებ და, მითუფრო, ვერ შეაკვარებ. ამიტომაც მწერალი თავის თავს ყოველთვის მკითხველთა „ამონებზე“. მისი გულისყურიც ყოველთვის მისკენ არის მიზნობრილი. მისკენ მიეჭრება, მისკენ მიეზიდება...

ამჯერად მწერლებს ზუგდიდში ელოდა მკითხველი. როსტომ ჩხეიძის შემოთავაზებას, ხომ წამოხვალო, მაშინვე სიხარულით დავეთანხმე... მეც, ერთი მკითხველი, მათ ამქარში გავეურთო... ასეთი შეხვედრების დროს ყოველთვის დიდი სითბოთი და სიკეთით ივსები და იმუხტები. იცი, რომ იმედგაცრუება არ გელოდება. სულის საგზადაც წამოიყოლებ, როგორმე დედაქალაქის ქარბორიას რომ გაუძლო და გადაურჩე...

სამი წიგნი... სამი შეხვედრა... მათ შესახებ წინასწარ ჩვენი მწერლობის“ ლამაზი ჩანართი იუნჯებოდა:

ზუგდიდის IV საჯარო სკოლაში გაიმართება წარდგინება როსტომ ჩხეიძის წიგნისა „ბურჯი ერონებისა“ (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა).

არტ-გალერეაში გაიმართება წარდგინება ელგუჯა თავბჯირების წიგნისა „აარქვი ივერია“ (ჯენტლმენ სოლომონ ამორდაის ცხოვრება და შეხვედრები).

ნიკო დადანიისეული სასახლის დარბაზში გაიმართება წარდგინება ზვიად კვარაცხელიას ნოველებისა და შინა-ტურების კრებულისა „პაე“.

სამი სხვადასხვა შინაარსის, ხასიათის, განწყობილების წიგნი. ყდები და სათაურები უკვე გვეპოვება მრავალფეროვნებას და პირველი შთაბეჭდილებაც იქმნება. შეხვედრის სხვადასხვა მისამართები საინტერესო გზასაც გვიხაზავს. მასპინძელთა გულის მონაწერი და გამოწამოქი სითბო, სიყვარული და სინათლე კი უხვად გვეღვრება... მიუხედავად ამ საერთო თვისებებისა, სამივე შეხვედრა განსაკუთრებულია, თავისთავადია.

მს რა რია-რია დახვიყნა

ზუგდიდში ჩასულემა პირდაპირ IV საჯარო სკოლას მივაპირეთ. მასპინძელი თან გვახლდა — ზვიად კვარაცხელია, რომელიც ჩვენთან ერთად ნამოვიდა თბილისიდან. გრძელი გზა შემწმინველად გაილია ისევ და ისევ მწერლობასა და ქვეყნის ავ-კარგზე საუბარში. ქუთაისიდან დამგზავრებული მწერლებისა და მათი ახლობლების მანქანაც ნამოგვიწია. „ჩვენი მწერლობას“ ეს ძალაც აქვს — დააკე-პროსი, შეკრას და გააერთიანოს იმერ-ამერი. წიგნს და მწერლობას ნამვილად შეხსენებს ამის უნარი!

შენობიდან სკოლის დირექტორი — ქალბატონი ხათუნა დარასელია გამოგვეგვება. მისმა მომხიბლავმა ღიმილმა და გულთბილადმა დახვედრამ ისეთი სითბოთი ამაგს, თითქოს ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით. ეს მშვენიერი ქალბატონი შეგვიძღვა სკოლის საატეო დარბაზში, სადაც უკვე გველოდნენ. გველოდნენ მისწავლელები, მასწავლე-ბლები, მშობლები... უბრალოდ, მკითხველები, ესე იგი, მწერლობის გულშემბატკვარანი, დამფასებელნი და უღლატო მეგობრები...



ერთი წმინდა სახელის ირგვლივ ეტრიალებდით ყველანი ფიქრით, აზრით და სიტყვით. იაკობ გოგებაშვილი, მისი დიდი ღვაწლი და მის ზე დაწერილი ვებგვერდილი ნიგნი გეკარანა-ხოვბა სათქმელს. ნააზრების ის უშრეტო ნაკადი ბადებდა სა-ერთო სულსკვებებს, რომლის სათავეცა და შენაკადებიც როსტომ ჩხვიძლის ვარიანის მადლიანი წყაროსაგით ჩვენ გუ-ლებსკენ მომართავდა და ჩვენც მწყურვალნი დავნაფებოდით. ეს ასოციაცია წინო ვახანიას გამოსვლამ „მიკარანაბა“. მან „ბურჯი ეროვნებისაზე“ საუბრისას ახსენა იაკობ გოგებაშ-ვილის სახელ-მწიფეში ვარიანში: „იაკობის სახლი, ეზო, ეკლეს-სია და წყაროები, უხედა ჩამომდინარე წყაროები, შიგ ეზოში რომ მიედინება, მონიფულ ასაკშიც წარუშლულ შთაბეჭდი-ლებას ახდენს ადამიანზე, მით უფრო ამასსურებდა იგი ბავ-შეის ნრფულ, ცინცხალ სულსა და გონებას. იაკო-ბის წყაროები შერატვა მის ითარი ჩხვიძემ და რიტუა-ლდაც დაამკვიდრა იმ წყლით ვაგრობება. იაკო-ბის წყაროები ცოდნის წყაროდ, ცხოვრების წყა-როს სათავედ, მამულის სიყვარულის მისაზრდო-ებლად, მწინდა ემბაზადაა გასიმბოლოებული როს-ტომ ჩხვიძის ნიგნი“.

ზუია დეკარაცხელია, მანანა ბუკია, ნესტან ფი-ფია, ელვუჯა თავებრძე, წინო ვახანია, მანანა კაკუ-ლია, ლუკა დვლიანიფილი, თამარ ლორდაძე — თითო-ქოს პირი შეგვეყვია, ერთსა და იმავეს სხვადასხვაგვარად, ჩვენებურად გამოვხატავდით, ოღონდ გულისნადები თითქოს ერთმანეთისთვის ვაგვეცევა-ლა არა მხოლოდ გამოშვილებებს, დარბაზში მსხდომთაც. განსაკუთრებით ის სამი მეთოხეკლასელი გოგონა მინდა ვახ-სენო, რომლებიც თავის მასწავლებელს, ქალბატონ ნონა ჩავი-ნავას მისხდომოდნენ გვერდით და სულგანაბლნი გვიგდებ-დნენ ყურს. ეს გოგონები: წინო ლურსკია, ვიკა კვიტაშვილი და ნათია ნარმინია „დედაჩენის“ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები ვახლდნენ და ვრცელი ლიტერატურული მონ-ტაჟიც მოშხადებინათ ჩვენთვის, რომლის წარმოდგენაც შემდეგი შეხვედრისთვის დავგეგმეთ.

გამომშვილებთაგან უამრავი საგულისხმო და საინტე-რესო მან იქცა. ჩვენ სწორედ ერთ-ერთი მათგანის, ქალ-ბატონ მანანა ბუკიას დავესტეხეთ ამ ჩანაწერის სათაურის. სწორედ მან იქცა: როსტომმა ეს რა-რია-რია დაატრიალა იმ ადამიანებთან, რომლებიც ფრესკებივით არის აღფეჭილი ჩვენს წარმოსახვაში. ქალბატონმა ნესტან ფიფიამ კი დასძინა: ეს ის რა-რიაა, რომელსაც უამრავი ნიგნის ნა-კითხვა სჭირდება.

თვითონ ნიგნის ავტორისთვის ასეთ შეხვედრებს კიდევ უფრო დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს: ერთიანობის აღდგენისა და მონათესავე სულთა შეერთებისა. მაგალითიც ისეთი უნდა, როგორსაც თვითონ იაკობ გოგებაშვილი გვაძ-ლევს, უიარალოდ, რწმენით გასაღკლდეებული რომ შეეხა

იმპერიისა და გაიმარჯვა. დაიჯერებთ თუ არა, ასეც ყოფილი საქართველო, ასე მოისვენებოდა მის ღვოს ოფიციალუ-რად უკვე რუსეთის იმპერიის მიერ თავისად მიწინააღმდეგე ჩვენს სამშობლო. „დედაჩენა“ და საერთოდაც, საკუთარი სული აქ-ცია გოგებაშვილმა გრის ბურჯად: ყველასთვის ნათელი ხდე-ბა, რა გზით ღირს სელა...

ნანახი ნიგნი

ტურენ გავრძელება. იმავე დღეს, საღამოს, როგორც გა-მოცხადებული იყო, მეორე ნიგნის წარდგინება გაიმართა. იმთავითვე აღინიშნა, რომ „აირევი ივერია“ — ვალაქ-ტონის პალატებში ზუ-სტი არჩევანია მწერლისა. სათაური ისევე შეგნის ნიგნს და მის შინაარსს, როგორც ყველასათვის ცნობილი და საყვარელი მხატვრის — კარლო ფა-ჩულის ილუსტრაცია ყდა-ზე. ჩოხოსანი, ულვაშებ-დანკებილი ვაჟაკის მოძ-რობასა და მანერის უცებ ამოცოხებით მის ხასიათს.



მანანა ბუკია, ელვუჯა თავებრძე, ნესტან ფიფია

ზუგდიდის არტ-გალე-რეში ცოცხალი და და-მუხტული ატმოსფერო შე-იქმნა. თვითონ სოლომონ ამორდია თალითურ-ავა-ნტურისტული ბურჟისა და „საქმენი საგმირონის“ გარდა ეს, რასაკვირველია, ისეთი მთხრობელის „ბრალი“ გახლდათ, როგორც ელვუ-ჯა თავებრძეცა.

ამ შეხვედრაზეც ბევრი ითქვა საგულისხმო და დასა-მასსორებელი. სათაურიც ისე ქალბატონი მანანა ბუკიას გამოსვლამ „ვიპოეით“. მან ასე დაახასიათა ელვუჯა თავ-ებრიძის ნიგნი: ნაქტილი ნიგნია, და იქვე განვვიჩარტა, ეს სიტყვა იმერულ დიალექტზე ლაზთაიანს ნიშნავსო. „აირევი ივერია“ ლაზთაიან და მისი მთავარი პერსონაჟის შივსია თუ მოხერხებაზე, ამორდიაზე, რომელიც ერთ-ერთი პროტოტიპია კვაჭი კვაჭატირაძის კომპიზირებულ სახი-სო, ისაურებამ ზეიდა ეკარაცხელიამ, როსტომ ჩხვიძემ, კარ-ლო ვეკუამ, მანანა ბუკიამ, ლუკა დვლიანიფილმა, ნინო ვახა-ნიამ, თორნიკე ერისთავმა (ავტორმა პოემისა ა.აკაკი წერე-თელი) და თვითონ ავტორმა — ელვუჯა თავებრძემ.

არ შეიძლება არ დავეთანხმით ნინო ვახანიას აზრს: „აფიორასაც ნიჭითურად ეკუთვა უხეუბა. ვახსოვთ, როგორ გაითამაშა ზღვაში დახრჩობის იმიტაცია ამორდიამ, როგორ მიჰყიდა ვიღაც ვაჭარს ალექსანდროვის ბალი ან როგორ გა-ყიდა სამგერელის აბასთუმანი? როგორც სოლომონის ძმძი-ვილი ამბობს, ამ ამბების მოსმენისას ძნელად შეეკატნა ვინ-მე თავს ლიპილისგან. გარდა ამისა, შექმლო სხვისი ხელწე-რის ხელტაღ, უშენებაკლებად ვაგმორება, ვაგმობნა, ჰქონ-და ძალთან ლამაზი ხელწერა (მისი წინაპრები ვაგმომწერლები თუ იყვნენო?“ — ფიქრობს ავტორი). ჰქონდა მწერლის ნიჭი. მი-

სი ნაწერებისა შეიძლება შეებარბოს კიდევ რომელიმე ნას-  
ნავლ კაცს. ენაზეა ბატონ ელგუჯას, ისევე როგორც ბატონ  
როსტომის ენაზეა ისევე ფალავანდშვილის ნიჭი თაღლითობი,  
სისივისი, ავანტიურისზისისთვის. დამოუკიდებელ ქვეყანაში,  
სადაც ილიას ლლით ლუნიას არ იყოს „გაიჯი ვაგაბდა და ქა-  
ლაი ქალაბდა“, იქნებ ქვეყანას მოხმარებოდა ამორდიასებ-  
რთა უნაჩინა. მაგრამ დრო იყო ორადრული.

ამორდიას გელუმნობით ითვლებოდა ნამდვილი თავა-  
დის, ე.ი. ერის ღირსება, უფსკრულში მიეჭანებოდა ისედაც  
მოლიბულ გზაზე შემდგარი ქვეყანა.

წარსულის კარგიც უნდა ვიცოდეთ და ცუდიც. აეს რომ  
ავი უნოდოს, ამაში მწერალი უნდა დაეხმაროს საზოგადო-  
ებას, რაც ჩინებულად შეძლო ელგუჯა თავებრიდემ.

თითონ მწერალმა ელგუჯა თავებრიდემ მკითხველს  
უამბო, რა მასალას გაეცინა, რამდენ საინტერესო ნიუანსსა  
და მოულოდნელობას გაადაწყდა და იმ დროის რომელმა  
მოვლენებმა მიიტკია მისი ყურადღება, რომლებიც ეპოქის  
სახეს განასახლებრდა და უთუოდ ითხოვდა განზოგადე-  
ბულ განახრებას.

თუმცა დღევანდელი ნეოამორდიანობისთვის, ალბათ,  
სოლომონ ამორდიად ერთი უწყინარი რომანტიკოსი მატყუ-  
არა იყო, რომელიც მათ კოჰამდეც ვერ მისწვდებოდა. ის  
ნამდვილად ვერ მოსახზრებდა ქალაქში ტროტუარის გა-  
ყიდვას, თანაც ცხრაჯერ და თანაც აუცილებლად უნივერ-  
სიტეტის წინ გაშავალი გზისას...

იქნებ სოლომონ ამორდიას საფლავიც მოგვეძებნა, აუ-  
ცილებლად უნდა ვიცოდეთ. როსტომ ჩხვიდემ კიდევ ერ-  
თი ახალი საქმეც დასახა.

**მისაზრთხილავალი მწარლის ნიშნი**

არც ამჯერად ველალატობთ ნაცად გზას და ისეც ქალბა-  
ტონი მანანა ბუკიას გამოსვლიდან „ესკესულობთ“ ფრაზას  
სათაურად. მოსაფრთხილებელი მწერალიაო, ბრძანა მან  
თავის გამოსვლაში „ჩვენი მწერლობის“ მკითხველისთვის  
უკვე კარგად ნაცნობ ახალგაზრდა შემოქმედზე — ზვიად  
კვარაცხელიაზე.

ნიკო დადიანისეული სასახლის დარბაზში ბეგრმა ხალხმა  
მოიყარა თავი. ჩანდა, ზვიად კვარაცხელიას, მიუხედავად  
თავისი ახალგაზრდული ასაკისა, უნაჩრავი მგებრობა და თა-  
ნამაზრე შყავს — სხვადასხვა ასაკისა თუ პროფესიის, რო-  
მელთაც ზვიადის გადამდებე ენერჯის წყალობით ერთად  
მოუყრიათ თავი. აქ ჩანს, რომ ყველას უფროსი ლიტერატურა,  
ყველა პატივს სცემს წიგნს და იმ საქმეებს, რომელთაც ეს კე-  
თილობილი ახალგაზრდა კაცო შესჭიდებია.

ტრადიციულად ამ შეხვედრაზეც ბეგრი იყო გამოსვლის  
მსურველი. სურდათ თავისი სიტყვა ეთქვათ, შეგვლიანე-  
ბინათ ახალგაზრდა მწერალი. მართლაც საქებარი წიგნი  
შეეჭოთ და მომავლის საგზადაც ურუქებინათ მაღლიერი  
მკითხველისა და გულშემატკივრის აზრი და სითბო სიმწე-  
ვისათვის, დაბრკობებათა გადალახვისთვის მწერლის მწე-  
ლადსავალ გზაზე.

წიგნი ჩანს და იკვეთება, რომ ზვიადი სამივე დროს ერ-  
თნაირი სითამამით უსწორებს თვალს და საკუთარ თავში  
და შემდეგ უკვე თავისსავე წიგნში სამივე დროს ახედვრებს  
ერთმანეთს.

„ზვიადი სამივე დროში ერთდროულად ცხოვრობს. მის-  
თვის ასპინძის ომი გარდასული როდია. ომში ნასულ ქმარ-  
შვილზე დარდი მოასანი ქალისა ღია ჭრილობაა ახლა. არც  
ჯარვისა მაღადა, არც ვეფხვისა და მოყმის შებმაა მისთვის  
მხოლოდ მითი, ლეგენდა. ამიტომაც მის მოთხრობებში ეს სა-  
მი დრო ერთმანეთთან მერწყმული, ერთმანეთზე გადაფე-  
კული. წარსული არ არსებობს. წარსული ამწყობა და ორვე  
მომავლისკენ იყურება“ (წინო ვახანის გამოსვლიდან).

როსტომ ჩხვიდემ საჯაროდ ბიოგრაფიული რომანის სა-  
წერადაც შეავლიანა ზვიადი. სწორედ იონა მუწარგაის  
„ჭირისუფალს“ მართებს ამ საქმის აღსრულებაო. ზვიადი  
ხომ ამ საზოგადო მოღვაწის სახელის „გაცოცხლებისთვის“  
დაუღალავად იღვწის.

ზვიადის წიგნზე, მის გაკეთებულ საქმეებსა თუ საინ-  
ტერესო ნამოწყებებზე ისაუბრეს ზვიად ცხონდიამ, გელა  
მამფორიამ, მანანა ბუკიამ, ნესტან ფიფიამ, ნანა ზუბუამ,  
წინო ფიფიამ, ზარა ბუჭიათა, მადონა ჯაბუამ, ლილი ბე-  
რიათა, კლიმენტე კიკალიშვილმა.

შეხვედრის დასასრულს მამა მალხაზი (ჭანტურია) გა-  
მოვიდა, რომელმაც ბრძანა, რომ მწერლის სიმამრად სა-  
ბატრელი და შესაშურია და რომ ზვიად კვარაცხელიას  
მხურავლე გულიდან ამოჭანილი, სიყვარულით ნადერი  
წრფული სიტყვა თავის გზას ყოველთვის იპოვის.

გადასრულები, იმ შეხვედრაზე მყოფნი — ყველანი ამ  
აზრს უხმოდ ვეთანხმებოდით...

**გამოუსხადავალი შხხეარა**

კიდევ ერთ შეხვედრაზე მინდა გაამბოთ. ის არც არავის  
დაუგვემავს, მით უფრო არავის არსად გამოუცხადებია.

ზღაპარში მოხვედრა ხომ ყოველთვის მოულოდნელად  
ხდება...

ზუგდიდში აბსანძეების ოჯახმა გვიმისპინძლა. ზღურ-  
ბზე გადავაბიჯეთ და... ზღაპარიც დაიწყო. უჩვეულოდ  
მაღალჭერიან ოთახში სუფრა იყო გაშლილი. ამ სუფრაზე  
უბრძანა და ჩვეულებრივი არც თეფში იდო, არც ჭქაჟ იდ-  
ვა, არც სხვა რამ ჭქოჭრელი. თბა მართლაც მღეროდა. მი-  
ნას მზე მერთოვდა, რაღაც ჩამთბარ-ჩამტყობარ მონითა-  
ლი ფერი მივლო, ოსტატსაც მოეძებნა, ხელოვანის ფაქობრი  
ხელი შევხო, ეს სულამაზე გამოქოქებ-გამოიენდა და ღა-  
ვარდის ფერთა ჭქოჭრით დაამშვენებინა. ზემოდანაც  
სხვადახარი, არამგველებრივი კერამიკის ჭალი დაგვანათო-  
და. თითქოს სიტყვას სიზმრად ჩაყოლილი ოცენმა გამოე-  
ძერნა. კედლებზე ნახატები ეკიდა. უკონტურო თბილი ფე-  
რები ასევე ზღაპრისთვის ჩვეული უნიორი ლივლითი ერ-  
თმანეთში გადადიოდა. შემეძინდა, თუნი არ მიმეუფლებო  
და არ გამიძრეს ეს სამყარო-მეთქი. მგონი ამავე ფიქრობ-  
დნებ დანახარებნივტი. მხოლოდ ამის თქმას ვახებრებოდა: რა  
საინტერესა!

ზვიად კვარაცხელიას ნათქვამმა გამომარკვია ზღაპ-  
რული უწუმობიდან. ეს მოხვეული ხის კიბე ბავშვობიდან  
„ჩემია“. აქ ჩამომიჯდარს მიყვარდა ყოველთვის მანანა მას-  
ნაულეზლის მოსმენაო. მხატვარ-კერამიკოსის რობერტ აბ-  
სალოის მუღული — ქალბატონი მანანა, მოთხეთ საჯარო  
სკოლის ისტორიის მანაულეზელია და, მასთან, ჩვეულები-  
სამებრ, თურმე თავს იყრიდნენ და იყრიან ხოლმე მისი მო-



## რეპორტაჟი

ნაფები — ძველები ვეღარ შორდებიან, ახლები ემატებიან... კობეც, ალბათ, ბევრს იტყვის... ეს ოჯახი კი ნამდვილად დიდ და უღრვე სიყვარულს და სილამაზეს მოიცავს, რომელიც ანდამატიური გიზიდავს და ვიპყრობს.

აჭარა ატმოსფეროს რომ შევინის, სადღერადელო და სამადღებელიც იმგვარივე სადა და მშვენიერია.

ზღაპარი გრძელდება... თავიი ტყვეა სილამაზის და ახლა ყურს ეღამუნება მეგრული სიმღერის ტკბილი ჰანგები. მასპინძელი გოგონები — ცირა და ქეთევანი დედისთან ერ-

თად მღერიან. ისინი წუმღებინა და ახლა ჩვენი ლეგან კიკნაძე შეავლეს გიტარას ხელს, ჩამოკრავს სიმებს და ახლა მისი გემრიელი და გულში ჩამწვდომი სიმღერა ისმის. მადღერიებისა და სულთა თანზომობის გამობატყაც ასეთი უნდა! სიყვარული და სილამაზე ჩვენს გულებში გადად-გადმოდის და არსად მიდის. ჩვეთთან რჩება იმ მშვენიერების ნაწილად, რომლებიც თავის თავში ქართული ფიზის კოდს ატარებს ისევე, როგორც ძველისძეული მარნის ასევე უძველესი ქვევრების ძირში აღმოჩენილი ყურძნის ნიწბები.

## კრიტიკა

ინგა მილორავა

# სიტყვიარი ზედაშეს მადლი

## კაა ფსალაქის ნოველაჟი

რა სასიამოვნო და საინტერესოა. ძალიან კარგი ნიგნია — ასე უბრალოდ და მარტივად შეიძლება გამოხატოს ის გრძნობა, რომელსაც ალბათ ბევრ მკითხველში აღძრავს ეკა ფსალაქის მოთხრობების კრებული „ვამი დაფიონისა“. თითოეული მოთხრობა პატარა სამყაროა, თავისი საზღვრებით, ლანდშაფტით, მცხოვრებლებით, მოქმედებით, პრობლემებით, გრძნობებით, ფიქრებით. ამ სამყაროს სიღრმიდან კი ისმის მუსიკა, რბილი, ნაზი და სულში-ჩამწვდომი, თითქოს მოპენისეული ბგერები გარდაიქმნა სიტყვებად. აზრისა და ემოციის თანაზომიერი შეხამებით გამოლიანებული ნარსდგება ეს პატარა ნიგნი მკითხველის წინაშე და თავის ადგილს მოძებნის მის სულიერ ბიბლიოთეკაში. პირველ ყოვლისა, ფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ის მოფლმხედველობრივი საფუძველი, რომელიც აშკარად ჩანს ამ ნიგნში. ეს არის ქართული სული — ის მოუხლეჩებელი, მაგრამ ზემძღავარი სუბსტანცია, რომელიც თითქოს ყველგან და ყველაფერში ნივთიდება: მიწის სურნელში, ვაზის პნკალებში, ღვინის ფერში, ჩანჩქერის თავდაინეებულ ვარდნაში, დაბნობისურ სიტყვა-პასუხში, ოჯახურ სითბოში, უსაზღვრო სიყვარულში, ასევე ზღვარდაუდებელ ტკივილში, ნებოაში, სიკეთეში და, საერთოდ, ყველა სიტყვასა და შტრიხში, მოძრაობასა თუ ბგერაში, ფერსა და სურნელში, შეხებებსა და ნარმო-სახეაში.

შესაძლოა, ათი-თხუთმეტი, თუნდაც ხუთი წლის წინათ ასე მკვეთრად არც ყოფილაყო საჭირო ხაზგასმან ნიგნის მარადიულ ფასეულობებსა და ქართულ სულისკვეთებაზე მათი „მშვიდობიანი“ და პარმონიული თანარსებობის თვალსაზრისით, მაგრამ დღეს ეს უბრალოდ აუცილებელია და თუ ჩვენი სიტყვიერების განვითარება ვკსურს,

მაშინ გარდაუვალიც. რა დასამალია და არტეფაქტების შემქმნელი და შემმეცნებელი საზოგადოების უდიდესი ნაწილი დღეს ორ ნაკადადაა გაყოფილი: ერთი მხრივ, ნებაყოფლობითი „ბამბუჩები“, რომლებიც უსიტყუო მორჩილებით იღებენ არასწორად გაგებულ და მავნეძველ კოსმოპოლიტიზმს და მასთან ბუნებრივად შეკავშირებულ ვითომ თანამედროვე ფორმების სნობურ ძიებასთან უხამსად გადაწილი ვალატაკებულ ლექსიკას და მთორე მხრივ, უზიდავი მტრების, მასონების, შეთქმულეების, საიდუმლო ოქმების და ა.შ. შიშით დაზაფრული და თითქმის ისტერიკამდე მისული ადამიანები, რომლებსაც ცოტა ხანში მხოლოდ პათეტიკური ფრზის შემმეცნება შეეძლება და ისიც ჩაქეტილ, კულტურულად და ფიზიკურად იზოლირებულ სივრცეში. ასეთ ვითარებაში ძალიან მძიმეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ უფრო და უფრო მცირდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც მალევე ესთეტიკური ღირებულებების საფუძველზე ქმნიან ნაწარმოებებს, რომლებშიც ცოცხლდება ქართული სული და იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებსთვისაც სასიცოცხლოდ აუცილებელია ამგვარ მზაფუძვლებსთან ურთიერთობა. ამიტომაც ეკა ფსალაქის ნიგნი ალიყება ერთ-ერთ იმ პატარა, მაგრამ სულთა, გრილ, გამჭვირვალე ჰაერის ნაკადად, რომელიც დროდადრო მანძი შემოიჭრება ხოლმე ჩახუთულ მტვრინან ოთახში.

აქვე უნდა აღენიშნოთ მწერლის დამახასიათებელი ერთი შტრიხიც, შესაძლოა, ყველაზე უფრო დასაფუძვლილი: იგი მთლიანად ფლობს სიტყვას და აქვს განსაკუთრებული უნარი ხელმეძახებად აქციოს ის, რაზეც წერს, რაღაც გამორჩეული გამომხატველობით ხერხების გარეშე, შობლოდ სადა, მოქნილი ფრაზებით და შინაგანი სინრფულით



ის აღწევს მოქმედების და სახეების სრულ ვიზუალიზაციას და თანდასწრებით შეგრძნებას აღწერას.

ნიგნში თერთმეტი მოთხრობაა შესული. თითოეულ მათგანს თავისი ტკივილი და თავისი ძალიანი მნიშვნელოვანი სათქმელი აქვს. «ქარ-რთველიანი ქვეყანა» კლასიკური ნოველის პრინციპითაა აგებული: მოკლედული სამოქმედო სივრცე და დრო, თითქოს ერთი ამოსუნთქვით გადმოცემული განცდა და გადმოღვრილი ტკივილი. ცხოვრებისგან დაქანცული მწერლის ოთახში «უცებ» იჭრება უცხო ადამიანი, რომელმაც იცის მწერლის ფასი, შეიგრძნობს მისი ნიგნის «ქარ-რთველიანი ქვეყნის» სიღრმეს, მაგრამ აქ, ამ ოთახში, სადაც უამრავი ნიგანი და საქვეყნო თუ პირადული ტკივილია ჩაგუბებული, ხედავს სასტიკად ნაგებში, მაგრამ გაუბნარავი სულის მოძრაობას.

«მწერალი ისე ლაპარაკობდა, თითქოს სულში წლების მინიღებზე უამრავი გასახებული სიტყვის კოცინი მინახოდა, რომელსაც დაუბრუნებდა მოულოდნელად ნამოქმედო-და ამოსუნთქვით ნიაყი, იმას მოედებოდა ალმურ».

საუბარში თანდათან ნაღვალად იკეცება მწერლის ცხოვრებისეული საზრისი: «მხოლოდ ქართული ხალხური ლექსი, სიმღერა, ცეკვა, კულტურა გადაგვარჩენს...»

მართალია, ახალგაზრდა ქალი სულ სხვა თემაზე სასაუბროდ მოვიდა მწერალთან, მაგრამ კაცს თავისი კალაპოტი აქვს და მისი ფიქრებიც და შემოქმედებაც ამ არხში მიედინება. მისი ფიქრი და შემოქმედება კი თავისი ქვეყნის არსს დასტურალებს თავს: «ჩვენს ქვეყანაში რომ მუდამ სიმშობლური ქარი ქროდა, ამაში ვერ შემედავებოდა ვინმე. ქარი ქროდა ოთხივე მიმართ. მოქმედდა ტკივილი, რისხვა, კვამლი, სისხლი, სიმშვეცე, გამეტება, ძალატკი...»

მოქმედდა სითბო, კერიის ნალღერდალი, იმედი, ადამიანობა, მოთვალა... ისეე მოქმედდა და ისეე მოქმედდა... მაგრამ დღეის ნებით მაინც რჩებოდა ვაზო თავისი ჩამყრელი, ენახის მომვლელი, ღვინის დამწურავი, სადეკორაციოს მთქმელიც... ვაზის ქვეყანაში რთველი არ მოშლიდა!

ამ თვალთახედვით განმარტავს იგი თავისი ნიგნის სიმბოლურ-მეტაფორულ საიდუმლოს, თავისი გვირის სიტყვცვატას, მისი ბედისწერის უკუღმართობის მიზეზებს:

«ეს კაცი სწორედ ქარ-რთველიანი ქვეყნის სიმბოლური სახეა თავისი ცხოვრებისეული ქარტეზილებით, საზრუნავით, ტკივილითა და სიხარულით».

სწორედაც, რომ!

ის მყარად ვერასოდეს დგას ადამიანზე. გარს უამრავი, თითქოს ერთგული ადამიანი ახვევია, მაგრამ მაინც ყოველთვის გულნატკენია. მეგობარს მისი კეთილგონიერების შრის, ახლოდღობა - კეთილდღობა. უცხოელი მისი ქვეყნის მონას ყიდულობს და იმ ადგილზე, სადაც ქართულ კაცს ეკუთვნის საძირკველი ჰქონდა ჩაყრილი, სავაჭრო კომპლექსს ქმნის».

მწერლის რომანის გვირის ცხოვრებაში სამი ქალაი: სათნო, ხორციელი და დედა. მისი ცხოვრების გზაც ამ ქალბუთან ურთიერთობით განისაზღვრება:

«ომიველური ხორციელ საომოვნებას სტაცებს. სიკვდილი - სულიერ დასაყრდენსა და საზრდოს, სათნო და სპეტაც ქალს ართმევს, მაგრამ მომბეღია მის გვერდით, «ელეუსას» ხატოვით მოალერსე, თავის ნილხვედრ ქირსა

და ლხინს, სისხლსა და ხორცს - შვილს - მხოლოდ დედის ლოცვით თუ გადაარჩენს...»

ასე საუბრობს ეკა ფხალაძის მოთხრობის პერსონაჟი მწერალი უცვე თავისი ნაწარმოების პერსონაჟზე, მის ხედვზე, ქვეყნის ბედზე და დანაშაუბით ამოთქვამს: «რომის უცვე ორი ათეული წლისაა, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა... უფრო უარესი... უფრო უარესიც... ისტორია მეორედაა და მეორედება...»

საბოლოოდ მთელი თავისი დიდებულებით წარმოსდგება ნიჭიერი მწერლის, ქართველი კაცის, ადამიანის მშვენიერი სული, რომელიც ამ წუთის შეილის სიკვდილით, სიღარიბით, ლოთობით და დარდით დაზაფურულ სხეულშია მოქცეული, მაგრამ ელვარე, უძლეველი და მარადიულია, როგორც მისი მშობელი ქარ-რთველიანი ქვეყანა.

ამ ძალას ნინაპარი გადასცემს შთამომავალს, მამა - შვილს, როგორც მოთხრობაში «მამა» სასიკვდილო სარეცელზე სულითმობრძავე მამამ უკანასკნელი ღონე მოიკრიფა და ბუშტი ჩაბერა სული, უკანასკნელი ამოსუნთქვა... შვილისთვის:

«ეს პატარა ბუშტი რჩებოდა ბიჭისთვის სითბოდ, იმედად, მოგონებების მოგონებად, მამის სულისდგამად...»

მაგრამ სწორედ ადამიანთა სულებს უმუქრება სასტიკი რეალობა. მოთხრობაში «ღმერთო, ძალა მომეცი!» მწერალი სადაც, ზუსტი შტრიხებით გადმოსცემს დედისა და ბიჭის საუბარს. ოსტატურად აგებული დიალოგში მთელი ცხოვრება ჩაქტია. დედა ღმერთთანაა, მისი იმედი და დის ამ ქვეყნად. შვილს კი გაჭირვებამ, უსამართლობამ, გამრუდებულმა სამყარომ ურწმუნობის ჭია ჩაუსახლა, სასოწარკვეთის ცივი მარცვალი მუუგდო სული.

...არ გამიმეორეო, რომ ცხოვრება ლაზახია, რომ ნაწიქარი სიცოცხლით უნდა დავტყუე, შევიგრძნო და შევიცვარო... ღმერთო...» - ამბობს ბიჭი.

იგი თავს ესხმის დედას, არა, დედა უყვარს, პატივს სცემს, მაგრამ მის განცდას, მის უსაზღვრო, სათნო მორჩილებას უპირისპირდება. მწერალმა ბიჭის სიტყვებში არეკლა გარემომცველი რეალობის სიმახინჯე და დაუკითხავად აღიძრა საპინელი, შემანუხებელი შვერძება, რომ სადაც ბიჭი მართალია, სამყარო მართლაც უღმობელია. დედისადმი მიმართულ მის უღმობულ სიტყვებში დასაუღვავედ განწირული თაობის ნინამ რაფიხილი ცოდავა აისახა:

«- ზო, არ გატყდები, რა თქმა უნდა. ამას როგორ აღიარებ, როგორ გაამხელ, რომ ქვეყანად უსამართლობა უფრო მეტია, ვიდრე სიკეთე! რომ სიმართლის გასარკვევად ამაოდ იხარჯები, ვმამათან ჩიდილს უწოდებ ყოველ ნაბიჯზე მოგონილ განსაცდელს და ღმერთს მოუხმობ სიხარულს. მაგრამ ამ წამების ფასად მოიპოველი სანარულს რომ ძალა არა აქვს. სიმწრით დაღვრილი სისხლის ფერი თრევა და ტანჯვის ოფლით ყარს?! მის თუ ხედვით, ამას თუ ხედავ?»

მწერალმა ოსტატურად გამოისახა გაუსაძლის სისასტიკესთან «ნაქველში» წიორი სულის ტკივილი. ისინი ლტოლვილები არიან, გამოიარეს უმძიმესი გზა თოვლში და მოვიდნენ გულგრილობამდე, მაგრამ რაღაც თვალსაზრისით ამ უღმობელი სულისკვეთებით გაჯერებული ეპოქის ყველა შვილი ლტოლვილია. თუმცა თუ დედის

გულში ღმერთია, შვილის გულში იმედო მოკვდა.

„- კიდევ გვერა? მაინც იმედი გაქვს? ნუთუ გგონია ვადაზნვარ-დეცეული სახლის დაბრუნება შეეძლოა... ამ შენი შვილის ჯანმრთელობის, ამ მამარქმის გატეხილი ვაეკაცობის... ერთ კვირამი შიშმა და ელდამ რომ გაათეთრა... ამ შენი... შენი... შენ იყავი მაგ იმედთან ერთად. ირწმუნე, რომ ისევ ისეთი ბედნიერი ოჯახი გექნება - წყლიან თასს ოდნავ ნაკვარ ფეხი და წყალი ააღელვა - ირწმუნე მანამ, სანამ ამ სოროში თავგები ამოგვჭამენ...“ - ზიჭის სიტყვები განაჩენი უნდა იყოს მათთვის, ვინც მის ხელი ჰკრა და ნაიპოლოს მისი ჭაბუში ჩაადგო, მაგრამ არა განაჩენი თვითონ ზიჭისთვის. დედამ არ უნდა დაუშვას მისი დაღუპვა, უნდა გადასცეს ის ძალა, რომელიც დედისგან, მამისგან, წინაპრისგან შთამავალზე გადადის, მაგრამ გარუსამყარო შემზარავ ყაყუზე შემდგარ ურჩხულად ქცეულა და დედას ძალიან გაუჭირდება მასთან შებრძოლება.

„თითბი სულდაზაფერული ქალი დარჩა. კიდევ - ნინეს ტე, ტინის სუნი, კიდევ - მოძალეტელი საღამოს ბინდი და დედის შეუნყვებელი ჩურჩული მხოლოდ სამი სიტყვა: „ღმერთი ძალა მომეცი!!!“ მას მართლაც უდიდესი ძალა უნდა მიანიჭოს უფალმა, რომ შექლოს შემზარუნის უფსკრულსაკენ მიმავალი გზა, რომელზეც მისი და სხვისი შვილები ერთ ხელის მოხმით დაუნდობლად გაყარეს.

დედა, ქალი, მისი შინაგანი სამყარო ფაქიზადაა გადმოცემული ამ ნინეში. მწერალი სულ ოდნავ გადასწვებს ქალის სულის მართლაც საბურველს, მაგრამ ბოლომდე არ გახსნიის, შთაბეჭდილების სიმსუბუქე ფიქრის სიღრმეს აწევს. მოთხრობაში „ცდუნება“ მშვენიერი ქალი თინა სოფლიდან ქაბაქში ჩადის დეიდაშვილთან. ის ცოლი და დედაა, შრომით დაღლილი, პასუხისმგებლობით დატვირთული, სითბოს, აღერისა და პატივისცემას დანატრებული ქალი. ყოფის მორევმა ჩაითარა, მოვალეობებმა შეზოჭა და უცებ, ქალაქში, სულ ცოტა ხნით ხედება უცხო და ნარმეტაც სამყაროში. დეიდაშვილმა წვეულებებზე წაიყვანა და თინასთვის ეს ზღაპრულ ქვეყანაში მოგზაურობად იქცა. სულ ცოტა ხნით ის ისევ ლაპაზი, სასურველი ქალი გახდა, ქვეყანატურში, მოხდენილმა კაცმა ყურადღება მიაქცია, შემდგომი ურთიერთობაც შესთავაზა. მაგრამ ის უნდა დაბრუნდეს სახლში, სოფელში, თავის ქმართა და შვილებთან, ყოველდღიურ მიმზე ფაფასთან, გადავინყებულ ქალობასთან, ასეთია მისი ვალი და დაბრუნდა კიდევ. თუმცა ბრწყინვალე შედეგის შემდეგ დიდია ცდუნება უარი თქვას ნაცურსფერი ყოფაზე და ბოლოდ საკუთარი თავისთვის იტოვოს, მაგრამ ის ეკრისი მფარველადა დაბადებული და აზზრდილი. მას სისხლში და ხორცში აქვს გამჯადარი თავისი ფუნქციის რწმენა და გარდუვალობა. მწერალი დიდი სიღრმისხილით უბნება ქალის სულის შიდა შრეებს. ნახევარტონიზით გადმოსცემს იმ ყოყმანს, ფარულ ჭიდილს, ტკივილს და გამოუვალობის განცდას, რომელითა გავლის შემდეგ თინა უმკლავდება ცდუნებას.

„ნელ-ნელა დროს გაჰყავა თვალით ნახულიც...“



ნელ-ნელა გაფერმკრთალდა ნაგრძნობა-განცდილიც... დაბოლოს, ერთი დღის ცდუნება უსახელოდ დარჩენილი ზღაპრითი გულშიც ნაიპოლა...“

ასევე ნანაც („ცხადი და სიზმარი“) აღმონრდა არქევანის ნინაშე: მასშიაც გაილევია მიძინებულმა ქალმა, ცოტა ხნით მანაც ირწმუნა მის ცხოვრებაში სიყვარულის კიდევ ერთხელ დაბრუნების შესაძლებლობა, მაგრამ ისიც დედა და თავის მოვალეობას ყველაფერზე მაღლა აყენებს.

ეს ქალები ებრძვიან და ამარცხებენ ცდუნებას, ეგოიზმს. ეს თავგანწირვა მათთვის ბუნებრივი და ამიტომ მშვენიერია, თუმცა, წარმოიბედგენია, რა რეაქციას გამოიწვევს მკითხველთა არცთუ მცირე ნაწილი, რომლისთვისაც ამგვარი განვითარება და გადანყვება, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი იქნება. იმ შეგრძნებამ რომ ოღონდ ამქვეყნიურ ბედნიერებას მიაღწიო, თვითონ არაფერი მოგაკლდეს და ყველაფერი შესაძლებელია, უკვე საკმაოდ დანუნა სულელები და განყვითა ის ძაფი, რომელიც რეალური ცხოვრებიდან დაქვამოსილების, სათნოების, თავგანწირვის მარადქალურ მიღმურ იდეალთან იყო გაბმული.

რაც შეეხება ქალის სახეს... მოთხრობაში „ვამი დაფიონისა“ სუფრასთან შეკრებილი საზოგადოების საუბარში გაიღვივდა ფრანამ - „ქალის საწინააღმდეგობის შესაძლებლობა სალიბერალად მცირეაო“, რის გასაბათილებლადაც გაიპალა შემდეგ მოთხრობაში შემოქმედი, ნიჭიერი, მგრძობიარე ქალის ტრაგიკული ამბავი. რა თქმა უნდა, „ქალის პოეზიასა“ და „ქალურ მწერლობაზე“, მითუმეტეს მათ არასრულფასოვნებაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ უნდა ვალიართ, რომ თუ რამე ნაკლი გამოვარდნება ქალის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყარო, ესაა ზედმეტი ემოციურობა და საკუთარი თავის (სწორედაც ქალობის ქალის ხედეგის გამო) შებრალება. ამიტომაც ამ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი შეიძლება ცოტა ბანალურად, განკლიად და გადაბეჭებით „ქალურ-სენტიმენტალურადაც“ კი მოგვეჩვენოს, მითუმეტეს ისეთი მწერლისთვის, რომლის მთავარი დროსება მძაფრი გრძობისთვის თავშეკავებული გამოხატვა, ფარული მგრძობილობა და სათქმელის არასწორ ხაზოვნებაა. იგი ადამიანების შორის გამბეულ თბილ ძაფებს ხედვას, ხატვას და სიმეტიეს არხებს, როგორც შესანიშნავ მოთხრობაში „რძალ-დედამთილიანი“, რომელშიც ენოვლია მაქსიმალურად მუხლდული გამოხატავილობითი საშუალებით აღიჭვრის, მაგრამ ძალიან ძლიერია, ასევე მოთხრობაში „ამბოდან ამბამდე“. საკუთარ ქვეყანასთან და თანმემამულეებთან გაუცხოების ამბავიც („სხვები“) დიდი ოსტენტაციით, უფსიხეყვაობის გარეშე, მოქნილადაა მოწოდებული, თუმცა ამ სიდა ფრაზებში მთელი ძალით აისხა მძიმე რეალიზა და მისი თანმდევი განცდა.

ეკა ფხალიას ნივრს ნამდვილად ყოველთა თავისი მკითხველი, გულიანი და სიტყვის ძალის ერთგული, ისეთი, რომლის სული და სისხლი არ მონანულა გულგრილობის შხამით და მის ძარღვებში კიდევ შეუძლიათ შეადნინო მზემ და ზედაშეს მადღმა.

რუსუდან ნიშნიანიძე

## ამერიკის „რჩეული ლიტერატურის“ ქართული ავტორი

უოლტ უიტმენი, მარკ ტვენი, ჯექ ლონდონი, ჰენრი ჯეიმზი, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, უილიამ ფოლკნერი, ერნესტ ჰემინგუეი, იუჯინ ო'ნილი... კიდევ რამდენიმე ათეული გვარი... ეს ამერიკის რჩეულთა ბიბლიოთეკაა. ამ ავტორებს (მათ ნაწარმოებებს) „ამერიკის ლიტერატურის რჩეულ ნაწარმოებთა სერია“ - ში აქვთ საკუთარი, გამორჩეული ადგილი. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ რანგში ჩამონათვალს კიდევ ერთი სახელი დავემატა — ნარმოშობით ქართველი, ემიგრანტი მწერლის გიორგი (ჯორჯ) შაპაშვილის სახელი. ეს 1950 წელს მოხდა. ამგვარი აღიარება რომანის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ გამოქვეყნებას მოჰყვა. მისი ნაწარმოებები ითარგმნებოდა, არაერთი ასპექტით იკვლევდნენ: საინტერესო იყო ბიოგრაფია, ლიტერატურული ტექსტები, მისი ქანდაკებები (ნამუშევრები); მასზე წერდნენ როგორც ნიჭიერ კრიტიკოსებს-სულბატორებს; ის აწყობდა გამოფენებს, მონაწილეობდა სატელევიზიო პროგრამებში; მისგან იწერდნენ ინტერვიუებს, გადაიღეს დოკუმენტური ფილმიც... ბესტსელერი ნარმატივის ბარომეტრად იქცა!

გიორგი და ჰელენ შაპაშვილები მოუთხოვრებ მკითხველს საქართველოზე. უფრო სწორად, შენი სამშობლოა, როცა მას მკითხველს კონკრეტულად, გეოგრაფიული სახელდებით აცნობს (კობახიათარი, თბილისი...); სამშობლოა, როცა მის კუთხეებზე უამბობ (ფშავი, ბევსურეთი...); სამშობლოა, როცა მის ნეს-ჩვეულებზე აღწერ (სუფრასთან მოსახევის, სადღერძელოების წარმოთქმის ნებისა და რიგის, დასაფლავების რიტუალის); სამშობლოა ის ნაციონალური სამხარეულიც, რომლის მომზადებასაც კი ასწავლი შენი პერსონაჟების მეშვეობით (ზინკალი, მწვაფი, ჩაზობილი, ნიორხალი...); სამშობლოა წინააღიდეგობის ხასარა, დათვის ბელი, ის კვიციკ, რომელიც საკუთარ ბავშვობას გაახსენებს და დაანახებს, თითქოს „ახლაც მორბის...“ ოცნებით წარმოადგენილ მწვანე მდებარეობაზე.

ამერიკული ლიტერატურისთვის ცნობილი იყო ნიკი (ნიკოლოზ) ჩხოტავას, პავლე ჭავჭავაძის, სანდრო ნებლოს (იგივე ალექსანდრე პაპუაშვილის) პროზაული ნაწარმოებები. მათ შორის ამ უკანასკნელის რომანი ერთ-ერთია ამერიკულმა გამოცემებშიც ამ რამდენიმე წლის წინათ ხელახლა დასტავა. ამ მწერალთა გვერდით გიორგი შაპაშვილის სახელი მიიწვ სხვა რანგის წარმომადგენელი იყო მოცული. როგორც გიგი კობახიძე წერდა: „შაპაშვილმა სხვა ძლიერებით დაიჭივ და ამ ქუბილის ექო-გამოძახილი დღესაც კი ძლიერია და არ წელდება. შაპაშვილმა სახელი გაუთქვა საქართველოს და ქართველ ერს კეთილი გულთი, თბილი ღიმილით და სიტკბოებით აღსავსე სულით, იმავე დროს ღრმა ადამიანურებით“.

ამგვრად, განვიხილავ არა ცნობილ ბესტსელერს (ყველაფერი შეიძლება მოხდეს), არამედ მის მიერ 1956 წელს გამოცემულ წიგნს „მადლობა ნოეს“ — „Thanks to Noah“. სათაურთან დაკავშირებით საინტერესო იქნება გიგი კობახიძის ლიბლიანი განმარტება: „— ძვირფასო, ნოე ფორდანი არ გეგონოთ, აქ ბიბლიური ნოე იგულისხმება.“ ერთი შეხედვით, ნათქვამი შესაძლოა, იუმორის თემადაც კი მივიჩნიოთ. ქართველი ემიგრანტისგან ამგვარი ქლიკი ანკი რა გასაკვირი იქნებოდა. ჯერ კიდევ „იმ წლებში“ ამგვარი თანამოედების ჩამოთვლილი გვარები: ნოე რამიშვილი, ნოე ფორდანი, ნოე ხომერიკი, ნოე ცინცაძე... გონებამახვილ ქართველს სწორედაც ამ კონტექსტს გაახსენებდა და ხუმრობით ასეც მოიხსენიებდა კიდევ: „ნოეს კედობანი“.

მასალა, რომელიც საქართველოშია ხელმისაწვდომი, შაპაშვილის ბიოგრაფიის დაკავშირებას დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდთან თითქმის გამორიცხავს. უწინაღობა „საშტოთა ხელოვნება“ 60-იან წლებში წერდა, რომ შაპაშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „მეფის არმიამი გაიწვიეს...“ სპარსეთის ფრონტზე მოხვდა და ტყვედ ჩავარდა. დიდი წვლებით მოახერხა მან სტამბოლში გაქცევა, აქედან კი სამუშაოს საძებნელად ამერიკაში წავიდა“.

ამ ვერსიას გაამყარებს გიგი ნადარეიშვილის პუბლიკაცია „ლიტერატურული გახეთის“ ფურცლებზე, სადაც ავტორი აღადგენს მწერლის ბიოგრაფიას და ამ წლებზე დაკავშირებით ისიც ამგვარსავე ცნობას გვანვლის, რომ 1914 წლის დასაწყისში ჯარში გაწვეული გიორგი „სპარსეთისაკენ გაისტუმრეს. ის იყო და ის, ამ დღიდან გიორგისა აღარაფერი ისმოდა“.


ნადარეიშვილს მიუკვლევია, რომ ოჯახს თორმეტი წლის შემდეგ, 1926 წლის ნოემბრის ერთ საღამოს გიორგის წერილი და ფოტოსურათი მიუღია. ბარათის მეშვეობით, გიორგი იტყობინებოდა რამდენი გაჭირვება და წვლება გადახდა თავს, როცა „დაეხეტებოდა... ლუკმა-პურის საძებრად ამერიკის ერთი კუთხიდან მეორეში“.

ამირან ცამცივილიის წიგნი „უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანი“ ზუსტად იმავე ინფორმაციას ვკითხულობთ: იგი პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ მოხვდა სპარსეთში, სადაცაც სტამბოლში გაიქცა და მერე კი ამერიკაში წავიდა სამუშაოს საძებნელად“.

სრულად განსხვავებულია გიგი კობახიძის მიერ მომდებებული ცნობა, რომლის მიხედვითაც, გიორგი შაპაშვილმა საქართველო 1922 წელს დატოვა. მოგვიანებით, თავის ამერიკელ მეგობრებთან, ცნობილ ქართველ ემიგრანტებთან თამარ და პავლე კვარაცხელიანებთან საუბრისას საქართველოდან ახალდაბრუნებული მწერალი (ეს უკვე 60-იანი წლებია) თურმე აღტაცებული უზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს. ჩვენთვის საინტერესო ერთი



ფრანგმენტი: „...გიორგის უთქვამს, წინათ კომიანთკარს სასმელი წყალი არ ჰქონდა, ხალხი შორს დადიოდა, ახლა კომიანთსტებს მიღებით ჩამოუყვანიათ წაროს წყალი ზედ შუა სოფელში... რატომ მენ-შევიკებმა არ გააკეთეს ეს... ამაზე ქ-ნ თამარს უპასუხნია: ვინ დააცალა მენშევიკებს! მაგრამ რატომ იმას არ უეკირდები, რომ პოლშევიკებმა სისხლის ნიაღვრები ააჩქარეს; შენ კი ერთი კილომეტრიდან მიღებით წყლის გაყვანა გიკვირს და გახარებს.“ ქ-ნ თამარის გაცხარება უფრო შორსაც მიდის: „ასიათასზე მეტი ქართველი მისაპეს წმენდებში და მეორე დიდ ომში სამაპია ოახის ქართველი მიანვიცტესო. გიორგი თურმე ძალიან დაღლიდა, თავი ჩაქინდა და ნაღვლიანად ჩაღალბარაკა: შენ ევა თქვი და!“



„Thanks To Noah“ ქართულ ენაზე ითარგმნა 1971 წელს. ინგლისურიდან ითარგმნა ანდრუაფარ ქვიშვილმა. ქართულად დასათარგმნელი ამგვარად: „დღესაც მელოდება“, თვალსაჩინოა მთარგმნელის პროფესიონალიზმი, როცა თბრობის დინამიკას და გმირის ლექსიკონს ძალიან ფრთხილად, ოსტატურად არჩევს. ეს ღირსება ნაინარმოების კითხვისას ხაზგასმით იგრძნობა.

„თუ ცხოველები არ გიყვარს, თუ არასოდეს გაგაღია მათთვის გულსი კარები, ეს წინა გვერდზე გადადებ და სხვა ნაიკვით“ - ამ სიტყვებით იწყება ნაინარმოები და ერთი შეხედვით, თითქოს არჩევანის უფლებას გიტყუებს, არადა, ინდენად საინტერესოდ და მხატვრული ოსტატობით გათვარავს, რომ „გვერდზე გადადებ“ არ ხერხდება.

მეორე დედაზე, ოჯახში დედაქმნისა და მამაქმნის გარდა, ცხერის ძალიც დამხედა, საბელად ბუჯა. როცა თავს უბედურება დაგვაცხდა და დედა გარდაუშევალა (შე სახეც კი აღარ მახსოვს მისი), ბუჯამ დედის მადიგრობა გაშინია. ძილის დროს გვერდით მეუფა და მდარაჯობდა. რომ გავიღვიძებდი და ტირილს მორთავდი, მინდორში გავარდებოდა და მამაქმნს მოიყვანდა ხოლმე. ფეხი რომ ავიდგი, ტყეში და ტბაზე არ მიშვებდა, მიცავდა ცხერის წილისაგან, ფუტკრის ნესტრისაგან და საერთოდ, ყველა იმ საფრთხისაგან, უპატრონოდ დარჩენილ ბავშვს რომ ემუქრებოდა.

ასე ვცნობით გმირს; უფრო სწორად, მისი ბავშვობის დღეებს. რაა ეს? ნატურალიზმი — თბრობის ფრმა, რეალობა — რაც ნამდვილობის განცდას ტოვებს თუ ფაქტი — ესაა მისი ცხოველები. ხაზს გაეუსვამ, ესაა მისი გარემო. ევტე უნათურესი ამ ნაინარმოებში სწორედ ეს იყოს: საუკეთესო თავის პოვნა ამ სამყაროში ბუნების იდილია, ოჯახური პარმიონია, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო... მხატვრული შესაძლებლობები: სიკრის მოდიფიკირება, ანუ არ აქვს მნიშვნელობა, სად ხდება მოქმედება: აქ? (სამშობლოში), თუ „იქ“ (ახალ ქვეყანაში). ეს ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ე.ი. არც დროს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. აქ მოთხრობილია, როგორ ცხოვრობენ დამიანებულ პარმიონიულად სამყაროში და არაა „ცხოველთა სამყაროს“ ჩვენება.

როცა პატარა ხარ, შენს გარშემო ყველაფერი დიდი გეჩვენება: გოლაითია ბუჯაც, თავისი გრძელი კუდი, უშირო და ღრმა მდინარე, თვალწინდელად ვრცელია მინდორიც... მერე ყველაფერი დაპატარავდება; არა, კი არ დაპატარავდება, ჩვეულმდგომარეობაში, თვალწინაში, „თავისი“ ზომისა ხდება. მხატვრულ გაგებაში მოქცეული სათქმელი: დასანყის ლეკვებად, ბელეზად, კვიცებად დახატული პერსონაჟები ძალეზად, დათვებად, ცხენებად იქვიევიან; ადამიანების უახლოს მეგობრებად ან ისეთ ყოველდღიურ თანამშებლებებად, რომ მათი სიკვიდილი ლამის ოჯახის წევრის დაკარგვას უტოლდება. მოზრდილებისთვის ეს გასაგებია, მაგრამ როცა ყმაწვილებსთვის ხდება ასახსნელი, მწერალი მშვიდად განმარტავს:

„ჩვენდენს... ვერც ერთი ცხოველი ვერა ცოცხლობს.“  
— რატომ?  
— რა ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ მივხედეთ, რა მოკლეა ეს ნუთისოფელი“.

მხატვრულ ნაინარმოებში ყოველ სიმბოლოს თავისი დატვირთვა აქვს. პოლიციელი სიმბოლა კანონიერებას, შემართული მუშები — პროტესტსა და დაუმორჩილებლობის, ფუტკარი — ნაყოფიერი მოშობისა... აქ მია გიორგის „ძახილზე ჩიტები მამობილოდუნენ ხოლმე, მეღა სოროდან გამოფერებოდა, ფურ-ირემს თავისი ნუჯი მიშავებდა მასთან, ესამოუნებოდა; ბებერი ქარყილია მარცხის ფსკერიდან ამოკვირთავდა და მია გიორგიც თავისი ხელით აჰმევედა ხოლმე ყველს... გარეული ტახებიც კი პატივს სცემდნენ; ისე ჩაუღლებდნენ გვერდით, ვითომ ვერც დაინახეს... ასეთი კაცი იყო ბიძაქმნი“; და პარალელი, თავად პატარა გმირი? მას როგორ „ესმის“ დედაბუნების; „მთელ ტყეს ეღვიდა — გაუგლები რაღაცას გაძახებოდნენ, ოფოფები ჭორაობდნენ, კურდღლები კი ერთი ბურქიდან მეორეში გადაბობდნენ და ახალ ამბავს ავრცელებდნენ. მალალ კლდეებზე ვიხეები გადმომდგარიყვნენ და გვიყვებოდნენ. შე კი ამაყად მივაბიჯებდი და გვერდით ჩემი პატარა დათვის ბული მოხედედა“. სიმბოლოებზე და იგავურ ენაზე ვსაუბრობდი. სრული პარმიონია რეაქტი ცხოვრებაში გვებ მწყლად მისაღწევია, მაგრამ დასანერად [და ამსთან, მკითხველისათვის დამაჯერებლად] — უთოლად სერიოზული სათქმელი.

ბიჭუნას საყვარელი ლეკვი (ბასასა) მოუკვდება. ინაღვლებს, მარტყდარჩენილია, მაგრამ ერთვულ მეგობარს ვერავის ჩანაცვლებს, მის ადგილს ასე ილოად სხვა ვერავინ დაიჭერს, მაგრამ... და არ, ეს „მარამაშა“ საინტერესოა... „მეგობარ სახლში სულიერი ხომ უნდა ყოფილიყო. სიცარიელე კედლებს ეხეთქებოდა და სიწუმე იჭარბობს იკლებდა“; ანუ, მხოლოდ ადამიანების ყოფნა არაა საკმარისი, მაშინაირებულე კავშირის („მეგობარ“) გამოყენებით ავტორი კონტრასტს ეფუქტვს ქმნის. ეზომი კამეჩებიცაა, კვიცი-შალა, ბებერი ლეკვები ბატი, და მაინც, მეგობარაა საჭირო. ბიძა გიორგის სააღდგომო საშუქარი ისევეა „ჩანერილი“ ბუნებაში, როგორც ნახატია — ყველას თავისი ადგილი რომ აქვს მიჩენილი. ამონარდი: „მია გიორგიმ ნარუქარი ცხოველი ხელეგში ჩამინენა. მისი



გულის ცემა ვიგრძენი, მრგვალ შავ დრუნჩსა და პანანა ყურებზე მოვეფრეე, შემდეგ კი ბანჯგვლიან ტანზე გადაიფუსვი ხელი. მან ლურჯად დანისლული თვალები გააბიოდა, დაამტყნარა, საზამთროს გულვიით წითელი ენა გამოვიყო, დააცემინა და კვლავ დაიმინა“.

გზა შინისაკენ. გზა დათვის ბუთიან ერთად... სოფელ კობინათვარი კი დრო ჩვეულებრივად მიდის. ამასობაში ბული თავის დაკვრასაც სწავლობს, ხელის ჩამორთმევასაც, ჭიდაობასაც, ბურთის დაჭერასაც, სამხედროსამკამსაც, თაფლის მიგნებასაც; კაკლის ქეით გატეხას ვერ მიიჩნევა, ისევ ტოილებით ამოჯობინებდა და ვერც ცნობის მოყვარეობა მოიმაღლა: გაცივებული დაწყურებდა „მუჩქუხ“ დამფადარ პეპელას... პირველად დამხობილ კალათს, ზარდს, თაფლს სასახლად ატარებდა: ადამიანები... რომანში სრულიად და... სტერეოტიპი: ადამიანები უეტელები არიან, ვიდრე ცხოველები. პირიქით. ერთხელ, როცა მთავარი გმირი გაავეებული ძაღლების გამველებას ამირებს, ორივეს ამ სიტყვებით გამოლანძღავს: „ამას მოველოდი თქვენგან... რა დავგმართათ? როგორ უმსგავსოდ იქცევი, ადამიანები ხომ არა ხართ!“. შესაძლოა, ისევ მოხდეს, რომ პარალელისთვის სულთანის (ძალის საბუღალი) ბოდიშეც მოუხადოს. როცა ძაღლს საპანაო დაცვის ნაწილი ჩაარიცხვინებებს, მატარებელი ჩასვსა და გაცილებისას ეტყვის: „ადრეც გმირი ნასულა მენსავით სახელგახტბილი და უკან გმირი დაბრუნებულა.“ თუმცა იქვე მოუბოდიშებს: „...ბოდიშს ვინდა. ადამიანისათვის არ უნდა შემედარებინებ. გაბრახებული ვიყავი და დაფიქრებულად ნაპოვარეში...“

კიდევ ერთი კონტრასტი — მშვიდობისა და ომის კონტრასტი როგორი სურათი უნდა შესთავაზოს მწერალმა მკითხველს რომ არ გააუბრალოს, ამასთან, შთაბეჭდილო გახადოს სათქმელი. ერთი სურათი: ცხენები — „თავადღირილები, ამაყად რომ მიწაწარდობდნენ;“ მეორე — ბრძოლის ველზე „მეორე ნუთში დაგაფევილები და დასისხლანებულები ეყარნენ მიწაზე“.

ცირკი — მოთვინიერებული ცხოველების „ადგილი“. სულ რაღაც სამ კაპიკად ბავერი ლომის, ფრთებგარჭობილი ვირების, ნაოჭებთან საველოებით მორთული ძაღლების, თხებისა და მაიმუნების ოინების ნახვა შესაძლებელი. თუმცა, მათთან ადამიანებიც არიან — უონგლიორები. აქ სანახაობა.

„ომი რომ დამთავრდა, ნიუ-იორკში ჩამოვედი“, — ამ სიტყვებით დანივესა ნანარმოების ერთ-ერთი თავი. როგორც ოტყვიან, აქედან უკვე უცხოეთია. სხვა ქვეყანაში დაინახე ცხოვერება, ცოლიც მოიყვანა, ოჯახი შექმნა. „თავსაგვარი ფაფრეკი გადაშნდა თავს“, — კი ოტყვის გმირი, მაგრამ ამ ფაფრეკაზე არაფერს მომკვება. განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდება: დიდი ქალაქები მაღალსართულიანი სახლებით და პანანინა სკვერებით ცხოველებს ვერ იგუებდა. ისეთი ადგილის შერჩევა გახდა საჭირო, სადაც „სამყაროს იდილია“ აღდგებოდა. ნანარმოებში კიდევ ერთი პერსონაჟი, გიორგი პაპაშვილის ნაწარმოებია „უცვლელი პერსონაჟი“ ჩნდება — ელენე: ცოლი და მეგობარი. რა ამბავსაც არ უნდა ჰყვებოდეს, მას ყოველთვის თავისი მხატვრული ფუნქცია აქვს. გარკვეულ ეპიზოდებში თავად ატკორის მნიშვნელოვანი ბი-

ოგრაფიული დეტალები აღდგება. ასე მაგალითად, გმირი ჰყვება, თუ როგორ უამბობდა თავის მუვლელს თავსაც და მზადარ ფაფრეკებს და ეს ქალბატონი როგორ ინერდა ამ ყველაფერს. მოთხრობილი ამბები წინადა შეიკრა „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ წიგნს დიდი წარმატება ექნებოდა...“ — შეფასების თავად.

მართალია, ოდნავ ირონიზირებულიც კია მიზეზი „წინაში მოხსენიებული ყოველი ჩემი მეგობარიც ყოველი თითო ცალს, რომ თავისი სახელი ქალადღზე დაბეჭდილი ენახა და სახსოვრად შეენახა“. ეს იმ გრანდიოზული წარმატების ე.წ. „შესასულუბეჭდად“ სჭირდება, რის თქმასაც ამირებს: „ყოველთვიური წიგნის კლუბ“ მათ წიგნს მიიღებს. იქვე დამატებითი განმარტებაც: „ყოველთვიური წიგნი“ დიდი ამერიკული კლუბია“.

ეს კონტრასტი ფაქტი და შემდეგ დღის ის გმირი, რომელიც ძალიან ჰგავს მწერალ გიორგი პაპაშვილის ლიტერატურულ თავადასავეს: „მომდევნო კვირებში ცხოვერება მთლად შეიცვალა... ტელეფონი მუდმივად იწვრილებდა. საფოსტო ყუთში წერილები აღარ ეტეოდა. მე ყველაფერი მიზაროდა... ხან უამრავი ქალბატონი მოდიოდა და ინტერვიუს იღებდა ჩვენგან, ხან ჩვენ მივდიოდით სხვაგან, წიგნებზე ავტოგრაფებს ეანერდით...“ ამას მოგზაურობა და ლექციების კითხვა მოჰყვა და ერთი საინტერესო შტრიხი შეემატა წიგნის გმირების სახეს — ისინი ინტელექტუალები არიან. მათი ნააზრევი უზარმაზარი ქვეყნის მკითხველებისთვის ისეთივე საინტერესოა, როგორც მათი ყოველდღიური, ერთი შეხედვით, არაფრით გამოჩენილი ცხოვერება.

„პაპაშვილის ოჯახი უმნიშვნელო ცხოვერებად. ეხო ჰქონდათ მათაც; უკან-ბალი, რაღაცეები. ქვეში, დიდი ქვეში. გამოსატლებით ზედა: დათვი, სელაში... სუკიანულურ ქვეს ნახულობდა, ყოფილობდა და მოქონდა. მაცან (პაპაშვილმა — რ.ნ.) მერე გააკეთა დიდი გამოფენა.“ — ამას ბ-ნი აღექვსანდრე ფუტკარაძე ჩემთან საუბარში გაისხენებს (ის ამერიკაში მცხოვრები ერთ-ერთი უზუხის ემიგრანტი ქართველია, რომელსაც პაპაშვილის ოჯახთან და პოლიფუნქციანაც საინტერესო ურთიერთობა ჰქონდა). გარდა წიგნზე მუშაობისა, რომანის გმირი საყვარელი ცხოველების გამოქანდაკებას მუდგება: კაკლის ხისგან ძაღლს (მელაგულა-ძაღლს) გამოითობს. არ ვიცი, რამდენად ზუსტად მიუხვდი, მაგრამ სწორედაც, „Thanks To Noah“ — „მადლობა ნოეს“ — ამ მოაზროვნე და სხვაურული სახეს სამყაროს (კაცობრიობის) გადარჩენისთვის ეს წიგნი „უნებურად“ ასწავლის მკითხველს სიკეთეს — ნათულ, ღამაზ სიცოცხლესაც. აჩვენებს და ამ „ჩვენებისას“ ასწავლის კიდევ.

ისევ ნანარმოებს დავუბრუნდეთ. რომანი დახატულ გარემოს „შემოემატებინა“ ცხოველებიც, თვინათი საკუთარი სახლებითა და თავადასახლებით. ისინი პატარაებს არც „გასართობა“ სჭირდებათ და არც იმისთვის, რომ ადამიანებს დაამსგავსონ. ერთი კონკრეტად: „არ მიყვარს უაქტიანი, საწვიმრანი და სეიტრანი ძაღლები... წარმოიადგინე, კალაშნიკი ძაღლესაც შეეცხვდრივარ“. ამ ურთიერთობის მოვალეობაც იგულისხმებდა და ვალდებულებაც. ძაღლი სახლს დარაჯობს, მტერს აფრთხობს, საქონელს თვალყურს ადევნებს; ადამიანი —



პატრონობს: აჭმევს, უკლის და, როცა ამის საჭიროება დგება, ბეთიათთანაც მიჰყავს და წამლებს ყიდულობს. სოფელში ცხოვრობდა ე.ი. სოფლის მეურნეობაშიც უნდა ჩაერთონ. აი, ეს, მეურნეობა დიდი ხანააღარა რამაა? — ფიქრობს გმირი. მინდვრების წყლისაგან დანრეტა, წყლის მიღების გაყვანა, ორჯას დათესვა, თივის ძნების დადგმა... ეს ყოველდღიური ცხოვრებაა.



როგორ გგონიათ, ცხოველებს ფიქრი შეუძლიათ? მათ მესხიერება (და არა და-ნახსიერების უნარი) აქვთ? მოგონების შენახვა შეუძლიათ? „გაუშველილი საიდუმლო“ — ასე შეკითხავს, რომელიც ერთ უჩვეულო ამბავს გვიამბობს. ძაღლისა და ბატკნის მეგობრობა წლების შემდეგაც ადამიანებისთვის უცნაურად, მაგრამ მწერლისთვის სწორედაც ლოგიკურად რომ შედგება: „ლოზის ბოლოს, სადაც ჩემი მინა შეზობლისას ემიჯნებოდა, ჩვენი ბატკანი დაეინახეთ. იგი ცოტაზე ჩამორჩენილია ფარას და ბალახობდა. მელაკუდა — ძაღლმა ერთხელ დაიყვია. ცხვარმა ზეითი აიხვდა, ლოზს მოაფა და თავი შემოაყო. მათ ცხვირი ცხვირზე მიადგს ერთმანეთს და რამდენიმე წუთს უბოროდ იდგენ. შემდეგ ცხვირი კვლავ სამყურას მიუბრუნდა, მელა-ძაღლი კი მე გამომყვა.“ გმირი დადიორღებდა და, მასთან ერთად, მკითხველიც: „ნეტა იმ დროს რა იგრძნეს... იქნებ ის სუსხიანი რირარებები გაისმოეს, მკვირ-ძაღლის ფეხები დათრთოლულ ბალახებს რომ თელავდნენ; ან იქნებ იმ ბედნიერ დღეებს იგონებდნენ, ბაღში მწიფე ვაშლებს რომ სტეკებდნენ ერთმანეთს და ბურთბივით ავირავდნენ. ან, ვინ იცის, კვლავ განიცადეს ახალ თევზში თვლივობა და გამოუღვიძრის სიტკბო და ნეტარება...“ ამგვარი განცდების უნარი მხოლოდ ადამიანებს აქვთ და ვკოვებ, არა ყოველ სულიერს; მამ, რის თქმა სურს დამწერს? შორეულად, „მრნამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო, უსასკოთაც და უსთლენ შორის“ (ნ. მარსთაშვილი). ეგებ, ხელოვნური პარალელია, რა გიცო, კაიბებისას სწორედ ის გამახსენდა... აკი თავსაც ასე შეკითხა: „გაუშველილი საიდუმლო.“

ხარ-ირემი, შემთხვევით შემოხეტებულ ენოტი, „სახუტარი“ — სპილო, ცნობისმოყვარე ლეკვები, როცა „რძინა ვარცვრი ოცი აბრევილი კუდი უღლილი არჩვლიც, ოცი ვარციფერი ენა... მხამაღლა სველდა რძეს.“ მომწველმა მათი ფიშობა და ჯილდვის ყველა დამახასიათებელი ქმეცა, თვისება უნდა იცოდეს: როდის აიყვანოს გასაზრდელად, ვიკან უნდა მოისმინოს პირველი ბრძანება, პირველი შექმნა, თავისი პატრონის, „სუფსა და ხელს უნდა შეეჭვიოს“. ცხოველის (ძაღლის) გაწვრთნა რომ ჩვეულებრივი ამბავია, ეს ყველამ იცის, მაგრამ მწერალი იმგვარი კუთხით, ოპორით და სილამა, „დასახუტებს“ სრულიად საპირისპიროს, რომ თვალეში ლინილაჰმდგარი მკითხველი ეგებ, დაეთანხმოს კვიც: — ადგიმ, დაფეცი, ფობი მოიტაცა — ხანროთნელი სკოლის ერთი აუცილებელი გაკვეთილთაგან, მაგრამ სწორედ ეს არ მოსწონს. დირექტორის გაკვირებას იწვევს, რატომ არ უნდა უნდოდეს პატრონს „დამჯერი ძაღლი“? — ფრავნეტი რომინიდან:

„ — კი მაგრამ, არ გინდათ, რომ თქვენი ძაღლი გეჯერებდეთ? — გააჩნია, როდის. ვთქვით, მან დაამთავრა თქვენი სკოლა და ჩვენ, ჩემმა ძაღლმა და მე, ტყვემ ვავისირებთ. უცებ ბურჭებიდან ფაქრი მოგვცხსა. ძაღლმა ყურები დაიკვიტა და ბურჭისაკენ გაიხინა. — მოიცა! — ვუბნები მე, — ეს ზომ ციყვია, დაჯექი — ძაღლს თავისი დიპლომი ახსენდება და ადგება. მე კი შემჭამენ. — შეჭამენ? — დიახ! ბურჭებში განა მართლა ციყვი ფაჩუნებდა, მგელი იყო ჩასაფრებული. — მგელი?!

— დიახ, მგელი! მე ახლა მკეადარი ვარ და ახია ჩემზე, რადგან ძაღლის სიწმეში ჩავყავი ცხვირი. ძაღლმა არ უნდა მკითხოს, ვის ვირჩევ პრეზიდენტად, მე კი არ უნდა ვასწავლო ციყვისა და მგლის გარჩევა. კაცს სხვანაირი ტყინი აქვს, ძაღლს სხვანაირად და ერთმაც თაყისი საქმე უნდა იცოდეს და მწორებმა.“

გიორგი პაპაშვილის პერსონაჟებს ქართული სახელები შეკვით: ქედანა, მურა, კიტრა... ზამუცეში, იქ, საქართველოში გავილი და მესხურებაში ზღაპრის გმირებთან ერთად დამახსოვრებელი საკუთარი სახელები „აქ“ გადმოიტანა. ხაზი არ წყდება წარსულსა და ამწყის შორის; არც „იქ“ და „აქ“ არის გამიჯნული. თვითონაც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებს: „კარგი სახელის მქრევა ადვილი საქმე არ არის. ისეთი უნდა იყოს, რომ რაღაცას ნიშნავდეს, ლეკვს უზდებოდეს და დასაძებელადაც კარგი იყოს.“ ამიტომაცა, როცა ძაღლის ლეკვებს ახალ პატრონებს აძლევს, მას სთხოვს: „რამე ქართული სახელი შეგვიჩინო.“ ნუ დაგვაიწყდება, ამერიკელი მკითხველისათვის მუდმივად (სხვადასხვა კონტექსტში) ქართული (საქართველოს) შესხენება, ვფიქრობ, სრულიადაც არაა შემთხვევითი. ერთი მაგალითი: „მძინარე ლეკვები ხელში ავიყვანე. ორივე დედასავით ოქროსფერი იყო, მაგრამ გოგონას ქედანას ხალები გამოჰყოლოდა, თითოს ტრავაზურით გადმოუტყინაო, ზიჭუნა კი ალი-კვალა მურა იყო სახით.“

„არ დამივიწყო“, — გადამიწყვიტე ბოლოს, სი ლეკვს შემოკლებით არდას დაგარქვეს; ამ პატარა აბეზარას კი, ფარდაგების საგლეჯად და ძილის დასაფრთხობად რომ ვიტოვებთ, „აქავე“ დაუფთხოთ.

უღწემო ორივე სახელი გამოიკორა. ორივე შესანიშნავად დევრდა. მერე მნიშვნელობა მკითხა და ვუთარგმნე. „რასაგერქვლია, უსარგებლო საქმეა ყველაფერი სიმბოლოებისა და ქმეცებების ძებნა; მაგრამ გიორგი პაპაშვილის ნაწარმოების მთავარ გმირს, დასასრულ, ორი საქმე აქვს მოსაგერებელი: პირველი — ლეკვის გაშუქება (ფრანკენფილდებისათვის) და მეორე — ქანდაკების გაკუება („პედნორი დედს“ — ამ ლამაზი, ბუთოზუხა ლეკვების დედის დიდი მოსაგერებელი). მშვენიერი დასასრული მარადიულ დროზე — სიმშვიდის, პარმონიის, ბედნიერების, გამრავლების ნიშანი, ასევე, გაქრეული დროც (ქანდაკება).“

ქართულ ენაზე წიგნი გამოცემილია „ნაკადულა“ დაბეჭდა, ტირაჟი — 20 000 გახლდათ, და სულ რაღაც 30 კაპიკი ღირდა.

რეზო ადამია

# მიქელანჯელო კვდებოდა!

მცოვანი ხელოვანი აფთარივით ებრძოდა სიბერეს და უკვე მოახლოებულ სამინელ სიკვდილს. უკვირს და გაოგნებულია მიქელანჯელო, რადგან მისი ქმნილებანი გრანიტის კლდოვან მწვერვალებად აღმართულან და მარადიული ქალაქის დიდებას ნარმოადგენენ; მხატვრის სიცოცხლის დასასრული კი მოახლოებულიყო. მოქანდაკემ კარგად იცის თავისი იშვიათი ნიჭის ფასი... განვიცოვრებულა,

„დავითის“ ქანდაკების ავტორისთვის, „მოჯაჭვული მონების“, „მოსის“ და „პიტეტებისა“, განაყოფიერებით ბოლოდროინდელი „პიტეტა“, მარად თანამედროვე ქანდაკებად რომ დარჩება... ხოლო ყველასათვის მომწუხებელი და ცალკე საკვირველებაა ქანდაკებათა შორის „მოჯაჭვული მონები“. დემეტრო ჩემო, მაშალა შენდა, როგორი უსაზღვრო ზედალ ჰქონია ადამიანის ნიჭსა და გენიოსს. ეს სასწაული ნეცილი ქანდაკებანი ზეადამიანური შთაგონებითა და ლეთიური გენიითაა მარმარილოს ძვირფასი ქვისაგან გამოქმნილი და მათგან შინაგანი, საკვირველი და შემამოფთობელი, ახალამოხეთილი ვულკანივით ყრუ ქვეა-ქუხილი გაისმო; „მოჯაჭვული მონებში“ დედამიწის შინაგანი უმრეტეი სიძლიერის გათავრებული ლავის ბოშოქარი უსაზომ მასაა ჩაღვრილი. მიქელანჯელოს ამ ქანდაკებათ, თანამედროვეობიდან, ანტუან ბურდელის „ისრის მტყორცელი“ თუ უფასა გვერდით (ბურდელის ეს ქანდაკება პარიზში, დორსეის მუზეუმის მეორე სართულზეა). კანტიკუნტად, მაგრამ ცაკობრობის უწყვეტი გენის ახალ და ახალ განვითარებაში აღმოცენდება ხოლმე ციცილიზაციის იშვიათი საოცრებანი, თავის დროზე ამდაგვარმა პროცესმა შუა, მიქელანჯელოს მემკვიბით, ქანდაკება „დავითი“ და „მოჯაჭვული მონები“. ამ გასაოცარ ქმნილებებში, ძვირფასი — სიხშირემდგარ — მარმარილოს ქვებში დაუტყვავი სული და კოსმიური ძალა შესისხლბორცვებოდა. ქანდაკებებში მარმარილოს ქვის ფაქტურას და ფიზიკურ ნონას ვერა გრძნობ ადამიანი; აქ მხოლოდ ქანდაკებური ქმნილების ლევიური თვისებანი და მარადიული სულიერებაა აფეთქებული, მხატვრის გენის შთმოქმედებითი სულის აწყვეტის, მუხათა ვახლებების, ზღვარს გადაცილებული ვნებათაღელვისა და ფანტაზიის აღმაფრენის კულმინაცია.

ლურჯის მუზეუმის ძველი რომაული და იტალიის აღმორძინების ხანის ქანდაკებათა დიდ დაჭრალაში თითქოსდა ვერ ეტყვიან მიქელანჯელოს „მოჯაჭვული მონ-



ები“, უსასრულოდ იტანჯებიან და უხილავად იღვწება მათი სული და ძელები, განცევტამდეა დაჭიმული კუნთები, დაბერილი არტერია, ძარღვები და ახენილი ნერვები. მათგან გახეთქვასაა დარბაზის სივრცისა და გარემოს განწყობილება. ოცნებაშიც ვერ გაიულებს ფიქრი, რომ ისინი როდისმე აინწყვეტენ და უშიშმისი ტანჯვისგან გაათავისუფლდებიან; იმდენად არიან მტკიცე ლედიოთ და უხილავი კოლოსალური ძალით შეკრულნი. სიმბოლურია აქ ყოველივე: რომ ადამიანი მარადიულ ტანჯვაშია და სიცოცხლის დასასრულამდე მონობისთვისაა განქინილი.

ერთ დროს მეფეთა, დეოფალთა, კარდინალთა და დიდებულთა მტყფარე ცხოვრების ამსახველ მატანენ, ლურჯის კედლები, „მოჯაჭვული მონების“ სტუმართა დაუსრულებელი ნაკადით უკადრესად დაძაბული და ფსიქოლოგიურად შეკუმშულია. თვით ავტორი კი შორს, იტალიის მიწას სიკრემია და მისგან არაფერი ისმის, მხოლოდ მისი „მოჯაჭვული მონები“ უსასრულო დროით შეზმინან მინიერ დრამას. მათ ირგვლივ შემოჯარული დემონის ქანდაკებები, იმპერატორთა, ბრძენთა, პოეტთა და დიდებულთა ბოუსტები ამდაგვარი ნაშების ცვეთრი განცივრებულან. დღევანდელი, გაოგნებული და მორჩილი, მაყურებელი მოსმარედ დადის და ამ დაძაბულ სივრცე-გარემოში კოსმიური ხრიალით ესმის მიქელანჯელოს სულის ჩვილ-გოდების.

**ვარ მარტოსული და განწირული  
და მომწყვდელი, როგორც ქერქია ხისა...  
მე გმზევი, როგორც კრახანა,  
ძელისა და ტყავის ტომარაში მოთავსებული...**

მიქელანჯელო, როგორც ტიტინი და მოქანდაკე, მინიერი და კოსმიური, დიდი ძალაა, ფიდაისის მერმე ვერ არავგანილი ადამიანული საოცრება; ასევე ყველა დროს ბელადზე, მეფესა და იმპერატორზე აღმატებული, და მაინც, სანამდე მიიყვანა კოსმოსის შეუჩერებელმა დრის დინებამ და მისმა მიუყარვმა განაჩენმა. ასეთი სასაზღ-მოქმედი ადამიანი, მიქელანჯელო, თანდათან სამიწელ წყვდიადს ბარდებოდა. კოსმოსი-დრო, სივრცე-გარემო და გარდამავლობა უმონყალოდ, ზემინიერი ძალ-ღონით ქვესკუნელისკენ ექმნებოდა და დაუფლობად საშობებელი ხელოვანს... მოქანდაკის შედევრები კი განზე იდგა, საოცრება „სიქსტის კაპელას“ ძერის მოხატულობაც თავისთვის ბოშოქრობდა. ამ დროს ულერძელი მიქელანჯელო თავის ქმნილებებს ხელს არ უშლიდა და უპატროსნესი ბერივით მორჩილი იდგა მათ ნინამე, თანაც, ბავშვივით უკვირდა, რა ადვილად ერეოდა და ცვეთდა უხილავი ძალა-კოსმიური შავი ჩრდილი უმონყალოდ ანადგურებდა მის უზარმაზარ ადამიანურ ბუნებას და უსაშველოდ მიაქანებდა იმ ქვეყანას, ანუ მინიერ სისტემას; რა თქმა უნდა, მინა უხმობდა მას, უახლოესი, დიდი და ურთულესი კოსმიური ფერომენი... ამასობაში მიქელანჯელოს ტანჯვის ცისფერ ბავივებზე შემდგარი სული მწარედ გვახსენებდა:



ჩემი კბილები ისე ირყევა,  
ვით კლავიშები კლავესინისა...  
მაქვს პირისახე გაფთხურებული...  
ცალ ყურში მიზის მე ობობა ქსელის მქსოველი.

ამგვარად მოტბა მინიერმა და კოსმიურმა ბუნებამ ერთ დროს უდრეკი და შეუპოვარი მიქელანჯელო და ჩვეულებრივ მოკვდავს გაუთანაბრა.

მღერის ტრიქინა მეორემ ვათენებამდე...  
ისე ვზრიალებ, თვალა რული არ ეკარება.  
მე დიდებას რომ აღმიშთვამდა, იმ ხელოვნებამ,  
აი, სადამდე მიმიყვანა, როგორ გათავდა.

სინანულით საყვედურობს დიდ ხელოვნებასა და თავის მარად უკვდავ შედეგებს მიქელანჯელო, ხოლო უჩვეულოდ სდგნან და ძლიერი პლანეტების დარად ზეცურ კვარცხლბეკზე დგანან „დავილი“, „პიტა“, „მოსე“, „სიქსტის კაპელას“ ფრესკები, „მიჯაჭვული მონები“ და მრავალი სხვა, სამყაროს მარადიულ მთლიანობას შერწყმიან ისინი და ავტორის მალე გამიწერება არც ადარდებთ. ასეთი ბედისწერისაა ყოველი დიდი შემოქმედის ცხოვრება.

მიქელანჯელოც, დედამინის ფანმრთელი ნიჭი და უწყვეტი არტერია, ვერ შერიგებოდა სიბერესა და სიკვდილს, კოსმიურ მკაცრ გარდუელობას, და როგორ მწარე და ტრაგიკულ სულიერ სურათს გვისხატავს ერთ დროს პლანეტის მყრობელი გენია...

მე ვარ მოხუცი, უბადრუკი და გათელილი  
და ბედშავს ახლა სიკვდილი თუ მიშველის მხოლოდ...

მოქანველი ვარ, გატანვეული და მოტხილი,  
ჩემი სასტუმრო ერთადერთი არის სიკვდილი...

მიქელანჯელო უკანასკნელად შეებრძოლა სიკვდილს და, — მიმეღვითო, — სწრაფით აღმოხდა უწეო, მიღუღო მონუსეს, მაგრამ მის წინაშე უდგმა ყოველი და ყოველივე... მასთან მხოლოდ კოსმიური ფშლეული ძალა შეტყურობდა, შავი, უზარმაზარი სიკვდილის უხილავი მასა მძიმედ მოიჩაჩედა მის კენს, სასტიკ ვალათად, თავის ზღელ საქვს აღასრულებდა და არავის არ ეშორჩილებოდა. დაუძლურებული მხატვარი ნელინელ ბარდებოდა და შორჩილდებოდა... მიქელანჯელოს საოცრება ქწნილებანი კი არც ერთის საქმეში არ ეწვიოდნენ, მინიერი სიკვდილ-სიკოცხელ მათთვის ხომ ძალიან შორეული იყო და სრულიად უცხო განზომილება. ყოველ შედეგითა უცნაურ დამოუკიდებლობას და უცხო გაურკვეველ განდგომილებას მიუყვართ ისეთ დასკვნამდე, რომ ისინი უთუოდ იმ შესაშვ რაღაცას ერწყმიან, რომელიც ჩვენთან ძალიან შორეულია, რის ძიებასაც უმონალოდ შეუწრწნენ მისტკოსი პოეტები. ის მესაშვ რაღაც გონიოვნდომილ ფენომენია, ბოლომდე შეუფერხადი, აღბნა სამყაროსაც აქვს თავისივე ზომის და სიდიდის ინსტრუმენტი, რაც თავისთავად შეუვალ იღუპალებას წარმოადგენს.

მარადიული შედეგების ავტორი კვდებოდა, დიდ ხელოვანს დიდ უსწრებდა და სამოქმედოდ სიკვდილი ჩამოეკდა. ყოველივეს გამანადგურებელს შეეწინააღმდეგებოდა გარემო და არამინიერი სუნი ტრიალებდა ირველივ. მიქელანჯელო კვდებოდა, აქვე ახლოს, მეზობელ სახლში ბავშვი იბადებოდა. იქ კი მარადიული შედეგითა მშობიარობა დასრულებულიყო და მრავალწერტილმა ვარსკვლავთაშემდის ააღწია...

გამოხეაურება

მარინე ტურავა

პოეტური  
ანდერძი

თქვენს თურნალები გამოქვეყნებულმა ნიკოლოზ ჩხოტუას გულისმეჭმურლმა ანდერძმა (წინო ვახანია, აგული მაიცი — მშობლიურ მინაში“, ჩვენი წერლობა“, 8) რეზო თაბუკაშვილის „ანდერძი“ გამახსენა.

\*\*\*

რეზო თაბუკაშვილი არ ყოვილა დიდი პოეტი, ბავშვობაში წერდა. პირველი ლექსი წ წლისამ დაწერა, 15 წლისას ორი წინაწი უნდა დაებეჭდა, ერთი ლექსების კრებული და მეორე პოემა. წინაწიების რედაქტორი ოსებს გრამაშვილი იყო. ამ დროს თაბუკაშვილის მამა „საბლტგამის“ დირექტორად დანიშნეს და წიგნებიც სამუდამოდ დაემშვიდობნენ დღის სინათლეს. მოსკოვში (მოუხედავად თავისი კონფლქტისა ამ ქალაქთან) ყოფნიას რუსული ლექსების წერა დაიწყო, ასი


ლექსი დაწერა, ნაწილი მხოლოდ პასტერნაკს წაუკითხა, როგორც თვითონ ამბობდა, „გათავებედა“.

პოეზიასთან ჭიდილი შექსპირის თარგმანებით გააგრძელდა. ისე გაიტაცა ამ საქმეში, კინაღამ მთავარი პროფესია დაკარგა. პირველად 98-ე სონეტი თარგმნა — „უშენოდ ვიყავ, როს გვესტუმრა ცით გაზაფხული.“ თითქმის მთელი ცხოვრება, რომელიც ნელი ეპარაულებად შეუქსპირს. „თარგმანის დროს რა-ენწყება ხოლმე, რომ ეს თარგმანებია, იმდენად ჩემია, ახლობელი. სირიული ისაა, რომ ეს უნდა იყოს რენესანსული პოეზია, ეს უნდა იყოს ინგლისური პოეზია, ამავე დროს უნდა იყოს თანამედროვე, დღევანდელი გერსიოვიკაციული დროის, ტექნიკის დაცეით თანამედროვე და ამავე დროს არქაულიც, რომ ჰქონდეს პენი სიძველეს, რასაც ყველაზე მეტად იაპონელები აფასებენ. ეს იყო ჩემი ბენდნიერი ურთიერთობა ამ სამყაროსთან“.

ამ ურთიერთობის წყალობით შექსპირის სონეტების უშმვენიერესი თარგმანები დაგვრჩა. რუსებს არ გააჩნიათ შექსპირის შესატყვისი მეტრი, ამიტომ მარშაკის ბრწყინვალე თარგმანები უკმარისობის გრამზობას იწვევს, ასევე პასტერნაკის თარგმანებშიც, პირაული ამ მხრივ უნაკლოა.

ის არ იყო დიდი პოეტი, მაგრამ სიკვდილის წინ ერთი პატარა, მშვენიერი ლექსი დაწერა, „ანდერძი“ უწოდა და თავის შეიღმიევილებს უძღვნა.

ღირსეულად იცხვება და ამიტომაც „საკუთარი სიკვდილი ჰქონდა“ (რაინერ მარია რილკე), საკუთარი სათქმელიც,



რაც საინტერესო ცხოვრებით დააგროვა. ჭერტაზე მტად მონაწილეობა, მოქმედება უყვარდა, გნების სიმძაფრეს შენებაში ზედადა. იმავე რილკეს თქმით: "კაცმა უნდა მოიკადოს და მთელი ცხოვრების, რაც შეიძლება გრძელ ცხოვრების აზრს და სიტყვს შეაგროვოს აუქარბლად... და შემდეგ გვიან, ცხოვრების ბოლოს შეიძლება გამოუვიდეს ათი სტრიქონი, ათიოდ კარგი სტრიქონი, რადგან ლექსები განცდებით კი არ არის, როგორც ჰკონიათ (კაცს განცდებით ადრევე და ჭარბად უწინდით), არამედ გამოცდილება". რეზო თაბუკაშვილის „ანდერძი“ არ არის რილკეს მიერ ნაგულისხმევი ათი გენიუსული სტრიქონი მხატვრული თვალსაზრისით, მაგრამ მნიშვნელოვანია საზრისით — სიკვდილის პირისპირ და არჩენილი კაცის სტოიციზმი.

„მშვიდობას ეძვეტო მალე ქართული ზეცის საფიროს და მცირე ტალღად შევიწერწყმები ზღვას უნაპიროს, ქარს იმ ქვეყნიურს დეაბედელებ მალე ნინ აფერს, დიდებულისა, გარდვიტცევი უცებ ნინაპრად“ — ნარმოუდგენელია სიკვდილის აღქმა ამგვარი სიმშვიდით, როცა იგი ასეთი რეალური და ხელშეშახებია. მთელი ცხოვრების ნინაპრების ნაკვაღევის კვალდაკვალ იარა, ახლა თავად უნდა გამხდარიყო ნინაპარი და მცირე ტალღად შეერწყმოდა უნაპირო ზღვას.

„და თუცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა ნამების, სიკვდილი მაინც არ დაარქვით გარდაცვლენას“. მიემგზავრებოდა ტყვილით, მაგრამ რწმენით. „მარტო ფრფუდს იცის, რას ნიშნავს ბოლომდე დანება“ (ოლივი ბროდსკი). ამ ტკივილისა და წეის მოუხედავად, იგი საკუთარი, მხოლოდ ამისთვის განკუთვნილი, ღირსეული სიკვდილით ეცდებოდა.

„მე ნაელა, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დაგერჩები, მე გიმეზღვრებთ ცხოვრების გზას როცა გაყვევით, მე დაგინახავთ, მაგრამ ვეღარ დავგინახავით,“ — ეს არის ცხოვრება, რომელიც სიკვდილის შერეც გრძელდება, რომელიც მარადიულია. ნეტარ აგუსტინეს ეკუთვნის: „რად გგონიერა შენს უფროსა მიღმა? იმიტომ, რომ შენს თვალსაწიერს გარეთა ვარ? მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ... ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის...ნეტ ტირი, თუ მართლა გიყვარვარ. თუ მართლა იცი, რა არის ღმერთის მადლი და სასუფეველი.“ ეს არის სიკვდილი, რომელიც ღმერთს მოიცავს, გულისხმობს.

„მე არ ვიქნები არასოდეს თქვენთან მოდავე, სამშობლო თქვენი თუ არასდროს არ იცოტავეთ, მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ, რა თუ სარბილად საქართველო გეპატირავით“. ტრავიკული ბედის მქონე პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, რომად საქართველოსა და რუსეთის სამსახურს შორის რამ იყო გაორებული და სიმძვიდედაკარგული, უკანასკნელი ტკივილი და ამოკენსება ასე გამოხატა:

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლდა უიმედობა, საფლავე ჩავდივარ სიმწრათი.

ეს მარტო სამშობლოს უბედობით შეწუხებული კაცის სიტყვები არ არის, აქ გრიგოლის უკმაყოფილება, საკუთარი თავის ბოლომდე ვერმეწრის სინაზულაც ჩანს. რასაც ვერ ვიტყვით ანდერძის“ ავტორზე. მისი სულიერი სიმძვიდე ეკლზობიდანის დამსახურებაცაა.

„დამარცხებულზე არსილება ჩანდით საბრალოდ, ვინცს სიგადავ კაცთა მოდგმას არ დააბრალოთ, ტკილით გეცნებით სიტაბუკე, მერე სიბერეც, სხვათა მიღწეით, სისარბილო თუ გაიბერეთ“.

„ვიდრე წერას დაიწყებ, უნდა იცხოვრო“ (ეგზოპერი). რეზო თაბუკაშვილის ეს სტრიქონები მხოლოდ სიყვარულით განვლილი გრძელი ცხოვრების ბოლო აკორდია, ჯამია, შეფასება.

„ყოველგვარი ნაღვლის, ყოველგვარი ზანეულობის“ გარეშე დანერილი ეს ლექსი იმის დასტურია, რომ „სიკვდილი არა არის რა“ (ნეტარი აგუსტინე), იგი ადამიანის მარადიული სიცოცხლის ვაგრძელებაა, მხოლოდ „ნარეულ სიგებადეთა საუფლოში.“

შექაპირის თაბუკაშვილისეულ თარგმანებში არის ასეთი სტროფი — „ამ უდაბნოში ხატად დამატქს შენი ცოდეები და მორჩილი ვარ შენი ერთი გადმოხედვის“.

„შეხვედრების ევთაყენები“, მაგრამ ქართულად კარგად ფერს „ამ უდაბნოში ხატად დამატქს შენი ცოდეები“. უდაბნო არ არის შექაპირის ამ სონეტში, მაგრამ არის სხვაგან, იგი სამყაროს უდაბნოს ეძახის ტრადიციებშიც, პოეზიაშიც. ეს მისი სახეა, ბატია, რომელიც მთარგმნელმა ამ ლექსშიც გადმოიტანა.

თავისი სიკვდილით რეზო თაბუკაშვილმა ცოცხლით სავსე უდაბნო დაატოვა „ნარეულ სიგებადეთა საუფლოში“ გადასახება საუფლადამოდ. წასვლის ნინ მთელი ცხოვრებისეული გამოცდილებით შეგერებული „ანდერძი“ დაგვიტოვა — ადამიანის დიდებულიების ნიშნუდ.

„მადლიერება უნდა განვიცდიდეთ მხოლოდ იმიტომ რომ ვარსებობთ“ (ჯონ ალვაიკი). თაბუკაშვილი თავისი არყოფნის, წასვლის გამოც მადლიერებას განიცდის, რაც მხოლოდ უფლის რჩეულითა ხვედრია.

**რადამკიის მინაწარი:**

ანდერძი არ არის მხოლოდ იურიდიული მოვლენა. მას შეიძლება ჰქონდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ისტორიული, ზნობრივი, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ლიტერატურული ღირებულება.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე დროდადრო ქვეყნდება ცალკეული დავიერებანი თუ მოსახრებანი ანდერძის, როგორც მრავალმხრიანი და მრავალფეროვანი მოვედრის ირგვლივ. ისე ჩანს, რომ ადრე თუ გვიან მოსალოდნელია, რომ მკვლევარები სავანებოდ ჩაუვადნენ მის შესწავლას.

ამ თვალსაზრისით მარტო ტურავას ამ მცირე სტატიაზე ნარმოუდგენი, როგორც კიდევ ერთ ზიძგს ამ მიმართულებით კვლევისათვის.



რეზო თაბუკაშვილი შვილიშვილებთან ერთად



ჩინო ჯავლეძე

# „ებრისის ანუ აფხაზეთის ანუ იმერეთის“ მინაზე მოსახლე ტომთა ისტორიიდან

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ანტიკურ ხანაში აფხაზეთის ტერიტორიაზე, ანუ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ეთნიკური კუთვნილების, მათი წარმომავლობისა და ადგილსაცხოვრების, ამ ტომებში მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესების შესწავლას მრავალი წლის ისტორია აქვს“ და იქვე მითითებულია, რომ „წერილობით წყაროთა სიმცირე და ცალმხრივობა... ტომთა ხსენება მეტწილ შემთხვევაში მათი ეთნიკური ენობის მითითების, მათ შორის არსებული ეთნიკური სხვაობისა და მათი წარმომავლობის აღნიშვნის გარეშე მხოვეწელოვნად აძწლებს აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნო-პოლიტიკური პროცესების კვლევას, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ საკითხებზე მსჯელობისას მკვლევართა შორის აღსუსიების გაზღვისა და აზრთა სხვადასხვაობის გაქენისთვის [1, 7].

საკითხის თაობაზე მართლაც არაერთი სამეცნიერო სტატია თუ მონოგრაფია გამოქვეყნდა. მკვლევარ-მეცნიერთებს ერთი ნაწილი ცალკეული ტომების ეთნოგენეზის შესწავლით შემოიფარგლა (ნ. ბერძენიშვილი, ნ. ყაუხჩიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, დ. მუსხელიშვილი, თ. მიმჭუანი, გ. გასვიანი და სხვ.), სხვებმა კი ეგრისის სამეფოში მცხოვრები ტომების ეთნოსტატიკის სპეციალური ნაშრომები მოუძღვნეს (პ. ინგოროვა, ზ. ანჩაბაძე, ნ. ინაძე, ნ. ლომოური და სხვ.). მდიდარი ლიტერატურის მოუხდავად აზრთა ერთიანობა, როგორც ზემოთ ითქვა, დღემდე არ არსებობს და კამათი პრობლემის გარშემო გრძელდება. ვფიქრობ, წინამდებარე წერილი მკვლევართა შორის აზრთა გასაზიარებლად და საკითხის გასარკვევად კიდევ ერთი წინაპირობა გახდება.

ქართულ, ბერძნულ და რომაულ წყაროთა მიხედვით, ჩრდილო ეგრისში უძველესი დროიდან დაწყებული ვიწრო ადრეფეოდალურ ხანაშივე ცხოვრობდნენ ტომები, რომელთა შორის უმეტესნი ქართველ ენოსის განკუთვნილებოდნენ (პენიოხები, კორაქსები, კოლხები, მოსხები, კოლხები, ლაზები, სანიჯ-სოანნი, მაქვონები, მისიმინები, აფსლანები, აპაზგები და სხვ.). მცირეებრი (ტორეტები, გელონები, ეპაგერიტები, ჯიქები და სხვ.) იყვნენ არაქართული წარმოშობის, რომლებმაც საუკუნეთა განმავლობაში ვერ შეინარჩუნეს თვითმყოფლობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სახელმწიფოებრივ პროცესებში არაზარიანი ჩენილი კვალი არ დაუტოვეყბათ.

ლონტი მორველის თანახმად, პრეისტორიული ხანის მოუძღვნებს რომ მოგვითხრობს, ეგრისის მინა-წყლის უპირველეს ბინადგობად „ეგროსისანი“ სახელდებიან. ამ ცნების ქვეშ ყველა ის დასახელება ქართველი ტომი იგულისხმება, ვინც აღმოსავლელ და სამხრეთელ თვისტომებთან ერთად ქართველი ერის ჩამოყალიბებაში

მიიღეს მონაწილეობა. ვინ არიან ის „ეგროსისანი“, ე-ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ, ანუ აწინდელი აფხაზეთის მინაზე რომ სახლობდნენ?

## 1. კოლხები დარაბისანი, აინთა ანის მცოდნენი (პატიონი)

სპეციალურ ლიტერატურაში ჩრდილო ეგრისში კოლხთა განსახლების შესახებ ზოგადად ნათქვამია, რომ „ანტიკური წყაროების მონაცემებით... კოლხებით დასახლებული ჩანს მინა დიოსკურიამდე, რომლის შემდეგ იწყება ეთნიკურად შედარებით ჭრელი სამყარო, სადაც კოლხებთან ერთად იხსენიება კერკეტები, კორაქსები და სხვ. ტომები...“ [1, 6]. მკვლევარმა მ.ინაძემ ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკურ ისტორიას ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა, თუმცა მას სხვა ტომთაგან განსხვავებით, რომელთა განსახლებას გამოწველით იკვლევს, კოლხთა ტომების ადგილსაცხოვრების საკითხი დამწერლობით არ შეუსწავლია და მხოლოდ შენიშნავს, რომ ძველბერძენ ავტორთა ცნობები „თავისთავად არ ნიშნავს ამ ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ კოლხური წარმოშობის ტომების მცხოვრებლობას, ამ ცნობებით არც ის მტკიცდება, რომ საკუთრივ კოლხთა ეთნიკური საზღვარი მაინცდამაინც დღ. სოხუმამდე აღწევდა, რადგანაც ზემოხსენებული ცნობების მოხვედრა წყაროებში შეიძლო გამოენვია იმ ხანებში დაწინაურებული კოლხური ეთნიკური ბირთვის...პოლიტიკური გავლენის გავრცელებას ამ მხარის მოსახლეობაზე...ძველი მოსახლეობა ადრინდენ კოლხური კულტურის არეალში იყო მოქცეული“ [1, 9].

კოლხების შესახებ ცნობებს აღმოსავლური წყაროების გარდა ბერძნულ-რომაულ თხზულებებში ხვდებით. ბერძნებთან თავად ეს ცნება, ისევე, როგორც ტერმინი „კოლხიდა“ ძვ. წ. VIII-დან გვხვდება. ეგზელის კორინთელი პირველი ავტორია, ვინც ეს ეთნომიმი და აგრეთვე გეოგრაფიული ტერმინი ახსენა. წყაროთა თანახმად, კოლხთა ტომები ისტორიულ სარბილზე ჯერ კიდევ არგონავტების ემოქიდან (ძვ. წ. XIII-XIII ს.) ჩნდებიან, როდესაც ისინი ეპ-ეგრისის სხვა ტომებთან ერთად არიან მოხსენიებულნი. არგონავტების თქმულების ვრცელი ვერსიის ჩამწერმა აპოლონიოს როდოსელმა მათ შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობა შემოგვიწინა. ეკრძოდ, მითის უძველესი შრეებიდან კოლხთა ადგილმოსახლეობის მიმანიშნებელი კონტურები იკვეთება, რაც იმის წარმოდგენას გვიქმნის, რომ კოლხთა ტომი ჩრდილო ეგრისშიც უნდა ეცხოვრა: „კოლხნი კავკასის კლდეებზე იდგნენ, მეფე ვიდრად მდინარის პირას“ [111, 157]. ეს პასაჟი იმ უშორესი სივრცული რეალობის შესატყვისია, კავკასიონის მიმინიშნებით კოლხთა არსებობას რომ უნდა გულისხ-

მომდევ. ძვ.წ. VI-Vლს.-ის ლოგოგრაფიის პეკატე მილეთელიც ასწენებს კოლხურ ტომს, რომელსაც იგი კორაქებს უწოდებს და მათ „კავკასიონის ქვედა ფერდებზე“ მოსახლე კოლხების მეზობლად მიუჩნებს ადგლს [IV]. ასევე ირვეკა, რომ უკვე იმ ხანად კოლხთა ტომების განასახლებს გეოგრაფია შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსაც მოიხატება. ფსევდო-სკილეტს კარიან-დაქლის (ძვ. წ. IVს.) თანახმად, დიოსკურისი კოლხთა ელაქია [V]. გარდა ამისა, პეროდოტე შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ოდენ კოლხთა ტომის სამფლობელოს ასახელებს [VI, 262], ხოლო მისი მთარგმნელისა და გამოცემლის ა.ბარგეს კომენტარით, პეროდოტეს პტონია მონაცემები თანამედროვე სოხუმთან ახლოს ძველი კოლხების პატარა დასახლების შესახებ“ [VII, 522]. მსგავსი ცნობები იონურ და იონურიდან მომდინარე სხვა წყაროებშიც გვხვდება, რომელსაც მომდევნო საუკუნეების ავტორები იმონებენ. ფსევდო-სკიპონის, რომლის ცნობები დაცულია ახ.წ. Vს-ის ანონიმთან, წერს: „...ბარ-ბაროსული ქვეყანა კორაქსიკე, რომლის შემადგენელი ნაწილია ე.წ. კოლიკე, რომელიც ახლა (უჭირავს) მელანქლენებისა და კოლხების ტომს“ [VI, 4]. პლინის (ძვ.წ. Iს.) კი ამბობს, რომ უნი ექსინის პონტოს „ნაპირები ეკავით ევლურ ხალხებს მელანქლენებს და კორაქსებს კოლხების ქალაქი დიოსკურით, რომელიც...ახლა მიგრებულია“ [VI, 34]. ერთი სიტყვით, წყაროთა თანახმად ძვ.წ. XII საუკუნიდან მოყოლებული ჩრდილო ეგრისში კოლხთა არცერთსა დაქტი ნათელუპებს, რომ ე-ავგრიის ამ რეგიონში, ანუ ანიდელია ფხვანუხის ტერიტორიაზე კოლხების ტომი მკვიდრი მოსახლეობდა.

კოლხთა შემდგომი ჩრდილონდელი განსახლების ცნობები ბერძენ-რომაელ მწერლებთან კვლავაც მოიპოვება. ოვიდეუსი თავისი ლექსების ციკლში „წერილები პონტოვან“ კოლხებს ბოსფორის და მეოტისის ჩრდილოელ ტომებთან ერთად ასხენებს, რაც ძვ.წ. I საუკუნეში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე კოლხთა ტომის არსებობას უნდა მიანიშნებდეს. დიონ-კასიოსი, როდესაც პომპეუსის მიერ ძვ.წ. Iს-ში წარმოებულ ლაშქრობას აღწერს, მითრიდატეს მეფე-სულიერ პომპეუსის შესახებ ამბობს, რომ მან „გადამხვდა...კოლხებით ჩასულიყო, ხოლო აქედან ბოსფორში მითრიდატეს ნინაღმდეგ გალაშქრა...გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე“... [IX, 62]. მართალია, დიონ-კასიოსი არ აზუსტებს, თუ ეგრისში სად სახლობდნენ „კოლხები და მათი მეზობლები“, მაგრამ აქ ერთს უკანონო ჩრდილო მინები იფიქსებს, ეს ჩანს პომპეუსის მიწათმფლობელად - მას გადაწვეტილი პტონია ბოსფორში გადასულიყო, ანუ ქვეყნის ჩრდილო ნაწილი უნდა გავლყო. ეს ვარაუდს სხვა ავტორთა ცნობებითაც დადასტურდება. კერძოდ, სტრაბონი აღნიშნავს, რომ მითრიდატეს ომების ისტორიკოსები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შორის კოლხებსაც ჩამოთვლიან: „აქალები, ზოგები, პენიონები, კვლავ კერკეტები, მოსხები და კოლხები, რომელთა ზემოთ ფთორფავები, სანაბნი და სხვა პატარა ხალხები კავკასიონთან“. სხვაგან კიდევ სტრაბონი არტემიდორზე (ძვ.წ. Iლს.) დაყრდნობით ამბობს, რომ დიოსკურია და პიტუნტი კოლხიდის ქალაქებია: შავი ზღვის სანაპირო „ბატადან ნელ-ნელა ბრუნდება, შემდეგ

შემობრუნდება დასავლეთისკენ და სრულდება პიტუნტისა და დიოსკურიასთან. კოლხიდის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან ხსენებულ სანაპიროს“ [X, 120]. ამასვე იმეორებს აბიანე (ახ.წ.), რომელიც მითრიდატეს ომებს გადმოცემისას შენიშნავს, რომ კოლხები კოლხიდის ძირითადი ტომია და დიოსკურია მათი ქალაქი იყო [XI]. სტრაბონის თანამედროვე რომელიც ისტორიკოსი გაიუს ევლეუსი პატერკულუსიც (ძვ.წ. Iს.) იმავე მოვლენების აღწერისას კოლხთა ტომს პენიონებისა და აქალების გვერდით მოიხსენიებს: „პომპეუსმა...ჯარი მიაბრუნა იმ ხალხისკენ, რომელნიც პონტოსის მარჯვენა და უიოდურს ნაწილში ცხოვრობენ - კოლხების, პენიონებისა და აქალებისაკენ“ [VIII, 24]. როგორც ვხედავთ, რომელიც და ბერძენი ავტორების თქმით ხსენებულ სანაპიროზე კოლხთა ტომი ძვ.წ. II-I საუკუნეებშიც ცხოვრობდა.

ვითარება ნაწილობრივ შეცვლილია ახ.წ. I საუკუნეში. მენიპე გვაუწყებს, რომ ძვ. აქიიდან ძვ. ლაზიკამდე მცხოვრებ ტომთა შორის უნი კოლხებიც ბინადრობდნენ, მის დროს კი ამ ტომების ნაცვალად ვიქები დასახლებულან [IV, 11], ე.ი. მენიპეს დროისთვის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ადრე მცხოვრები კოლხები სხებთან ერთად ვიქები შეუერთდნენ. ეს ვიქები ემთხვევა ეგრისის სამეფოს დასუსტების ხანას, როდესაც ქვეყანა ოდინდელ სიძლიერეს თანდათან კარგავდა. თუმცა ცვლილება ნაწილობრივი ხასიათისა და ჩრდილო ეგრისის შიდა მიწებზე კოლხები კვლავაც განაგრძობენ ცხოვრებას. ასე მაგ., იოსებ ფლავიუსთან კოლხთა ტომი პენიონების, ტავრების, მეოტიდის ხალხთა და ბოსფორისთვის შორის არის ნახსენები [XII, 58], რაც ახ.წ. I საუკუნისთვის ეგრისის უიოდურს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, იქ, სადაც სამეფოს საზღვარი მდ. მცერე ხაზარეთთან გადიოდა, მათი ყოფნის დასტურად აღიქმება. ახ.წ. II საუკუნეში კოლხები ბინადრობენ როგორც სებასტოპოლთან, ასევე კავკასიონის მთისწინეთშიც: „პონტოს (სანაპიროს) კუთხე, ტინდარდების ქვეყნის შორიპარლის კოლხებს უკავიათ...ისინი კავკასიონის მთისპირასაც ცხოვრობენ...“ [VII, 175]. ამ სიტყვების ავტორის დიონისე პერიეგორის მიერ ნახსენები პონტოს კუთხე - იგივე კოლხების“ გარეა [XIII, 44], კლავდიუს პტოლემოსის მიერ მათგან მთელ სივრცეზე იყვნენ დამკვიდრებულნი. ამასვე მოწმობს ახ.წ. II საუკუნეიდან ეთნონიმ „სუანი-კოლხების“ გარეა [XIII, 44], კლავდიუს პტოლემოსის მიერ ამ ნარევი ტომის სხებზე, რომელსაც იგი აქალებთან, ასევე კერკეტებსა და პენიონებთან ერთად პონტოსის ჩრდილო ასახელებს, იმის მარჯვენაგანია, რომ მის დროს ჩრდილო ეგრისში, დიოსკურიიდან მთისწინეთამდე მოსახლე კოლხები სვანთაქიმების უკრედიგვერდ ცხოვრობდნენ და საცხოვრისს მათთან ერთად ინაწილებდნენ.

საგულისხმოა ორფთავი „არგონავტიკის“ ერთი ადგილი, სადაც ფსევდო-ორფეუსი კოლხითიდან გამგზავრებული არგონავტების გზასავალს აღწერისას მეოტიდის, სინდიკეს მხარეში მდებარე სინდის მთას ასახელებს და „კოლხების, პენიონების და აბაზგების სახელგანთქმულ ტომებს“ ჩამოათვლის [XIV, 104]. ფსევდო-ორფეუსი კოლხთა ტომს პენიონებსა და აბაზგებთან ერთად მოიარჩებს, ეს უკანასკნელი კი, ცნობილია, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მკვიდრობდნენ. აქვე

უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს მისი თანადროული ვითარება (ახ.წ. IVს.) არგონავტების ეპოქაში გადააქვს, რადგანაც აბაზგები წყაროებში მოილოდნენ ახ.წ. II საუკუნედან ჩნდებიან და მათი სხენება არგონავტებთან ერთად ოდენ ქრონოლოგიურ-ისტორიული აღრქევაა. მაგრამ მათგან არ სხვა რამ არის. ფსევდო-ორფეისი, უნებლით, მის დროინდელ სინამდვილეს გვიჩვენებს, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ახ.წ. IV საუკუნეში კოლხთა ტომი (და არა კოლხები, როგორც პოლიტიკური ცნება) — ეგრისის სამეფოს ჩრდილო მხარეში მცხოვრები ხალხია. სხენებულ-ი პასაჟი ფსევდო-ორფეისის ფანტაზიის ნაყოფი რომ არ არის და იგი რეალობას ასახავს, ეს მისი წინამორბედი ავტორების (პატროკლუსი, ფლავიუსი, აპიანე, დიონისე პერიეგეტი და სხვ.) ზემომოხმობილი ცნობებითაც წარმოიჩინდება, ჩრდილო ეგრისში კოლხთა განსახლების რომ უნდა.


V საუკუნიდან მოყოლებული კოლხები უფრო ხშირად ლაზებად მოიხსენიებიან: „დიოსკურიიდან (რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება) ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და გადაერქვათ ლაზები“ — ნერდა V ს-ის ანონიმი ავტორი [V, 6]. შემდეგაც, მთელი ადრე-ფეოდალური ხანის განმავლობაში, ცნებას „კოლიზი“ უმეტესად ტერმინი „ლაზი“ ენაცვლებოდა.

ამრიგად, ეგრისის ჩრდილო მინებზე კოლხთა ტომის განსახლების ქრონოლოგიურ-ისტორიული რეალობა ამგვარია: უძველეს ხანაში კოლხთა მკვიდრობის ადგილად ეგრისის სამეფოს არა მხოლოდ ცენტრალური თუ სამხრეთი მხარეები მოიარჩებოდა, არამედ არგონავტების ეპოქიდან მხარეებულ მათი ბინადრობა კავკასიონის მთისწინეთში და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზეც აღინიშნება. ძვ.წ. IV საუკუნეში დიოსკურია — სებასტოპოლი კოლხთა ქალაქად აღიქმება, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ეს სანაპირო ქალაქი ოდითგანვე კოლხებით დასახლებულ გეოგრაფიულ პუნქტად მივიჩნიოთ. ვითარება არ შეცვლილა არც მომდევნო პერიოდში და ძვ.წ. II-I საუკუნეებში კოლხები სხვა ქართველ ტომებთან ერთად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო სექტორში ბინადრობენ. ამასთან, პიტიუტა და დიოსკურია-სებასტოპოლი კოლიზის ქალაქებად სახელდება. მდგომარეობა თანდათან იცვლება ახ.წ. I საუკუნისთვის და იქ, სადაც შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით აქველ-ჰენიოხ-კოლხები ცხოვრობდნენ, ვეძებ ჩნდებიან. თუმცა ვეძებმა სანაპირო ზოლის მხოლოდ ერთი მონაკვეთის დაკავება მოახერხეს. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსა და შიდა

მინებზე კოლხთა ტომები კვლავაც სახლობენ და ახ.წ. II საუკუნეში კოლხებს მინები სებასტოპოლიდან ვიდრე კავკასიონის მთისწინეთამდე სვანებთან ერთად უკავიათ. ასე გრძელდებოდა შემდგომ საუკუნეებშიც, ეგრისის მთიან ნაწილსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე კოლხები სხვა ტომებთან ერთად ბინადრობენ, ოღონდაც IV-Vს-ის მერე მათ, ძირითადად, ლაზებს უწოდებენ.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ კოლხები ქართველ ტომთაგან ერთ-ერთი მათთაგანნი არიან, რომელთა სამოსახლო მთელ ეგრისში განიფრცობოდა. ზემოთ ჩვენ წარმოვაჩინეთ კოლხთა განსახლება ჩრდილო ეგრისის სანაპირო ზოლსა და კავკასიონის მთისწინეთში, ეგრისის შუაგულში კოლხთა არსებობა საყოველთაოდ ცნობილია. რაც შეეხება ეგრისის სამეფოს სამხრეთ სანაპიროს,

ზონამდე რომ აღწევდა, ამ მხარეში კოლხთა ბინადრობის შესახებ ცნობა ჯერ კიდევ არიანეს მოემოკება, რომელიც კოლხებს ტრაპეზუნტლებს მიმდებარე მინებზე ასახელებს. მაგრამ ისინი, ცხადია, აქ მხოლოდ სანაპიროს გაყოლებით არ ცხოვრობდნენ. პინგოროსაც მართებულად შევნიშნავდა, რომ კოლა-კლარჯეთი და კოლხთა ტომის სახელე ერთმანეთთანა დაკავშირებული და ეს გეოგრაფიული ტერმინები კოლხთა განსახლების დამადასტურებელი ტოპონიმიებია: „კოლხი იგივე კოლაელი, კოლარი. ფორმიდან




ნანა ქურულთა

იმპროვიზაცია

კოლარი მომდინარეობს კოლარჯი-კლარჯი“ [XV, 138] — ნერს მკვლევარი. ის ფაქტი, რომ საუკუნეთა განმავლობაში კოლხთა სამკვიდრო ადგილებში ეგრისის ტერიტორიაზე ყველანაირი აღნიშვნებოდა და ისინი ქვეყნის ჩრდილო ნაწილებში, მის შუაგულში — მდ. როინის ქვემო წელის გასწვრივ — და სამხრეთ მინებზეც ცხოვრობდნენ, ჩვენი აზრით, არ უნდა ნიშნავდეს კოლხთა ტომების სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ან პირუკუ მიმართულებით მიგრაციას. ვფიქრობთ, კოლხები ეგრისის სამეფოს ანუ აფხაზეთის ანუ იმერეთის“ მთელ მინაზე მკვიდრ ტომს წარმოადგენდნენ, რასაც ძველებერქვენ და რომელ ავტორთა ცნობები თვალნათლივ მოწმობენ.

## 2. კვამლისყარი თავსაპურაპი ლაზთიდას

ლაზთა ტომები, მსგავსად კოლხთა და სხვა ქართველ ტომებისა, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლიდან მოყოლებული ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთამდე ცხოვრობდნენ, რაც ბერძნულ-რომაულ



წყაროთა მონაცემებით ირკვევა. ეგრისის ტერიტორიაზე ღაზთა დასახლების ამსახველი ვეულაზე ადრინდელი ცნობები ძვ. აღრიცხვის I საუკუნეს განეკუთვნება, სადახანაც ვგებულობთ, რომ ღაზებს სანაგებთან ერთად დიოსკურიანთან უცხოეთისა „პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთ მხარეებში...სახლობდნენ სამეგობო და ღაზები“ – წერს მემნონი [XVI, 46]. ბერძენთათვის პონტოს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი დიოსკურია იყო, ამდენად ძვ. I საუკუნეში ღაზები დიოსკურიასთან ჩანან დასახლებულნი. ამ ფაქტს ადასტურებს მენიპეც (ახ. ს.), იგი პონტოს სანაპიროს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში მცხოვრებ სხვადასხვა ტომს შორის ღაზებსაც ჩამოთვლის, რომელნიც იქ უნინ სახლობდნენ და შემდგომ ვიჭრებ ს მეფეინროებით [XVII, 23]. იმავედროულად ღაზთა მკვიდრობას უკვე პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე რომელი ავტორი პლინიუსი (ახ. ს.) ნარმოაჩნს. იგი პირველია, ვინც ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მცხოვრებ ღაზებს ასხენებს [VIII, 32]. ძველების შუა ნაწილში, მდ. ჭოროხიდან მდ. კოდორამდე განდევნილი სანაპირო ტერიტორია ასევე ღაზთა ტომებით ყოფილა დასახლებული, რაც არიანას (ახ. ს.) ცნობებიდან ჩანს. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ძიღრიტებიდან (მდ. ჭოროხის შესართავთან რომ სახლობდნენ) ბბასკებამდე (რომელნიც მდ. კოდორთან ბინადრობდნენ), ღაზთა ტომები იყვნენ [XVIII]. აღსანიშნავია, რომ მენიპესა და არიანუს ცნობებიდან სხვა მნიშვნელოვანი ფაქტიც ირკვევა. კერძოდ, ღაზთა ტომები, ჩანს, დიოსკურიაში და მდ. კოდორის ჩრდილოეთით განდევნილ მინგებზეც ცხოვრობდნენ. ამის დასტურია გეოგრაფიული პუნქტი „ძვ. ლაზიკა“, რომელსაც ორივე ავტორი იცნობს. თავად ამ დასახლებების შინაარსი მითითებას, რომ იქ, სადაც ღაზების ოდინდელი სამოსახლო ყოფილა, ახს. I საუკუნიდან ამ ფაქტის აღნიშვნეული ტერმინი გაჩენილა. მოყვანილით ბერძენ და რომაელ ავტორებს: „ძველი აქაიიდან ვიდრე ძველ ღაზიკამდე და შემდეგ ვიდრე აქუნიტის მდინარეზე ცხოვრობენ (სხვადასხვა) ტომები...და ღაზები“ – წერს მენიპე. აქუნიტადან პერაკუს კონცხამდე...120 სტადიონი, აქედან ძვ.ღაზიკამდე – 120 სტადიონი, იქიდან ძვ. აქაემდე – 150 სტადიონი“ – აღნიშნავს არიანე. როგორც ვხედავთ, ორივე დანერვილებით გადმოცემულ ძვ.ღაზიკის ადგილმდებარეობას, ოდინდელ ბერძენი მწერალი სანაპირო ზოლს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით მოუყვანს, რომელიც ავტორი კი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ჩამოთვლის გეოგრაფიულ პუნქტებს. საბოლოოდ, ისინი ერთმანეთის ნაამბობს ადასტურებენ. „ძვ. ლაზიკის“ ადგილმდებარეობას უთითებს Vს. ანონიმური ავტორიც და მას მდ. ფსახანსისთან ახლოს, ნიოფსიასთან ასახელებს [XX, 11]. ნიშანდობლივია, რომ არც მემნონი, არც არიანე და არც ანონიმი ავტორი ამ გეოგრაფიული პუნქტის სტატუსს არ განსაზღვრავენ, თუმცა ამას ვგებულობთ პტოლემეიოსის (ახ. ს.) ნათქვამიდან, რომელიც ამბობს, რომ ეს დასახლება ქალაქი ყოფილა – („ქალაქი ღაზოს“) [XIII]. ამრიგად ძვ. ღაზიკა უშინიშნელო პუნქტს არ წარმოადგენდა, იგი სანაპირო ქალაქი იყო, რაც, თავის შრიც, ამ სექტორში ღაზთა მრავალრიცხოვნობასა და მძიმეებზე უნდა მეტყველებდეს. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ V-VIსს.–დან

„კოლხი“ და „ღაზი“ ერთმანეთის სინონიმად იხმარება. პროკოპი კესარიელი წერს: „სახელი „კოლხები“ ამჟამად „ღაზთა“ სახელით შეცვალა“. მისი თანამედროვე იოსებ ლიეცი მიითითებს, რომ კოლხიდან „ამჟამად ღაზიკის ენაბინა შევგონობისაგან“ [IX, 236], რაც სხვა ტომებთან შედარებით ღაზთა დანიანურებით უნდა ყოფილიყო გამომწვეული. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიურ წყაროებში ამ ორ ტომს, მიუხედავად მათი ერთმანეთთან გაყოფისა, ცალ-ცალკეც ასახელებენ მაშინ, როდესაც მათი საცხოვრისის მდებარეობას უთითებენ. პროკოპი კესარიელი კი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სპარსეთის შეჭრის VIს-ში უნდოდა ქვეყნადე მათი ავტორი როგორც კოლხთა ტომები, ასევე ღაზებიც. იგი ვიყურება: „მან (ბოსროს) გადამწყვეტა ქვეყნი და აიღო მოულოდნელად და ღაზიკიდან კოლხები ყველანი გამოუსახლებინა, ხოლო მათ ნადავლად სპარსელები ჩაესახლებინა“ [IX, 292]. ქვემოთ კიდევ აგრძელებს: „ბოსროს ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა ღაზთა მფეე გუბაზი და ღაზები იქიდან სრულად გაევახსლებინა და ამრიგად იმ ქვეყანაში ჩაესახლებინა სპარსელები და ზოგიერთი სხვა ტომებიც [XIX, 96]. ქართული წყაროები ტერმინებს კოლხი (კოლხიკე) და ღაზი (ღაზიკე) არ იცნობენ, მხოლოდ ვახუშტის უწერია თავის „გეოგრაფიაში“, რომ ქანნი იგივე ღაზები არიან და „ჭანეთს ამ უწოდებენ ღაზებიც“ [XX, 689]. ამას გარდა, მბროსის, ჩანს, ბიზანტიელ და სომეხ ავტორთა ნაშრომებით უსარგებლია და მათი ციტირებებით „კოლხიკა-ღაზიკის“ ისტორიას მოკლედ მიმოიხილავს [XXI, 290-294]. ამრიგად, წყაროთა თანახმად, რომელიც შორის უძველესი ძვ. ს.-ს განუყოფელია, დასტურდება, რომ იმ დროისათვის მათ ზღვის სანაპირო ზოლი სხვათა გვერდით ღაზთა ტომებით იყო დასახლებული. ღაზების საცხოვრისი ადგილები იწყებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროდან – „ტრაპეზუნტი ღაზიკის ქალაქი“ [XXII, 58] და სრულდებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მონაკვეთში – „ქალაქი ღაზოს“-ი, ანუ ძვ. ღაზიკა. ამასთან, ღაზებით დასახლებული ჩანს ეგრისის შუა ნაწილიც – სანაპირო ზოლი მდ. ჭოროხის შესართავიდან ვიდრე მდ. კოდორის ხეობამდე. ყოველივე ეს საუბრებს გვაძლევს ვიჭრებთ, რომ ღაზები ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე უნდაც ცხოვრობდნენ, ისინი მკვიდრი ბინადარი იყვნენ და კოლხებთან ერთად მისსახელობის ძიგარ ბირვს შეადგენდნენ. აქვე ნათი კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ბიზანტიურ წყაროებში კოლხთა და ღაზთა ტომების იდენტრობას. X საუკუნის „სვიფას ლექსიკონში“ პირდაპირ განმარტებულია: „კოლხეთი ღაზეთი“ [XXII, 322]. აღსანიშნავია, რომ ამ სინამდვილეს კარგად იცნობდნენ გვიან შუასაუკუნეების ევროპისა თუ რუსეთის სამეცნიერო ნრეგები. მათ ისიც უწყობდნენ, რომ კოლხ-ღაზნი ჩრდილო ეგრისის მკვიდრნი იყვნენ, რასაც სათანადოდ წარმოაჩენდნენ. ასე მაგ., XV საუკუნის ერთ-ერთ ევროპულ პორტულანზე ქ.ცხუმი აღნიშნულია როგორც „porto mengrello“, ანუ მას მეგრულ ნავთსაუფელს უწოდებდნენ [XXIII, 247]. ასეთი განმარტება, ერთი შეხედვით, იმით შეიძლება აისხნოს, რომ XVII საუკუნეზე ცხუმის საერისთავო სამეგრელოს სამთავროს შემადგენელ ოლაშიმ შეთოვდა და ცხუმიც, შესაბამისად, მეგრულ ქალაქად აღიქმებოდა, თუმცა ეს შესაძლება მხოლოდ შუა

საუკუნეების რეალობას არ უნდა ასახავდეს და იგი კოლხ-  
ლახთა ოფინდელი ადგილსაცხოვროსის ცოდნასაც უნდა  
ვეფუძნებოდეს. ამაზე მტკიცეობებს ის გარემოება, რომ XVIII-  
ის შემდგომი პერიოდის უცხოური ლიტერატურაში, როდესაც  
აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროს გამოყოფა და ცალკე  
სამთავროდ ჩამოყალიბდა, სებასტოპოლი და საერთოდ შავი  
ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო ძველთაგანვე  
კოლხთა სამეკიდრო ადგილადაა მიჩნეული, ასე. მაგ.:  
საფრანგეთის სამეფო კარის გეოგრაფის პიერ დიუ ვალის  
მიერ 1676 წელს გამოცემულ ნიგმი ნაწი, რომ: „ოდინში  
(ანუ სამეგრელოში) მდებარეობს სებასტოპოლი, წყლისგან  
განადგურებული“ [XXIV, 42], ხოლო XIX-ის რუსეთში  
მოღვაწე მეკლევარი ი.შოპენი წერდა: „შავი ზღვის სანაპი-  
როზე, სადაც კავკასიონის ქედი სრულდება, უძველესი მცხ-  
ოვრეული კოლხები იყვნენ.“ [XXIV, 92] და სხვ.

აქვე გვსურს ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობების  
ამსახველი ერთი ისტორიული გადმოცემა გავისწავლოთ,  
XIII-ის ბიზანტიაში რომ მომხდარა: ანდრონიკ კომ-  
ნენოსის 1183 წელს, კეისარად გამოცხადებისას კოლოჯის  
კეპალისფერი თავსაბურავი, რომელიც მას ლაშქრიდან  
მეზანა იმის სანიშნოდ, რომ აპირებს კეპალში გაახვიოს,  
მის შემდეგ, რაც გადასწავს ყველაფერს, ხოლო ამის  
მაგიერ დაახურეს წითელი, რითაც მიუთითებდნენ იმაზე,  
რომ სისხლით მორწყავს იქაურებს მის შემდეგ, რაც  
სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს ბევრს“ [XXV, 16]. იმავე  
შემგატანის გადმოცემით, 1185 წელს სიცილიელი ნორ-  
მანდის მიერ აღყავამორტყმულ ქაიხალაონისგან დამცე-  
ვლ ბიზანტიელთა ჯარში იბერიულ მასაბურავს. ბიზან-  
ტის კეისარი ანდრონიკი, აბაბო, მტრის წინააღმდეგ არა  
მხოლოდ ქართველთა (იბერთა) მამულ ძაღს იყენებდა,  
არამედ თავის ძლიერებს სიმბოლურად ქართული  
(ლაზური) თავსაბურავით გამოხატავდა კიდევ. ბერძნულ-  
ქართული კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების  
შედეგია ისიც, რომ ჩრდილი ეგრისში ანუ აწინდელ  
აფხაზეთში მოსახლე ლახთა ტომის ამსახველ ცნობებს  
ბერძნულ-ბიზანტიური წყაროებიდან გვებულობთ.

წერილის დასასრულს ერთიც უნდა ითქვას, ჩვენს  
სამეცნიერო ლიტერატურულ ერთგვარი ტენდენცია  
შეინიშნება. სამწუხაროდ, ყურადღება არ ექცევა და  
მიუწმათებუღია ის უტყუარი სინამდვილე, რომ ჩრდილი  
ეგრისში ოდითგანვე ქართველ ტომებს (კოლხ-ლაზები  
და სხვ.) მკვიდრობდნენ და მათი ტომობრივ-ეთნიკური  
პრიმატი უცილობელი იყო. თუმცა ერთია მიუწმათება და  
უარესობა, როდესაც განალებთ ამკვიდრებენ თვალსაზ-  
რის, თითქოსდა სხენებულ რეგიონში ტერმინი „კოლხი“  
კრებით მიწმუნელობის იყო და იგი „სხვა ტომებსაც“  
მოიცავდა, რომლებიც „მრისხანე სტიქიაში“ იკვლავსხე-  
ბიან. ამ აზრის ერთ-ერთ აბტიკურ დამამკვიდრებლად  
ქართველი მეკლევარი ნ. ლომოური გვევლინება. მისი  
თქმით: „საქსელები დასაშვებია, რომ უკვე მაშინ კოლხეთის  
საშფოოს (ძვ. VI-III სს.) არსებობის პერიოდში ჩვენთვის  
საინტერესო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ აფხაზური  
ტომებიც (აფსუები-ნ.ჯ.), თუმცა ისინი არ არიან  
დაფიქსირებული ადრინდელ წყაროებში... კოლხური  
ტომების გვერდით აფხაზური ტომების ყოფნა არ არის  
გამორიცხული, მაგრამ წყაროთა კონკრეტული მონაცემე-  
ბით არ დასტურდება“ [XXVI]. მართლაც, რბილად რომ

ვთქვათ, უცნაურია, რომ ძველთაგანვე კოლხთა ტომების  
მკვიდრობა აფხაზეთში, რაც უცხოებოვანი წყაროებით  
აქკარად ჩანს, არათუ წინ არ წამოიწვევა თავისი სათანადო  
დასტურებით, არამედ პირუტყვ, მას დუმლით უღლიან  
გვერდს და არარსებული ფაქტი აფსუათა მკვიდრობისა  
დასაშვებად მიჩნევა, თანაც „საქსელები დასაშვებად“.  
ამასთან, არად დავიღვევ, რომ ამ „დასაშვებს“ ოდენ  
ავტორის წარმოსახვა და ახირება უდევს საფუძვლად. აღ-  
და ამგვარმა არაკეთილსინდისიერმა კვლევა-ძიებამაც  
განაპირობა დღეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული დანაშა-  
რება და სახელმწიფოებრივი ბედუკუღმართობა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

- I. ნ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, მკაცნა, ისტ. სერია, 1992, 1.
- II. მ. ლორთქიფანიძე, აფხაზეთი და აფხაზეთი, თბილისი, 1990.
- III. აპოლონიის როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანა აკ. გელოვანმა, თბილისი, 1975.
- IV. ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველ ტომების შესახებ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. 35, თბილისი, 1963.
- V. გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1965.
- VI. პეორობე, ისტორია, თარგმანა თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1975.
- VII. Дж. Гамахари, Б. Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тбилиси, 1997.
- VIII. აღ. გამყრელიძე, ტატიტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1973.
- IX. ნ. ლომოური, დიონ-კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1966.
- X. სტრავონის გეოგრაფია, თარგმანა თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1957.
- XI. აპიანე, მთორიდატუს ომების ისტორია, თარგმანა თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1959.
- XII. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თარგმანა თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1983.
- XIII. ნ. ლომოური. კლავდიუს პტოლემეოსის, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. 32, თბილისი, 1955.
- XIV. ორფიკული არგონავტიკა, თარგმანა ნ. მელაშვილმა, თბილისი, 1977.
- XV. პინდარიკა, გეორგი მერჩულე, თბილისი, 1954.
- XVI. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანა თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1987.
- XVII. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, თბილისი, 1952.
- XVIII. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანა ნ. კეჭლაძემ, თბილისი, 1961.
- IX. გეორგიკა, ტ. II, თბილისი 1965.
- XX. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973.
- XXI. მ. პრსოსი, საქართველოს ისტორია, ბათუმი, 1998.
- XXII. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, თბილისი, 1941.
- XXIII. Ф. Брун, Восточный берег Черного моря по древним периплам и Компасовым картам, Черноморье, ч. I, Одесса, 1879.
- XXIV. Б. Гогия, Абхазия историческая провинция Грузии, Париж-Тбилиси, 2005.
- XXV. გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1970.
- XXVI. Н.Л.Ломоур, Абхазия в античную и раннесредневековую эпохи, Тбилиси, 1997.

ეკა ბუჯიაშვილი

## ახალი ტაძარი ძველ უბანში

თბილისის ერთ ძველ უბანში, ჩუბინაშვილისა და კლდიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ტაძარი გაიხსნა. ახალაშენებული ეკლესია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა **თეოდორემ** (ჭუაძემ) 21 ივლისს, ამ ხატის გამოცხადების დღესასწაულზე აკურთხა. ტაძრის კურთხევას მრევლთან და სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები და სასულიერო პირები საქართველოს სხვადასხვა ეპარქიიდან.



ნატადრალი იყო...

ერთ დროს მაღლიანი

კედლები ნღების წინათ ავებდით დროებასა და რეჟიმს დაურბევია. XIX საუკუნის II ნახევარში ამ ადგილას რუსული მილიონერული ეკლესია ყოფილა თავისი კომპლექსით და დედაქალაქის ტაძრებს საეკლესიო ინვენტარით აზარავებდა. კომუნისტების ეპოქაში ეკლესიის დაზღვრევა რომ გადაუწყვეტიათ, მისი ადფექტუა სდომებიათ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ მჭიდრო დასახლებების გამო. მიზნის მიღწევაზე ეს წმინდა ადგილი პურის ქარხნად გადაუკეთებიათ, მაგრამ ვერც ამ ქარხანას უმუშავია დიდხანს. მალევე შესაბამისი ტექნიკაც შემოუყვანიათ და მიწასთან გაუსწორებიათ კედლები. არც იმ ტაძრის მღვდელმსახურთა საძვალეები დაუნდიათ, არც ლეითეკურთხებული საძირკველი, გადაუღვლიათ, გადაუქლიათ, ცოდვა უტრიალებიათ ამ მაღლიან მონაზე, უტკეპნიათ და უსწორებიათ მანამ, ვიდრე სპორტზე მოედნად არ უქცევიათ.

დრო გადიოდა...

დრო იმიტომაც იყო დრო, რომ გასულიყო და თან გადევლოდნენ რეჟიმებიცა და დროებანიც თავიანთი ცოდვა-ბრალნიანად და მაღლი ამოქრინა... აი, იმ კედლივით, ძველი ტაძრისგან რომ გადარჩენილა.

პატრიარქაშდემ მიუტანიათ ეს ამბავი ამ უბნის მცხოვრებთ.

...და უთქვამს უწმინდესსა და უნეტარესს, რომ ნატადრალზე ტაძარი აღმართულიყო.

2003 წლის 26 დეკემბერს პირველი საძირკველი გაუჭირია და ის ბალავარი საქართველოს კათალიკოს-პატრი-

არქის ქორეპისკოპოსს, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსს **გერასიმეს** (შარაშენიძე) უკურთხებია.

ტაძრის მშენებლობას, საძირკვლის ჩასხმის პირველივე დღიდანვე, უწმინდესისა და უნეტარესის ლცვა-კურთხევით, **მამა გიორგი** (თეთრუაშვილი) ხელმძღვანელობდა.

ზამთარი იყო და ციოდა...

ზამთარიც იქნებ იმიტომ იყო, რომ დროებით საშუალოები შეჩერებულიყო, ემოციები დამცხრალიყო და ისიც გამოჩენილიყო, რომ ჩაფიტრებული ტაძარი ორნავეანი ბაზილიკის არქიტექტურით, პატარა გამოვიდოდა.

საქართველოს საპატრიარქოს საგანგებო საბჭოც საძირკვლის გადიდებას გადაწყვეტს და, რამდენიმეთვიანი ბჭობის შემდეგ, არქიტექტორ **რევაზ ჯანაშიას** ძალისხმევით, საგანგებოდ მოიხაზება, როგორ უნდა მიებათ უკ-

ვე გაჭრილი და ჩასხმული საძირკვლისთვის ახალი.

...და კიდევაც საზიდუა კედლები — ღვთის წყალობით, მრევლის დახმარებით, ამ უბნის მცხოვრებთა და, საერთოდ, გულისხმიერ ადამიანთა შეწევნით...

გადახურვამო გამოგვობა დაეხმარათ...

დროებით საგანგებო ნიშში დაბრძანებულმა ხატმა მკეიდრი გალანით შენოსაზღვრული ეზოდან ახალი ეკლესიის ჭერქვეშ გადაინაცვლა და იქ გაგრძელდა ყოველკვირული პარაკლისის გადახდა.

პატარა ტაძარში ემზაზი განათავსდა; აშენდა ნაგებობა წყალკურთხევისათვის; პატარა მაღაზია საეკლესიო ნივთებისათვის და კიდევ ორსართულიანი შენობაც, რომლის ნაწილი სატარაპეზოს დაეთმო.

სამომავლოდ, მამა გიორგის სურვილია, პატრიარქის კურთხევით, აქვე სამრევლო სკოლაც გაიხსნას — ხელსაქმის, ხატურისა და გალობის შესასწავლად. ახმიაანდა ზარები ახალ სამრევლოზე...

კურთხევის შემდეგ ტაძარში ყველანაირი მსახურება ტარდება.

— ცოფვა მაღლით შეიცვალაო, — ამბობს მამა გიორგი, ამ დღესასწაულს ულოცავს მრევლს და გულთიანად მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობდა ახალი ტაძრის აღმშენებლობაში დღიდან პირველი საძირკვლის ჩასხმისა.

**PS.** გასაკეთებელი კი ჯერ კიდევ ბევრია... და მათ, ვინაც სურს ამ მაღლიან საქმეს შეენიოს, ვაგნობებთ, რომ არსებობს

**„ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ფონდი“.**

თბილისი ბანკის ცენტრალური ფილიალი.  
ანგარიშის ნომერი: 8700727 (ლარში).  
137070700 (დოლარში).



აიათოლა ხომეინი

# სატრავალ ლირიკიდან

აიათოლა რუჰოლა აღ-მუსაჯი აღ-ხომეინი (1902-1989) მე-20 საუკუნის უდიდესი ირანელი რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწე, ირანის რევოლუციის ბელადი და ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებელი დაიბადა ხომეინში, სასულიერო შირის ოჯახში. მას რუჰოლა დაარქვეს, რაც სპარსულად „აღაბის სულს“ ნიშნავს. 5 თვისაა მამა მოუკლეს, ხოლო 15 წლისამ დედაც დაკარგა. რუჰოლა ხომეინი ადგილობრივ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ არაბული გრამატიკა და ლოგიკა შეისწავლა. 1926 წელს სრული რელიგიური განათლება მიიღო და 1929-36 წლებში რელიგიურ სემინარიაში ასწავლდა სამართალსა და ფილოსოფიას. იმხანად მრავალი საშენიერო ნაშრომი შექმნა.



50-იან წლებში მან მიიღო ტიტული „აიათოლა“, 1963 წლიდან კი ირანის შაჰის ოპოზიციშია. 1979 წელს ხელმძღვანელობდა ისლამურ რევოლუციას ირანში, შაჰის მმართველობით უკმაყოფილო ასიათასობით ადამიანი თიერანის, ისპაჰანისა და ყუმის ქუჩებში გამოვიდა. ქვეყანაში ისლამური რევოლუცია დაიწყო, რომელსაც ირანელი ხალხის სულიერი ლიდერი, დიდი იმამი აიათოლა ხომეინი ხელმძღვანელობდა.

შაჰმა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ტანკები და საბრძოლო ავტომანქანები გამოიყვანა. არმათთან შეტაკებაში ასობით მომიტინგე დაიკლა. ამ სისასტიკის მიუხედავად ხალხმა უკან არ დაიხია, მღელვარების ტალღამ პოს მიადნია, მარტო თიერანის ქუჩებში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა. დაუბრუნებლობა გამოაცხადეს პარტიციპულმა შეტაკებამაც, მათ შორის ფერადიან შაჰმა. უნდა აღინიშნოს, რომ ირანის ისლამურ რევოლუციაში ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ. შაჰის რეჟიმის დამხობაში ისინი ირანის კეთილდღეობისათვის ერთად საკუთარი როგორღაც თვითმწყობადობის მენარჩუნების გზასაც ხედავდნენ.

რევოლუციის ბედი აიათოლად ხომეინის გამძლეობაზე გადაწყვიტა, იგი დევნილობიდან სამშობლოში 1979 წლის 1 თებერვალს, სწორედ იმ მომენტში დაბრუნდა, როცა ეს ირანს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. იმამში ხომ ხალხი სულიერი მომხდარსაა ერთად ეროვნულ ლიდერსაც ხედავდა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ირანის ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელის პოსტზე დაინიშნა. „ჩვენ ვესურს პატივისწენებას და უკმაინიზმზე დაფუძნებული ცივილიზაცია.“ — ამბობდა ხომეინი. მას ეპოქის ადამიანი უწოდეს. მკვლევარები გაცხებულნი არიან, რომ ხომეინის გარდაცვალებიდან მრავალი წლის შემდეგაც მისი პიროვნება მუდამ უზრუნველყოფდა ირანს, ხოლო მამამაიდანი სპარსურ მას კაცთმოყვარეობისა და პატივისწენის სიმბოლოდ მიიჩნევენ.

საინტერესოა ამერიკულ პრესფსორის ულიამ ბრაუნის სიტყვები: იგი იყო ძლიერი რელიგიური რწმენის კაცი, რომლის იდეებს დასავლეთი ვალდებულსა და შუასაუკუნოებურებს უნდობდა, მან შეძლო ის, რამაც შეახანზარა მსოფლიო... „ხომეინიმ გააქარწყლა დასავლეთის მტკიცება,

რომ რელიგიას არ ძალუძს მართოს თანამედროვე საზოგადოება, დიდ სახელმწიფოებთან ბრძოლაში ის დაუპირისპირდა გამინეტონსა და მოსკოვს. მათ არ მოსწონდა ირანის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა და გამარჯვა. ნეთისოფელი მან შაჰინ დატოვა, როცა მარცხი აგემა თავის მტრებს“.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ყოფნისას და ხალხთან საუბრისას თვალში გვევლინა იმამი ხომეინისდმი უდიდესი პატივისცემა, მოკრძალებაც, სიყვარული, მასზე აღაპრაობნე, როგორც სულიერზე. მის შემოქმედებას გამოუმშებთ მიმართავენ რჩევის მიღებისა და სულიერი სიმშვიდისათვის.

იმამ ხომეინი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დატოვა, რომელიც თითქმის ოთხ ათეულ ტომს მოიცავს: მუსლიმური დღისმეტყველებისა და საზოგადოდ, რელიგიის, სამართლის, ფილოსოფიის, ეთიკის ისტორიის, პოლტიკის, ეკონომიკის და საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მონაგრავიული თხზულებანი, ტრაქტატები, სტატიები, სიტყვები. კულტუროლოგიური ნაშრომები და ფილოლოგიური გამოკვლევები სპარსული და არაბული ლიტერატურის საკითხებზე.

თიერანის მიუხედავად სახლებში, უზრალეო, პატარა, ქვეყნის მშრანაშუბლთა რეზიდენციებიდან სრულიად განსვავებულ სამოთახიან სახლში ცხოვრობდა, ტრადიციული სპარსული ხის ტახტი, ვარკი და პატარა მაგიდა იყო მისი სახლის ატრიბუტები. ამ ოთახში თუ ქმნიდა იგი თავის ფილოსოფიურ-მისტიკურ ლექსებს, რითაც სპარსული მწერლობის საუკეთესო ტრადიციათა გამგრძელებლად ვეველენდა. გამორჩეულია მისი სატრფილო ლირიკა, 1995 წელს გამოვიდა ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ სპარსულიდან თარგმნილი იმამ ხომეინის ლექსთა კრებული „სიყვარულის ღვინო“. ბატონი ჯგომიდ გიუნაშვილის შეფასებით, აიათოლა ხომეინი „...ნარინატებით იყენებს სპარსული ლიტერატურის მისტიკურ ნაკადის — სუფიზმის — მხატვრულ-გამოსახველობითი საშუალებებს, ტვირთავს მათ თანამედროვე ადამიანისათვის დამახასიათებელი ახალი აქცენტებით და ამიტომაც მისი ზოგიერთი ნარსულსა და ანწყის შორის მოციმციმე ისეთი შხის სხივია, როგორიც თვითონ ამ ლექსების ავტორი იყო.“

სიყვარულის ღვინო მუსლიმური მისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ტროპია, რომელიც დღისი სიყვარულით გონიხდებოდას, თავისებურ დღეობაზე სიმშავეს გამოხატავს. ისლამის მისტიკურ ტრადიციებში ხომ ღმერთი იფალოური სატრფოა, ადამიანი — მისი ტრადიციული მტრფეობა სიყვარული გზა მათ შორის, რომლის გაკვლასაც მისტიკური ღვინო-პოეზია, მუსიკა, საერთოდ, ხელოვნება აიძლევა.

რაც ვიგევე ტრფობა ესე, აღარა ვარ სამედრესე, სიყვარულმა დამშობა, გამალობა, გამაძრინდა... მენი ღვინის მოსმა ევადა, უკვადება განვირადე...

ხომეინისთვის სიყვარულის თასი ზეციდან იცვება: *მოვრულს ერთმევა გონი, მე კი ბრძენი ვაგები მგონი, მენ რომ თასი მომაროდე უცვებ ზეცის კაპარინდანი.*

ხომეინის უკანსკელი ნაშრომი „პოლიტიკურ-რელიგიური ანდერძი“ თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულადაც.

აქვე ვთავაზობთ იმამ ხომეინის რამდენიმე სატრფილო ლექსს, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილმა თარგმნა.

თამარ შანიშვილი



სატრფოს ღვინით რომ არ დათვრეს, ქვეყნად მსმელი  
არ არსებობს,  
ვინც ის შესვა, რომ გადარჩეს გონდებიზელი, არ არსებობს.

შენი მიზნედილი მზერით ყველას ბნედა შეყვარა,  
შენი ტრფობით სნეულსთვის სხვა რამ სენი არ არსებობს.

მიჯნურის ვულს, ტრფობის გარდა, არაფერი არ აღელვებს,  
სიყვარულზე უფრო ამო მოსასმენი არ არსებობს.

ვის რას ეტყვი, ვით გაგიტყბა სიყვარულის დარდის ნულული,  
მიჯნურისთვის, ტრფობის გარდა, სხვა საქმენი არ არსებობს

სნეულების სასთუმალთან გიჯობს, თავი ნაშონო,  
სიყვარულში, ტრფობის გარდა, სხვა საშველი არ არსებობს.

სატრფოვ, ფარდა მოიშორე მშვენიერი ღანვებიდან,  
სხვა რამ თხოვნა, ვიდრე თავად ხილვა შენი, არ არსებობს.

\* \* \*

დარდი მინდა, ლბენის ხანი არ მინდა,  
სენი მინდა, მრთელი კანი არ მინდა.

მიჯნური ვარ, მიჯნურობით სნეული,  
მაინც სხვა რამ არჩევანი არ მინდა.

აუტანელ ტანჯვაში ვარ და მინც  
სატანჯველი ასატანი არ მინდა.

შენი ყმობა ერთგულების ფარდია,  
ქვეყნად სხვა რამ გასაქანი არ მინდა.

მე მკედარი ვარ, შენ ხარ ჩემი განმწმენდა  
და მკედარს სხვა რამ გასაქანი არ მინდა.

მე მკედარი ვარ, შენ ხარ ჩემი განმწმენდა  
და მკედარს სხვა რამ განსაბანი არ მინდა.

სუფიმ სატრფოს შეყრის არა იცის-რა,  
მე აწნაირ უბირთ ვანი არ მინდა.

ჩემი ცა ხარ,სალოცავი, სარმწენი,  
სალოცავი მე სხვა ცანი არ მინდა.

სადაც შენ ხარ, ჩემი ყიბლაც\* იქ არის,  
მე სხვა სივრცის სიგრძე-განი არ მინდა.

ამქვეყნად ხომ ყველა შენი მსხვერპლია,  
მეც მსხვერპლი ვარ, სულის ვანი არ მინდა.

\* მექისაკენ მიმართულება, რომელსაც იცავს მუსლიმი ლოცვის დროს

ყველა ნიალს აღწევს შენი ნათება,  
არაფერი გარეგანი არ მინდა!

\* \* \*

გაზაფხულმა სიბერე სიჭაბუკედ მიქცია,  
ჩემი სიბერულის ხემ ნაყოფი მოინია.

ეკლავ წალკოტში დაგბრუნდი, ვარდის ბუჩქს ჩავეხუტე,  
ჩემს სატრფოსთან შეხვედრამ ქვეყნად კვლავაც მინია.

რადგან ვარდისღანვიან სატრფოს ხილვას ველირსე,  
შემოდგომის სიყვითლე კვლავ მისთვის მიმიცია.

ჩემმა ფრთებმა, ზამთარში ძლივსლა რომ ფართხალებდნენ,  
ფრენა კვლავ გაიხსენეს ისე, როგორც იცინა.

სამყაროს ნანგრევებში ვაით გამოზამთრებულს  
სამგზავრო ბუკ-ნაღარამ მე ისეე მომიძია.

სატრფოს სახეს მშვენიერს მე საბურველს ჩამოვხსნი,  
მერიქთვის ხელიდან ჯამამა თუკი მინია.

\* \* \*

მერიქიფევე გაგვიხსენი ღვინის მარნის კარი,  
ცრუ ასკეტურ ანა-ბანას უცებ ხელი ჰკარი.

ჩემს სავალ გზას დააფინე შენი ზილფის ჩრდილი,  
მიხსენ რჯულის დოგმებისგან, გვედრებ მუხლზე მდგარი.

თასის წკრაილს ანაცვალე დიდება და ტახტი,  
ქვეყნის ოღრო-წოღრობეი, მართალი თუ მცდარი.

მე ყარობი\*-ჭაბაბს და ჰიჯაზს\*\* მაზიარე,  
სატრფოსასხენ პირბადე და დამიყენე დარი.

ეს ხელადა კვლავ ამიყენ მაგ უწმინდეს ღვინით,  
სატრფოსაკენ გამალებით ვლახო მთა და ბარი.

სატრფოსაგან განშორებულს და უსასოდ შეენილს  
მინყალობე ეგ ღვინო და გამაცოცხლე მკედარი.

\* \* \*

ჩვენ სიყვარულის შვილები ვართ, ჯამის ვაფენი,  
სიმთვრალეში და სილაღეში ნაგიჟაფებო.

მსხვერპლად,ზვარაკად შენირულნი ამ ღვინის მარანს,  
ღვინის ქურუმებს შევხარით და ვეყაშყაშებით.

\* უცხო, გადამთიელი  
\*\* მხარე არაბეთში



ჩვენ სატრფოსაგან განმორებით ვართ ნამებულნი, მასთან შეხვედრას მივლტვიან ფიქრის რაშეში.

უსახელონი, უსუსური და უფერულინი მინც არ ვცხრებთი და სიყვარულს ველაჟღაჟებთი.

ეგრძეთი სუფივს და დერვიშებს, ფუჭი კამათით, ჩვენ არასოდეს მოგვიღლია მათებრ ლაშეში.

ჩვენ მედრესეს და მის მესვეურთ განვეზორენით, თავს არ ვიცივრებთ მათ დონემდე დაბლა დაშეშებით..

ჩვენ ამქვეყნიურ არსებობას ზურგი ვაქციეთ და მარადიულ სიმაღლეებს ვეთამაშებთი.

•••

გაზაფხულის ბალიდან გვამცნობს ჩიტი მისანი, რომ დრო დადგა ლაღობის, ხევენის და კოცინისანი.

გაქრა სახსენებელი ჭკნობის, ქმუნვა-ვების, სატრფოს კალთას წედომია ახლა ყველას მიზანი.

ფოთოლცვენის და კვდომის ხანი უკვე დასრულდა, სიცოცხლეს მოეფინა ფერნი სამოთხისანი.

ბარს სიყვითლე გაუქრა, ვარდის ცეცხლი გაღვივდა, ყველგან ხარობს ნაყოფი თვით სიცოცხლის ხისანი.

სატრფოს ნანნავს ჩაენმა ზარ-ზემიღი ლხინისა, დადგა ფაში მუტრინთა\*, ცეკვის, ლერის სმისანი.

მედრესეში\*\* უთხარა შიებს: სწავლა დამთავრდა, რადგან იმ ლამაზმანში სატრფოს სახე ვიციანი.

ჩემი გულის ყურს ჩასწვდა თარის ხმა საოცარი, ასეთ დროს ვერ ვიქნები ბნელი საკნის ზიზანი.

საპარსულიდან თარგმნა  
პასუხი კომპიუტერიდან

\* შეჩანაჟე და მომღერლო

\*\* მუსლიმანთა სასულიერო სასწავლებელი

სპორტი

როდ ლეივერის  
სამი მცნება

შეიხვედს ამჟერად, ამ საზაფხულო აღობაზე, ვთავაზობთ მცირე ფრაგმენტებს გამორჩენილი ავსტრალიელი ჩოგბურთელის როდნი ჯორჯ ლეივერის წიგნიდან. სპორტული მიმოშობილელის ბად კოლინზის თანამშრომლობით შედგენილი ავტობიოგრაფიული და განმარტავებელი მონათხრობი ინგლისურად ნიუ-იორკში 1971 წელს გამოიცა; რუსული თარგმანი (შემოკლებითი - ?) - მოსკოვში 1978 წელს. ინგლისურად ლეივერის წიგნის სათაური ანოტიციური ხასიათისაა („The education of a tennis player“), რუსული, როგორც სწევოდათ პოპულარული ლიტერატურის რუსულ-საბჭოურ მთარგმნელებს, უფრო დამინტრიგებელ-მონათხრობი (ქართული ზუსტი თარგმანი - „როგორ ვავიარევათ ტენისში“). თავისთავად, ცხადია, ისიც საინტერესოა, რა შემოკლებითა ტრეტო მაინცდამაინც დიდი მოცულობის ტექსტში, მაგრამ ახლა ამის გამოძიების დრო არაა.

ჩემი აზრით, ამგვარი საკითხავი სქიზიდება ჩვენს დამწყებ და ახალგაზრდა, სულაც ასაკოვან მოყვარეობებს, როგორც პროფესიული სპორტის გზაზე დადგომის მსარკველით, იხე სამოყვარულოდ განწყობილთაც. არა მგონია, სადავო იყოს, რომ შეარჩეულად ამგვარი ლიტერატურის მიწოდებას, წმინდა სანერონელ-აღმზრდელობის დანიშნულებას-



თან ერთად, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სპორტული მწერლობის გამრავალფეროვნების, შესატყვისი დარგობრივი ტერმინოლოგიისა თუ ფრანგული სპორტული მწიგნობისა და დახვეწისათვის.

რ. ლეივერი 1938 წელს დაბადებულა. სამოყვარულო და პროფესიულ ჩოგბურთში მოპოვებულ დიდი წარმატებებთან ერთად, იგი სპორტის ისტორიაში შევიდა როგორც „გრან სლემის“ ორგზის გამარჯვებული (1962 და 1969 წლები). შეგახსენებთ, რომ ამ სიმბოლური ტიტულის მოპოვება ერთ წელიწადს [ერთ სპორტულ სეზონში] ოთხი უდიდესი ჩემპიონატის მოგებით შეიძლება (ავსტრალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იმავე უემბლდონის, და მს-ისა).

ნოდარ ებრაღიძე

P.S.  
„ჩვენი მწერლობის“ რედაქციის კეთილი თანხმობით, ჩემი მცირე ნაშუაკევი მინდა მიუვძენა იმ გოგობივებს, რომლებმაც წელს პირველად მოპოვეს ხელი ჩოგანის ღმერთმა ქნას, მისცემოდეთ ასპარეზი, რათა ჩოგბურთით გამაგრებული მჯავა, მუხლი, ნებისყოფა „ბედკრული საქართველოს“ სამსახურში დაეხარჯეთ.



სასპორტი

რა ასაკია ყველაზე უპრიანი ჩოგბურთის თამაშის დასაწყებად? გაანჩნია, რა მიზანს დაისახავს დამწყები მოთამაშე. ღრმად ვარ დარწმუნებული: შეიძლება კაცმა არცერთ სულ ახალგაზრდად დაიწყოს ვარჯიში და კარგად ისწავლოს თამაში, რაც მას - მოყვარულ სპორტსმენს დიდ სიამოვნებას მიაჩნტებს. ისიც გამართებულია, რომ ასეთი მოყვარულები წველიად თამაშს არჩევენ, რადგან მას ნაკლები დამაბურობა ახლავს.

მაგრამ თუ თქვენ მაღალი დონის მიღწევა გსურთ, ასე გირჩევდით: რაც ადრე დაიწყებთ, მით უკეთესია! ოღონდ სულ ადრეულ ასაკში ეს არ ამართლებს. როგორ არა, მინახავს ხუთი თუ ექვსი წლის ბავშვები, რომელთაც მშვენიერი კოორდინაცია აქვთ, ბურთისაც გრძობენ, თანაც ფიზიკურად ისე ახერხებენ განვითარებას, რომ ჩოგბურთს კარგად ხმარდებიან. მაგრამ ეს მაინც ვაშლია კლასი. ჩვეულებრივ კი, საუკეთესო ასაკად 8-9 წელი უნდა მივიჩნიოთ. ოღონდ ხარმატების აუცილებელი პირობაა ბალის ნამდვილი მისწრაფება თამაშისადმი. ის მშობლები, რომლებიც ძალიან მიუდევნიან თავიანთ შვილებს ჩოგბურთის მოედანზე, მათ ტენისის სიძულვილის მეტს ვერაფერს ჩაუნერგავენ.

ამიტომაც აუცილებელია სულაც არაა მაინცდამაინც ადრეულ ასაკში დაწყება. მაგალითად, იტალიელ ორღანად სიროლას 22 წელი შეუსრულდა, ნამდვილ ვარჯიშს რომ შეუდგა. ეგაა, რომ არაფერი აკლდა - ძალა, მოქნილობა, ნიჭიერება... და ოთხი წლის შემდეგ დევისის თასის გამარჯვებული ჯანდის ნეერი იყო. ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკელი ჩოგბურთელი სტან სმიტი 18 წლისა გამოვიდა შეჯიბრებებზე, მაგრამ ამის-ის გახსენებას პირველობაზე გამოსვლისთანავე ჩემპიონი ვახდა.

თუ ბავშვს თამაშზე გული შეუვარდება, მაგრამ ჯერ უნდა არ მოსდევს, მაშინ ცოტა უნდა დაუმოკლოთ და შეუსუსუქოთ ჩოგანი, ზადეც დაბლა ჩამოუწიოთ და მოედანიც სიგრძე-სიგანეშიც დაუპატარაოთ. ბევრი მწვრთნელი ნარმატიებით იყენებს ბავშვების სასწავლოდ შემცირებულ ფართობს მოედანს. ხშირია, როცა ჩოგანის, მოედნის ზომა, ბადის სიმაღლე თრგუნავს ხოლმე ახალბედას. გამოგატყებთ, ბადის სიმაღლე მეც კი უსიამოვნო შეგრძობებას აღმიძრავს.<sup>1</sup>

ტრავმა და სამოსელი

მე ასე ვფიქრობ, კაცს ტკივილის მეტი მოთმენა შეუძლია, ვიდრე თავად მას პკონია. კუნთების მცირე დამაბურობა, ჩემი აზრით, არ შეიძლება მოჰყვეს სერიოზული, გარჯლებული ტრავმა. ალბათ, ექიმები არ დამეთანხმებიან, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩოგბურთელი მძიმე ტრავმებს გამომდებელი თამაშის შედეგად იღებს. მოყვარული სპორტსმენი, თუ მას ტკივილი აწუხებს, ჩვეულებრივ, თავს არიდებს დამატვირთვას. მაგრამ ჩვენ, პროფესიონალები, ასე ვერ ვიპატიებთ საკუთარ თავს. დამაბურობლებსაც ხშირად გვიწევს თამაში. ასეთია ჩვენი სამუშაო. ცხადია, თამაშის წინ მთლიანად ამცირებს კუნთების დაჭიმვის ალბათობას და მათ სათამაშოდ ამზადებს.

ქუსლებზე და იმ ხელზე ფაჩენილ ბუბურებს, რომელიც ჩოგანი გიტრავს, ბევრი უსიამოვნება ახლავს. ფეხებისათვის საუკეთესო დამცველი საშუალებაა ორი წველი წინდა, რათა ხახუნი შემცირდეს. ასეა მიღებული ერთი წველი ბაზისის და ერთიც მალისა იყოს. მე კი ორ წველი მეკრეივად ნაქსოვი შალისას ვარჩევ, რადგანაც მატჩის დროს ბურჯს ემორბობ, ხშირად მინჯვს მიმართულებას შეცვლა და ასე ფეხსინდელი უკეთ ვაგრძობ მოედანზე. პანჩო გონზალესს<sup>2</sup> ნიადაგ სტანჯავს თითებზე დამჯდარი ბუბურები და თამაშის წინ გულდატოვებ ხოლმე მათ. იყრება კიდევ საგანგებო ხელთაშინებები, რომლებიც გოლფის ხელთაშინებებსა ჰგავს. ისინი იცავენ ხელს და ჩოგანის დაჭერასაც ციადივლებენ, თუკი ხელისგულით ვიოვლიანდებათ.

ნაქსოვი სამაჯური კარგად იცავს ხელის მტევანს იმ ოფისინი, რომელიც ჩოგანს ტარს ჩამოჰყვება ხოლმე. და მისაც პაპანაქვებში ძენილი ბელისგულის დაცვა სისველისაგან. არის ძველი ნაცედი საშუალება - ნახერხი.

თუ ჩოგანს ვადა არ გემარჯვებათ, რაიმე უფრო შესაფერისი დაქმენი მაღაზიებში. არის და იყიდება ტყავის თანა, რომელიც შეგიძლიათ, თქვენი ჩოგანის ვადას შემოახვიოთ.

ჩოგბურთელის ფეხსამოსი მსუბუქი უნდა იყოს, მყარი და მარჯვე. და მაინც არ დაიფიქროთ - ორი წველი მატყლის წინდა ჩაიცვიოთ-მეთქი!

ტილდენის<sup>3</sup> დროინდელი მოყოლებული, ჩოგბურთელის მიარჩნათ, ყირად არ მოეშაბებულვართ სეზონისათვის, ტურნირისათვის, და ასე შემდეგ, თუკი არ გვექნება საგანგებოდ ნაქსოვი ფაქეტი, რომელიც მატჩის შემდეგ ჩაგვთავებებსო. სწორიაა. აუცილებელია, რომ ზედა მოსაცმელი გქონდეს, რათა არ გაცივდეს, ასპარეზობას რომ მორჩებო.

ჩოგბურთელის სასპარეზო სამოსი მალე უნდა შეზობდეს და დიდი მოვლაც არ უნდა სჭირდებოდეს. ჩვენ, ნიადაგ გზას გაკრული მოხეტიალენი, რეცხვის უსწრაფეს მეთოდს იყენებთ; უადვილესი რამაა: ჩოგბურთელი ჩავემული შეუდგება შუასს და იქვე ვაირეცხავს საშოსკლს.

ტურნეში რომ მივდივარ, ჩვეულებრივ, რამდენიმე ხელი სამორტელი ჩაცმულობა მიმაქვს ხოლმე. ტონი როჩი<sup>4</sup> კი მხოლოდ ერთ სამოგბურთო შორტს ნაიყოლებს. „ჯერ ერთი, ჩემოდანში თავისუფალი ადგილი მრჩება,“ - ასე ვერისის ტონი, - და თანაც ჯერ არ მინახავს ჩოგბურთელი, რომელიც ერთდროულად ერთზე მეტ მარჯავს იცვამდებო.

ჩანოვების მიღება

მთავარია, ბურთი მიიღო და ბადის მიღმა ვააგზავნო. ეს თუ მოახერხებ, უკვე თქვენს ძალას უჩვეულოდ მონინა აღმდეგვს - მოწმოდებელი. როდესაც ძლიერ და სწრაფ ჩანოვებას უხედებით, საკმარისია, მხოლოდ შეაგებოთ ჩოგანი, თითქმის დარტყმას იგრძობთ (ბოლოკათ).

მეორე მონოვებაზე ცოტა წინ უნდა ნადგეთ და ეცადოთ, ძლიერად დაარტყათ. ბევრნი მონოვების მხოლოდინი შორს დგანან. არადა, აჯობებს, სულაც აღშავალ ბურთს შეაგებოთ დარტყმა.



პანჩო სეგურა<sup>1</sup>, როგორც კარგი მოთამაშეების უმრავლესობას სჩვევია, მეორე მონოდეტის მიღებისას წინ გადაიდა. თანაც მაშინ იწყებდა მოძრაობას, როცა მეტოქე ჩასანდებლად ბურთს მაღლა შეისრობდა. ამ მოძრაობით მე ჩამონდებლის ყურადღებას მივიპყრობ და, ეგების, მეორეჯერაც შეედეგს<sup>2</sup>, - ამბობდა პანჩო.

მოთავარი მაინც ბურთის მისაღებად მომზადება!

როგორც კი ბურთის მიმართულებას განსაზღვრავთ (თქვენს ცაციასა თუ მარჯვენასთან დაკავშირებით), ჩოგნის ხელი უკან წაიღეთ. ბეჭი აგვიანებს მოსწენვეად ჩოგნის მოღერებას. გახსოვდეთ: ბურთის მისაღებად მზადება მაშინვე უნდა დაიწყეთ, როცა კი მეტოქემ იგი ჩასანოდებლად აისრობა!

არცთუ მარჯვედ მიღებული ბურთიც კი საქმეს ურთულესს ჩამოადებელს. ბადის მიღმა რაბან გადააადგეთ, უკვე ისეთივე შანის გაგონიდათ ქულის ბეებისა, როგორც მეტოქეს აქვს. ეცადეთ, დაბადეთ ბურთი გადაუდგოთ, უფრო მაშინვე, თუ ჩანოდებლისთანავე ბადისკენ მოინდეს. აბრაგანის<sup>3</sup> ანგეას მაშინ მიმართეთ, თუ ბადეს ახლოს მოადგათ. ეს უკვე გაუძნელებს საქმეს. ასე რომ, მოთავარია, ბურთი, მეტოქის ჩანოდება, მიიღეთ და როგორმე ბადის იქით გააგზავნით!

### როგორ მოვიძიოთ კორტზე

რა თქმა უნდა, ჩოგბურთში მთავია სპორტული ოსტატობა, მაგრამ ეს არ კმარა, რომ ნამდვილი ჩოგბურთელი და, საერთოდ, ქვეშიარტი სპორტსმენი გახდეთ. აუცილებელია, პირადი თვისებების მთელი კომპლექსი განვიკითხოთ.

რამდენიმე მაგალითს მოყვავ. 1966 წელს ფორესტ-პოლისში ამერიკელი კლარკ გრეზნერი და დანიელი იან ლემლი ამშის ჩემპიონატის დაბადულ ნახევარფინალურ მატჩში ფინანსებს გასასვლელად იბრძოდნენ. მესხეთუ პარტია მიიღო. ლემლის დარტყმის შემდეგ ბურთი უკან ხაზს იქით შევიწო მიწას. თითქოს გრეზნერმა ქულა მოიგო, ამ ვითარებაში კი ყოველ ქულას ოქროს ფასი ედო. მაგრამ გრეზნერმა მსაჯი მოიხიმა და უთხრა, ბურთი ჯერ ჩემს ჩოგანს მოხვდა. ეს არავის შეუნიშნავს, მაგრამ გრეზნერმა იცოდა, რომ ქულას უსამართლოდ არგუნებდნენ, და უარი თქვა ამ არამლუკმაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჩოგბურთელი უნდა ამბობს ქულაზე, მსაჯამ ეს ქულა მონინააღმდეგს უნდა მიაკუთო-

ნოს. გრეზნერმა მაინც მოიგო ეს მატჩი და მე ასე მგონია, რომ ეს იყო მისი საქცილის ბრწყინვალე სახელური.

1967 წელს პოლტონში პროფესიონალთა შორის აშშ-ის ჩემპიონატზე მე წინ ვიყავი ფინალურ მატჩში. მეტოქედ ანდრე ხიმენ<sup>4</sup> შევადე. მეორე სეტის ბოლოში ჩემთვის გადაწყვეტილ ქულის გათამაშებისას ჩემი დარტყმული ბურთი გვერდით ხაზს გადასცდა. ანგარიში უნდა გათანაბრებულიყო და ანდრესაც სეტში გამარჯვების ჩემნარივე

შანის გაუნდებოდა, მაგრამ ხაზის მსაჯამ განაცხადა, ბურთი ხაზს შეეხო - ისე იგი ქულა, გვიმი და სეტს მე დამჩრქნოდა. ხიმენი გადაიყვდა. მე ვთხოვე კომუტრაზე მყოფ მსაჯს, დასათბობრიბოდა ხაზის მსაჯს და ყველაფერი გაერკვიდა. მე არ მსურდა უსამართლო გამარჯვება. ეს მსაჯებს აუხსენი და იმედს მქონდა, რომ თავიანთ გადაწყვეტლებას გაარკვევენდნენ. მაგრამ ეს არ გაკეთეს.

მსგავსი შემთხვევა მოხდა საბი წლის წინათ სწორედ იმავე კორტზე. მე და პანჩო გონზალესი ჩემპიონატის უმაღლესი ტიტულისათვის ვიბრძობით. კარგი დამავიჯვინებელი დარტყმა გამომივიდა, მაგრამ ხაზის მსაჯამ განაცხადა, ბურთი მოედანს გადასცდა. პანჩოსთვის ეს ქულა მისწრება იყო, მაგრამ პატიოსან ბრძოლაში ენადა მისი მოვება. მან უჩვენა კორტზე ის ადგილი, სადაც ბურთი დაეცა, უკანა ხაზიდან

ასე თხუთმეტიდენე საწტიმეტრის დაშორებით, მაგრამ გვერდითი მსაჯე არ დაეთანხმა. ცნობილია შემთხვევები, როცა იმ ჩოგბურთელს ვისაც ქულა მისცეს, უარი უთქვამს შემდგომ ქულას ან გვიმზე და ამით თავისი პატიოსნება გამოუხატავს.

მოვიქცევიდი მე ასე? ან - პანჩო? არასდიდებთ! მას შემდეგ, რაც ჩვენ დავადგინეთ მსაჯების უზუსტობა და თხოვეთ, თავიანთი გადაწყვეტლება უარყუთ, მაშინვე დავივიწყეთ ეს ყველაფერი. ახლა შემდგომი ქულის გათამაშებაზე უნდა გადავრთულიყავით. სატურნირო მატჩში მსაჯის გამოწყვეტლებას უნდა დაემორჩილით. მაგრამ ხან მსაჯის განაჩენს მთელი თქვენი არსება უარყოფს, მაგრამ მაინც მიმანია, რომ სჯობს ამ ვითარებაში მოთამაშემე მოდებიან ამოვიდოს კამათი და უსთაიერი გამმარებლა. თქვენი ხაზგასმული უნდობლობა, მოქცევა აუცილებლად საწყვედ და შეურაცხყოფის მიყენებად დაურჩებათ მსაჯთა კოლეჯის ნევებს, რომლებიც ტურნირში უანგარო მონანილოებაზე დაითანხმეს.

**სიდიდა პირი მახისი**  
**ლიტერატურად მომლოცვალათიში**

ლიბანდონი კოლერისი აუქციონზე 80 ათას ფუნტად გაიყიდა კორნულის სანაპიროს მიწის ნაკვეთი, რომელიც, ლიტერატურთა აზრით, აღწერილია ვირჯინია უელსის რომანში „შუქურაზე“.

ქვიშის სანაპირო 30 პექტარის ფართობით საკურორტო ქალაქ სენტ-აივისის მახლობლად გაცხრილებული ვაჭრობის საგნად იქცა იმ წლისებელ, ამერიკელ და რუს მყოფველთა შორის. გამაჯვება მოიპოვა მწერლის ინკოვნიტო თანამებმულემ. მინა მას განსაკუთრებულ პირობებში გადაეცემა: პლაჟე არ შეიძლება არაფრის ანეწება და გათხრა, შეულობავი და ღია უნდა დარჩეს დამთავალიერებელათივის, რომელთა შორის უმეტესობა სტრუინგისტია ან ლიტერატურული მომლოცვლი. სანაპიროზე, აქედან იმდენა ულამაზესი ხედი ეკნისლე გორდვისი უძველესი (1858 წელს აგებული) შექურთაყენ - მიჩინვენი, რომ სწორედ ეს შეუქურა აღწერილი ნივინი.

მართალია, რომანის - „შუქურაზე“ - მოქმედება გერმანიის კუნძულაზე ვითარდება, ვულფოლოცები ამტკიცებენ, რომლის საფუძვლად მწერლის ბავშვობის მოგონებანი დაედო - ეულფი მშობლებთან ერთად ხშირად სტუმრობდა სენტ-აივისს.

**პიისა თაი პეი!**

ჩემს წიგნს რომ წაიკითხავთ, ალბათ, ზოგიერთ რჩევას გამოიყენებთ: კიდეც და მაინც, მონინააძმდეგვეს პრისიპორ რომ დაუდგებთ, თქვენი სიძარჯვე და უნარი უნდა გამო-  
უვინებო – ცოდნა და რეკომენდაციები კი არა, ან, სწორედ თქვენი პრაქტიკული უნარი უნდა მოიშველიოთ.

მარტივად მოგახსენებ: ნუ გაახვიადებთ თქვენს შე-  
საძლებლობებს. დაუკვირდით მეტოქეს, გამოიყენეთ მისი შეცდომები და ეცადეთ, ბურთი მოედინიდან არ გაგექცეთ. გაითვალისწინეთ საკუთარი შეცდომები. თუ თქვენი მე-  
ტოქე ძლიერად აწოდებს, ნუ ეცდებით, უფრო ძლიერი დარტყმით აჯობოთ. მისი თამაშის ძლიერ მხარეებს ნუ ჩაუდგებთ ჯიბრში.

ძალ-ღონე გამოიზოგეთ. მოედანზე ნუ დაცანცარებთ, ზედმეტ მოძრაობასა და გადაადგილებას ერიდეთ. თუ გა-  
კანდეთ უიმედოდ ბურთის მოსაგერიებლად, არ ეკი-  
გრძნობთ, რომ ვერ მისწვდებით. თუ მაინცდამაინც ძლი-  
ერად ვერ აწოდებთ და პაერდანვე ბურთის მიღებაც არ გვიძლებთ, თქვენი მიზიდებისას ბაფესთან გასვლას ნუ ეცდებით.

ხანდახან ჩოგბურთელს შთაგონება ენევეა ხოლმე. ეს უდგმესი სიხარულია. თამაშის დროს ვიკიროს კიდეც, ყველაფერი როგორ გამოიძისო. ეს მშვენიერია. მაგრამ უნდა მოვახსენოთ, რომ ასეთი მდგომარეობა გინივრულ თამაშს მოსდევს, ანუ იმ მომენტებზეა, როცა მატჩის და-  
საწყისიდანვე მხოლოდ იმას აკეთებთ, რისიც გვერათს.

**სამი მცნება**

სანამ ჩემს წიგნს დახურავდეთ, ჩემო მკითხველო, ერ-  
თხელაც შეგახსენებთ: უყურეთ ბურთს! მეტოქე რომ და-  
არტყამს იმ ნაშიდან, ვიდრე თქვენს ჩოგანს შევებოდე. ეს იმაზე არსებითია, როგორ გიჭირავთ ჩოგანი და რო-  
გორ მიიხიბართ ბურთისაკენ; მაგრამ თუ კარგად გინდათ დაარტყათ, ბურთს მზეურა არ უნდა მოაშოროთ.

ამიტომ უიმედლონიც დაიხიწყეთ და ლეივერიც. მხო-  
ლოდ ეს სამი მცნება გასსოვდეთ:

1. გაუმდებელი უცქირეთ ბურთს და სხვა არაფრისა-  
კენ გაიხედოთ;
2. მუხლებში ჩაიხარეთ დარტყმის მომზადების დროს;
3. ცვალებ, რომ თამაშში ბურთი პირველივე ჩანოდე-  
ბით შეგვანოთ.

სხვა ყველაფერი გამოცდილებისა და ვარჯიშის ამბავია. და ერთიც დამახსოვრეთ, თუ მატჩი წააგეთ, ამის გა-  
ნის ნურც იწუნუნებთ და თავსაც ნუ გაიამრთლებთ. საკუთარი დამარცხების მიზეზები მხოლოდ თქვენვე უნდა გამოიძიოთ. თქვენს მეტს ისინი არავის აინტერესებს.

1. ლეივერი თავის ტანმორჩილობას მაინიშნებს: 1959-ში (მისთვის უიმედლონის პირველ ტურნირზე) იგი, 21 წლისა, 162,6 სმ სიმაღლის ყოფილა. შემდეგ ცოტა ნაშრომდლა.
2. რიკარდო აღონსო (პანენი) კონხალესი (1928-1995), აშშ, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელი.
3. ულიამ [ბლ] ტალდენი (1893-1953), აშშ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი.

4. ეტონი (ტონი) რიჩი (1945), ავსტრალია, 1969 წლის მსოფ-  
ლიოს მეორე ჩოგანი.

5. ფრანკოსო (პანენი) სეკურა (1921), ეკვატორი, 1950-52 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი პრევივიონხალა შორის.

6. აბრავანი შუა საუკუნეებიდან მომდინარე ქართული სპორტული ტერმინია და ჩოგნი ბურთის მალა შესროლას ნიშნავს. აბრავანი ბურთის ჩოგნის აღმა აკურს – ასეა გან-  
მარტებული საბას ლექსიკონში. ცხადია, აქ იგულისხმება ქართული ეროვნული, ძირითადად მხედრული თამაშობა (კერძოდ, ცხენურთის გუნდური და ინდივიდუალური სახე-  
ობანი), რომლებიც თუ საუკუნეების საქართველოში ძალზე გავრცელებული იყო. ქართული ენის განმარტებითი ლექსი-  
კონის პირველივე ტომში (1950 წ.) საბასული განმარტება უცვლელადაა გადმოტანილი [ემატება ახსნა ამ სიტყვის შე-  
ცვლილ ხალხური ხატვაში გამოიქმნის, რომელსაც ბურთია-  
ბასთან აბრავიანი კავშირი არა აქვს]. ძველი სპორტული ტერმინის თანამედროვე ლექსიკონში მოხვედრა თავისთავად სასახაროა, მაგრამ დაუზუსტებლად მისი ძველი დფინი-  
ციის მიყვება გავრცობას ბაფეს (მომრეველი, მაგარ რეზე-  
სული ზის). მართალია, სადენიეროდ, უნიკალურა მხედ-  
რულთა თამაშებმა ჩვენს დრომდე მოაღწია და XX ს. შუა ხა-  
ნებში დიდი მცდელობაც იყო (წარმტებული) მისი ასაღრ-  
ძინებლად, მაგრამ მათი ლექსიკის საბასდროინდელი ცოდნა მინაფლებული აღმოჩნდა. თანაც „ჩოგანი“ (ბურთთან დაკა-  
შირებით) ახალი დროის ძალზე პოპულარული (ჩვენთანაც დამ-  
კედრებულ) სახეობას – ჩოგბურთის (ტენისს) უკავშირდებ-  
და. შეიძლება ამიტომაც ქველ-ის ერთმომეულში (1985 წ.), სა-  
ერთოდ, აღარც შეუტყობო.

იგი კვლავ ვიხილეთ ქველ-ის ახალ რედაქციამო [ტომი I, 2007]. აქ ხატვაში გამოთქმის განმარტების სალუსტრაციო მასალაც დაურთეს, მაგრამ თვითონ ტერმინის („აბრავანი“) განმარტებისათვის რაიმეს დამატება საჭიროდ არ უცნიათ. არადა, ზემოთქმული გავგებობა, დეფინიციის უპარისობა, დღეს უფრო იგრძნობა. საქმე ისაა, რომ ბოლო ათწლეულში „აბრავანი“ რავის ტერმინოლოგიაში მკვიდრება (ახალი შინაარსი ცოცხლდება) ერთი ტაქტიკურ-ტექნიკური იფუ-  
თის სახელად (2007 წლის რავის მსოფლიო პირველობის რე-  
პორტაჟებში გაისახლდა ხოლმე). ზოგჯერ საფეხბურთო რე-  
პორტაჟებშიც ხმარობენ – მოედნის სიღრმისაგან მოინაბა-  
დფვის კარისკაც ბურთის ჩაივების აღსანიშნავად (ალბათ –  
მორავებების გავლენით, ნებაშე სხვა მხრივაც გადასაზიფო  
მათი წყალი).

ჩვენ კი, რუსული ლეივერის ტექსტის თარგმნისას, ეს ძველი ტერმინი [ალბათ, უცხოური წარმომავლობის, მაგრამ ქველთაგანვე გაქართულებული და სპორტულ და ყოფას შეთ-  
ვისებულში] გამოიყენეთ რუსული სპორტულ-ვარგონული „სეურა“-ს [იგივე „სეურკას“] მაგიერად. ეს ვარგონული ბარა-  
რინში შემოსულია ქართული ზემომეტყველებაში – ფეხბურ-  
თის, ჩოგბურთის მოთამაშეთა, გულშემატკივრთა და მავრ-  
რებულთა შორის, და ცხვენსნობაშიც კი (ცხენის ყალხუ დფე-  
გომის გამოსახატავად). ჩოგბურთში იგი ბაფსაკენ შეტევაზე  
გამორტული მეტოქისათვის მალალი ბურთის გადაგდებას ნიშ-  
ნავს შეიძლება სულის მოსაბეჭებლად მოთამაშებლ ისედაც ვაგ-  
ზანის მოპირდაპირე მხარეს, უკანა ხაზისაკენ. კლამირე  
გოლით თავის შესაბამეა ნიშნის – „ჩოგბურთი“ (თბ., 2002)  
აღწერის გამოთქმას ირჩევს („ბურთის თავსუფეთ გადაფე-  
ბა“). მაგრამ ერთია ნიშნის ენა და უშუალოდ თამაშის,  
წერისის მეტყველება – აქ სწორედ მოკლ, სხარტი სიტყვა  
(ტერმინი) ვცქირდება.

ამაშობო, თვითონ როდ ლეივერი დიდ მნიშვნელობას  
ანიჭებს ამ დარტყმის (აბრავანის – ?) სხვადასხვა ვარიანტებს  
ძველი დაცვილი ვითარების განსაზიფებლად და შეტევაზე  
გადასასვლელადაც.

ივან ბუნინი

# კაკკასია

მოსკოვში რომ ჩამოვედი, ქურდულად დაებინადედი ნაკლებშესამჩნევ სასტუმროს ნომერში, არბატის შესახვევში. ვცხოვრობდი განამბებული, ტუსალივით — მასთან შეხვედრიდან შეხვედრიამდე. ის დღეები იგი სულ სამჯერ იყო ჩემთან და ყოველთვის ნაჩქარევად შემოიბრუნებდა ხოლმე სიტყვებით:

მე მხოლოდ ერთი ნუთით... გაფითრებული იყო შეფარებული, ალღევებული ქალის მშვენიერი გაფითრებით. ხმა უწყვეტოდა და ყურება იმისა, თუ როგორ ჩქარობდა, მივგდო ქოლგა სადაც მოხედებოდა, აენია ფული და ისე მომხვევდა, შემძრავდა ხოლმე სიბრალულითა და ალტაცებით.

— მერჩვენება, — ამბობდა იგი, — რომ ის რაღაცას ვჭვობს, უფრო მეტიც — რაღაც იცის. შეიძლება ჩემს მაგიდას გასაღები მოარგო და თქვენი რომელიმე წერილი წაიკითხა... მგონია, რომ იგი ყველაფერს იკადრებს, ისეთი მკაცრი და თავმოყვარეა. ერთხელ პირდაპირ მითხრა: „მე უკან არაადრის წინაშე დავიხებე, რათა დავიცვა ჩემი ღირსება, ქმრისა და ოფიცრის ღირსება!“ ახლა რატომღაც ყოველ ნაბიჯზე მითვალთვალებს და დიდი სიფრთხილე მმართვეს, რათა ჩვენი ჩანაფიქრი განვხორციელოთ. უკვე თანახმა გამომიშევას, იმდენი ეუჩინრე, მოვკვებები, თუ არ ენახავ საშხრეთსა და ზღვან-მეთქი. მაგრამ ღვთის გულისათვის, იყავით მომითმენ:

ჩვენი განზრახვა ძალზე თამაში იყო: კაკკასიის სანაპიროებამდე ერთი მატარებლით გავემგზავრებოდი და სადმე მიყრდნეულ ადგილას გავატარებდით სამ-ოთხ კვირას. მე ვინწინიდი ამ სანაპიროს, ოდესღაც, ახალგაზრდა და მარტოხელა, კარგახანს ვცხოვრობდი სოფთან ახლოს. შემდეგ მთელი ცხოვრება მახსოვდა ის, მუტი კვიპაროსებისა და ცივი, ნაცრისფერი ტალღების სიახლოვეს გაატარებული შემოდგომის საღამოები... და იგი ფითრდებოდა როცა ვუუხებოდი: „ამჯერად მე იქ ვიქნები შენთან ერთად, მთის ჯუნგლებში, ტროპიკულ ზღვასთან...“ ჩვენი ჩანაფიქრის აღწერლების ბოლო ნუთამდე არ გვეჯეროდა, ისეთი დიდ ბედნიერებად გვეჩვენებოდა ეს ყველაფერი.

მოსკოვში ცივი წვიმები დაიწყო. ჩანდა, ზაფხული გაივდა და აღარ დაბრუნდებოდა. ცა მოიღრუბლა. სველი, ატალახებული ქუჩები შავად ბრწყინავდა გამწვლთა გამლილი ქოლგებისა და ღია ტელეების ანეული სახურავებისაგან, მოძრაობისას რომ ძაგძაგებდა. და იყო მწილი, სამიწელი საღამო, როცა ვაგზისკენ გავქმარობ, შინგანად ერთიანად გათოშილი მღელვარებისა და სიცივისაგან. თვალზე შლავა ჩამოიფხატე, სახე პალტოს საყელოში ჩაგმალე და ვაგზალი და პლატფორმა სირბილით გადავეჭერი.

პირველი კლასის პატარა კუბე წინასწარ შეუკვეთეს. სახურავზე წვიმა ხმაურობდა. საჩქაროდ ჩამოუშვი ფანჯრის ფარდა. მეზარგულს, რომელიც სველ ხელებს თეთრ წინსაფარზე იწმენდა, ხელის ქრია მიეცი და, როგორც კი გავიდა, კარი მაშინვე ჩაეკეტე. შემდეგ ოდნავ გადავინეი ფარდა და გავირინე, თან თვალს არ ვშორებდი ქრულ ბრბოს, რომელიც, პარაკაივებული, ვაგზლის ფანრების მკროლ სინათლეზე წინ და უკან დადიოდა ვაგონის გასწვრივ. შევთანხმდი, რომ მე მოვიდოდი ვაგზალზე რაც შეიძლება ადრე, ხოლო იგი — რაც შეიძლება გვიან, რათა ერთმანეთს არ შეეჩხებოდით. ახლა ისინი უკვე ადგლზე უნდა ყოფილიყვნენ. მე დაძაბული ვიყურებოდი — ისინი კვლავ არ ჩანდნენ. მეორე ზარიც ჩამორე-



მატარარი სოფო ელიაშვილი

კეს — შიშისგან გამაცია — დააგვიანა ან ბოლო წუთს მან აღარ გამოუშვა! მაგრამ იმავე წამს თვალში მომხვდა მაღალი მამაკაცის ფიგურა, ოფიცრის კარტუზით, ვინორ შინელითა და ნატის ხელთათმანებით. ფართო ნაბიჯებით მოდიოდა და ხელკავით მოჰყავდა იგი. მე ფანჯარას მივკვლიდი და დივანის კუთხეში დავეხეთქე. გვერდით მეორე კლასის ვაგონი იყო — გონების თვალით ვხედავდი, როგორ ბატონ-პატრონივით შევიდა იქ მასთან ერთად, მოთავალოდოდა, კარგად დააბინავა თუ არა მეზარგულმა, ვაძირ ხელთათმანი, მოხიდა კარტუზი, გადაკოცნა და პირჯვარიც გადაწერა... მესამე ზარმა თითქოს ყურთასმენა დამიხრე, მატარებელი რომ დაიძრა, გაოგნებული ვიჯექი. მატარებელმა სიჩქარე უშაბა, ჯერ რწვეა-რწვეით, შემდეგ კი თანაბრად, მთელი ძალით განაგრძო სვლა... კონდუქტორს, რომელმაც იგი ჩემამდე მოაკიდა და ბარგი გადმოუტანა, გაყინული ხელით ჩაუკუჭტე ქაღალდის თუშინანი.

\* ახავერი — ხარი საკიდარი (საბა), ტვირთშიხიდი ხარი

\*\*\*

შემოსვლისას არც კი მაკოცა, მხოლოდ საბარალოდ გამოლომა, თან დვიანზე ჩამოვარდა და მლაპა მოიხადა.

— სადილობაც კი ვერ შევქელი, მგონა, ამ სამშომ როლს ბოლომდე ვერ ვითამაშებდი. სამილად მწყურია, მომიცე ნარჩაზი, — მოთხრა და პირველად მომხმარა შენობით. — დარწმუნებული ვარ, უკან გამოვდევენება. ორი მისამართი მიეცი — გელენჯიკისა და გაგრის. ნახავ, სამი-ოთხი დღის შემდეგ უკვე გელენჯიკში იქნება... მაგრამ რაც არის, არის, ამგვარ ტანჯვას სიკვდილი სჯობს.

\*\*\*

დილით გამოვედი დერეფანში, რომელიც მზით იყო სასვე და ცხელიდა. საპირფარეოდან გამოდიოდა საბნის, ოდგოლონისა და ყველაფერი იმის სუნნი, რაც დღითი დავს ხოლმე ხალხმრავალ ვაგონში. მტვრით დაფარულ, გახურებულ ფანჯრებს იქით მიპქროდა ფანჯრები სტეპები, მოჩანდა ფართო, მტვრითანი გზები, უარსებო, რომლებსაც ეწოდებენ აზერები\*. აქა-იქ გაივლებოდა ხოლმე რკინიგზის ვაგონი, ბაღრები მრგვალი, ქვეტელა ყვითელი მზესუმხირებით და აღისფერი ბალებით... შემდეგ ერთმანეთს მიეწყო უსასრულო შიშველი მინდვრები ყურადნებითა და სამარხებით, აუტანელი, მწველი მზე და ცო, რომელიც მტვრის ღრუბელს მგავდა, ბოლოს პორი-ზონტზე მთების პირველი მოხაზულობაც გამოჩნდა.

\*\*\*

გელენჯიკიდან და გაგრიდან გაგზავნა თითო ღია ბარათი, სადაც მას სწერდა, ვერ არ ვიცი, სად დაერჩებოი. ამის შემდეგ ჩვენ სახაპირის სახმრეთისკენ დაფუყვეთ.

\*\*\*

ადგილი, რომელიც ვიპოვეთ, პირველქმნილი მშენებრება იყო — დაფარული ალვის ხეებით, აყავებულთი ბუჩქნარით, ნიუელი ხით, მაგნილიებით, ბორნელებით, რომელიც შორის ამართულიყვნენ მარაოსებრი ლაშები, შავად მოჩანდნენ ვეკიარსებში...

ადრე მელეობოდა და, კიდრე მას ეძინა — ჩაის დაღვეამდმ, მას კი შვიდი საათისთვის შეეძქცეოდით — დაფიდი ტყით დაფარულ ბორცვებზე. მცხოვრებ მზე უკვე დღიერი, სუფთა და სიხარულისმომპერული იყო. ტყეში ლაფარდონად მრწყინავდა, იფანტებოდა და დნებოდა სულსმეხუთეული ნილი. შორს, ტყანამალაობებს იქით მტყქელიდა თოვლიანი მთების მარადი სიითიერე... უკან ებრუნებოდი მცხუნვარე და მთლებიდან ამოსული დამწვარი ნივის სუნით გაღვნილი ბაზრის გავლით: იქ დღედა ვაჭრობა, ტყვა არ იყო ხალხის, მათი ცხენებისა და სახუნდრებისსაგან — დილაობით ბაზარში სხვადასხვა ტომის მთილები ჩამოდიოდნენ, ნარჩარად დადიოდნენ შავ, მიწამდე დაშვებულ გრიელ კაპებს და წითელ ნულებში გამოწყობილი ჩერქეზი ქალები, თავზე შავი რადაცები შემოწვითი და ამ სამ-გლოვარი სამოსიდან ზოგჯერ გამოკრთებოდა ხოლმე მათი სწრაფი, ფრინველისებრი მხერკი.

შემდეგ მივდიოდით ზღვის სანაპიროზე, რომელიც ყოველთვის უკაცრიელი იყო, ვხანაობდით და საუზმემდე მზეზე ვინტეხი. ნასაუზმეს — ერთთავად შამფურზე

შემწვარი თევზი, თეთრი ლეონი, ნიგოზი და ხილი — ჩენი ქონის კრამიტის სახურავქვეშ დაგუბებულ თაჯარ ბინდუნდში გაქქილი დარაბებიდან იქრებოდა სინათლის ცეცხლი, მოთამაშე ზოლები.

როცა აგრლოდებოდა და ფანჯრას ვაღებდით, ვხედავდით ზღვის ნაწილს, რომელიც იისფრად მოჩანდა ჩვენს ქვევით, ფერდობებზე მდგარ კევიპროსებს შორის, ის ისეთი უმთოვლო და წყნარი იყო, ვეგონებოდა, ეს სიმშვიდე და სილამაზე არასოდეს დასრულდებოდა.

შის ჩასვლისას ზღვის მიღმა თავს იყიდებდნენ საოკეანო ღრუბლები, რომლებიც ისე დიდებულად იგვიზიზებდნენ, ზოგჯერ იგი ტახტზე ნებობდა, სახეს იფარავდა გაის თხელი შარფით და ტიროდა: მხოლოდ ორი, სამი კერა — და ისეე მოსკოვი!

თბილი და უკუნი ლაშები იდგა. ნყდიადში დაფრინავდნენ, ბრჭყვიალებდნენ, ტოპანისფრად ელავებდნენ (ვუცხოვანი ბუზები, მინის ზანაულაკებით რედა ვასაკების მხეტი. როცა თვალს სიბნელეს ეჩვოდა, მალა ვარსკვლავები და მთების დაკბილული თხემი იკვეთებოდა, სოფლის თავზე კი — ხეები, რომლებსაც დღისით ვერც ვაშრნევიდით. მთელ ღამე დუქნიდან ისმოდა ბარანის ყრუ ბრაგუნთ და ყვლის-მიერი, ნაღვლიანი, სასონარკვეთამდე ბედნერი ქვითინ თითქოსდა ერთი და იმავე უსასრულო სიმღერისა.

ჩვენთან ახლოს, ტყიანად ზღვისკენ დაშვებულ ხრამში, პატარა კამკამა მდინარე სწრაფად მოხტოდა ქვის კალაპოტში. რა საოცრად იმხმეროდა შეხვევად, თხითუბნებად მისი ელვარე წყალი იმ ჯადოსნურ წუთებში, როცა მთების და ტყეებს იქიდან გულისყურით გვიმზერდა მართლაც სასწაულებრივი ქმნილება — გვიანი მთარე! ზოგჯერ, ღამდამობით, მთებთან ეშვებოდნენ სამონილი ღრუბლები, ავობდა ქარიშხალი, მარგვიანა, სამარისებურ წყვდიადში აქა-იქ პირს აფრენდნენ ზღარული მწვანე უფსკრულები და ცის სიღრმეს ჰკვეოდა წარღვნის მომასწავებელი ქვეა-ქუხილი. ამ დროს ტყეში იღვიძებდნენ და კოოდნენ არჩივის მართენი, ღმოდა ფოცხვერი, ნკავნკავებდნენ ტურები. ერთხელ ჩვენს განათებულ ფანჯარასთან მათი მთელი გუნდი მოცვიდა — ასეთ ლაშქარში ისინი ყოველთვის ადამიანთა საცხოვროსისკენ მისწრაფოდნენ, — ფანჯარა გავაღეთ და ზემოდან დავაცქერდით. ტურები კი იდგნენ თავსება ნეიშში და ნკავნკავებდნენ, თავსეხავთ ითხოვდნენ. მათ რომ უყურებოდა, იგი სიხარულისგან ტიროდა.

\*\*\*

ის უძებდა მას გელენჯიკში, გაგრაში, სოქში. სოქში ჩამოსვლის მეორე დღითი ზღვაში იხანავა, შემდეგ გაიპარსა, ჩაიცვა სუფთა თეთრული, ქათამთა კიტლი, თავისი საცტუმროს რესტორნის ტერასაზე ისაუზმა, დალია ერთი ბოთლი შამპანური, ყავა შარტუხით, აუქქარებლად მოსწია სიგარა, ნოჭერში რომ დაბრუნდა დივანზე დაწვა და ორი რეკლავიდან ერთდროულად დაიბალა ტყავა საუფელებში.

12 ნოემბერი, 1937 წელი

რუსულიდან თარგმნა  
ნატა ნაცვლიძემ



ზუსტად სამოცდათი წლის წინათ, 1939 წლის 23 აგვისტოს, მოსკოვში ხელმოწერულ იქნა თავდაუსხმელობის პაქტი საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის.

ქართულ პოლიტიკურ ფარგონზე რომ ვთქვათ, სტალინი და პიტლერი დაძაპრდნენ.

1938 წლის შემოდგომაზე ინგლის-საფრანგეთის გარიგებაში ნაცისტურ გერმანიასთან (მიუნხენში) დაარწმუნა სტალინი, რომ დასავლეთი უძიებდა პიტლერს აღმოსავლეთისაკენ - რუსეთის დასაპყრობად.

ახლოდებოდა მძინვარე ქარიშხალი და საბჭოთა კავშირს თავად უნდა ეზრუნა საკუთარ უსაფრთხოებაზე. ასე მომხდებოდა თავდაუსხმელობის პაქტი ნაცისტურ გერმანიასთან. თითქმის ყველაფერი წინასწარ გახლდათ გათვლილი და შეთანხმებული.

ერთადერთი, რამაც ხელშეწყობების ტექსტში მიიყვრო სტალინის ყურადღება, იყო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის იოახიმ რიბენტროპის მიერ შეტანილი პრეამბულა საბჭოეთ-გერმანიის მეგობრობაზე. სტალინმა შენიშნა, რომ ურთიერთშეურაცხყოფისა და ლანძღვის ექვს წელიწადს, აღბათ, უკიდოდ არ ჩაუვლია და იმის გაფიქრებაც კი სასაცილოა, რომ მათი ხალხები დაიჯერებინ - ყველაფერი მიტევებაში და დაეინებნა შთანთქო. სტალინის სიტყვით, საზოგადოებრივი აზრი რუსეთსა და გერმანიასთან თანდათანობით უნდა შეგვედგა ესოფერე მოუღმდნისა და გამაგონებელ გარდაქმნის.

თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერას მოჰყვა ბანკეტი, რომელიც დღევანდელ ვაგონებზე. რიბენტროპმა გათენიებისა და შეღწევის ენებზე განიხილა პიტლერისათვის თავისი მისიის სრული წარმატება.

როგორც გადმოვცემდეთ, იმ დღით პიტლერს თაველი არ მოუხუტავს. ელამიში დაიმწყვდელი მცვეითი აქეთ-იქით აწყდებოდა კედლებს თავისი ვილის პიანზე, ბერძნულადანნი. რიბენტროპის დუმული გაუძალადის ხდებოდა. პიტლერმა თავის გარემოცვას განუცხადა: თუკი რიბენტროპი ვერ მოავკარებს საქმეს, მოსკოვში მე თვითონ ვაეფრინდები.

მეორე დღეს ბერლინი დაბრუნებულ რიბენტროპს პიტლერი აღტაცებით შეეგება და „მეორე ბისმარკი“ უწოდდა.

წერაგონ იფიქრებს, თითქოსდა თავდაუსხმელობის პაქტი უფრო ხელსაწყო იყო პიტლერისათვის. მისი ერთგული მოკავშირე მუსოლინი სინანული აღნიშნავდა, რომ რუსეთმა გაცილებით მეტი მოიგო პოლიტიკისა და ბალტიისპირეთში, თანაც ერთი ვარსილის გარეშე.

„პერსტროიკის“ ტრეზიდენტები გმობენ მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეწყობას (ასე უწოდებენ შემოსხმეულ პაქტს) - სტალინმა და პიტლერმა აღმოსავლეთი ევროპა მძურა გაიყვესო, თუქცა კინებს არა ძრავენ მისზე, რომ ხუთი წლის შემდეგ ჩერჩილმა (რუხელის დოქტორ-კურთხევი) იმავ სტალინთან, ასევე მძურადა, გაიყო იგივე აღმოსავლეთი ევროპა [გაცილებით მეტი ქვეყნები].

გმობა გმობდა დარჩენი, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ თავის დროზე დასავლეთში შეიძინოდა მასელი გამოცემა სტალინის გამბედაობით, რომელმაც გადააბიჯა იდეოლოგიურ ტაბუს - სახელმწიფოს უსაფრთხოების გულსათვის.

„პერსტროიკის“ ტრეზიდენტები იმაზეც სძრბავენ სტალინს, რომ თავდაუსხმელობის პაქტის შემდეგ იგი ამზარებდა პიტლერს მარცვლულით, ნათობით, იძიებით ლითონე-

### რას აზრობს ყურის ბიბილი

ბით და ეხმარებოდა ნაცისტებს დაეგროვებინათ სტრატეგიული მარაგი, რაც საბჭოთა კავშირთან ომში გამოიყენეს, მაგრამ ავიწყდებათ, რომ საბჭოთა გერმანიისგან მოილო არა მარტო აუცილებელი მოწოდებებიანი მიმომრეწველობისათვის, არამედ - თანამედროვე სახმედრო სისტემებიც.

იმდროინდელი დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა, რომ გერმანიის სარდლობა უწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირისათვის სახმედრო მიმოდებებს, მაგრამ პიტლერი უკუღებულყოფდა სახმედროთა პროტესტს.

უწინსტონი წერჩილი თავდაუსხმელობის პაქტის შესახებ წერდა: „ის ფაქტი, რომ შესაძლებელი გახდა ამგვარი ხელშეკრულება, მოწმობს ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკისა და დიპლომატიის ჩავარდნის მიუღ სირმეს ბოლო წლებში. საბჭოთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობა იყო - დასავლეთისაკენ, რაც შეიძლებოდა შორს, გადაეწია გერმანიის არმიითა სანყისი პოზიციები, რათა კოლხურს მოეგოთ დრო და მოეკრიბათ ძალები თავიანთი კოლხურის იმპერიის ყოველი მხრიდან. მათ, ძალადობით ან მოტივებით, უნდა დაეკავებინათ ბალტიის სახელმწიფოები და პოლონეთის დედი ნაწილი, ვიდრე მათზე თავდასხმა მოხდებოდა. თუმცა მათი პოლიტიკა გულყოფად ანკარმიანი იყო, იმ მომენტში ფრჩად რეალისტურად გამოიყურებო“.

ახლა ისიც ვკითხობთ, თუ უფრო დაეყრება - XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწეს თუ „პერსტროიკის“ ტალღაზე ამოტოვებულ მჯღაზნებს, რომლებმაც უამრავი გესლი გადმოიხიბეს სტალინის მისამართით და, რა თქმა უნდა, თავდაუსხმელობის პაქტის დადებაც გაუგონარ ბოროტებად ჩაუვიკდეს.

მედი და პოროტება დაარქვი იმას, რომ ომმა გადაინია თითქმის ორი წლით!

რაც შეეხება საზღერებს, პოლიტიკაში აღტრუნიზმი ჯერ არავის სმენია. ეს უცხო ხილი მოკითხეთ თდენ პოლიფუდურ ფილმებში, უკეთილშობილეს ამერიკელთა სადიდებლად რომ თხზავენ, რათა კავშირობის მესხიერებიდან ამოშლონ პირსიშია, ვიეტნამი, ერაყი და... ვინ არის შემდეგი?

დღეს, როდესაც ევროპელი პირები (აღბათ, წერჩილივე მხსანათა კარნაბით) ერთ დაფაზე აყენებენ პიტლერსა და სტალინს, ავიწყდებათ, რომ დასავლეთის დემოკრატები, ინგლისისა და ამერიკის თამაბობით, სტალინთან ერთად იბრძოდნენ პიტლერის წინააღმდეგ და არა - პიტლერთან ერთად სტალინის წინააღმდეგ, ანუ, პოპულარული გამოთქმის მიხედვით, უმცირესი ბოროტება აზრობისის.

...სტალინიმ შემოვიგინა ერთი უკროზული ამბავიც, თავდაუსხმელობის პაქტს რომ უკავშირებდა.

თურმე ნაცისტური გერმანიის ფურჩიანმა რიბენტროპს მოსკოვში გააყოლა თავისი პირადი ფოტოგრაფი პოფმანი, რომელსაც საგანგებოდ ევალებოდა მსხვილი პლანიტი გადელ სტალინის ყურის ბიბლი, რადგანაც პიტლერის აზრით, თუკი ბიბილი მჭიდროდ ეკვრის თავის ქალას, მისი პატრონი ნაღდად ბერაგოდა და თუკი არ ეკვრის, მაშასადამე არიელი ყოფილიყო (როგორც ცნობილია, პიტლერი საბჭოთა კავშირს მიიწინააღმდეგებდა „პოლემევიკურ-დებაკურლ“ სახელმწიფოთ).

როდესაც პიტლერი დაბაკურდა ფოტოსურათებს, მისივე შევებით ამოისუნთქა. სტალინის ნარბატებით გაველო რასისტული ტესტი და „ქემმარტ არიელად“ იქნა შერაცხული.

ბრწყინვალე შვიდელი

მერე უხარი ნამალივი  
გვევლინება პატრიოტული ლირიკის უბადლო მხარე; სწავლი

საქართველოში, არცთუ იშვიათად, ქვეყნის ისტორიაც ლექსად იწერებოდა და მომდევნო ხანის შემხატინები ბევრიადა სესხულობდნენ ვარდასულ მოედანთან აღწერილობას საისტორიო მოქმედიდან. ასე მაგალითად, ლექსად არის შთიზხული ცხოვრებით თეიმურაზ პირველისა და გიორგი სააკაძისა - ჩვენი წარსულის, ალბათ, ყველაზე ბურთული ფრაგმენტები. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი, მირმთავებრივი კეთილი იმ ფასდაუდებელი საუნჯესა, რომლის პანაია ნაკუნებას, ეს ქალთუ წარმოაჩინან მისი სიდადევი და სიმდიდრე.

აი სრულქმნილი, თითქმისად არამინერი არსების მოვლენებით გამოწვეული კოცება და აღტაცება: „ნუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მზედი, არცა ღვინი ღვინად უნანს, არცა ჭირი ზღაპარი, ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი, სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც, ვითა ტრედი“.

საქართველოდან უცხო მთარეს სამუდამოდ გადახვენილი პოეტის ერთ სტროფში ჩაუტყდა თავისი შემოქმედებით მრწამსი, შთამომავლობისათვის გამაზნერი ანდერძისად რომ წააგებს: „მართალს ვიტყვი, შევიქნები ტყუილისა შიამში რად? ვერას უქებ საბავთლო, უფერულთა შირ-საფერად. მე, თუ გინდა, თავიც მომწინან, ტანი გახვს გასაპერად, ვინც არა ჰგავს კახაბერს, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

რად გაგივინებს უღიღამო და გულცივი გარემოს გამოისობით თავმოქმედებულ მეოცნებებსა და ქართლის ბედზე მადურებას ქვეყნობიერ ნაძილსა თუ წინააღმდეგობას. „ნუ დავიგნობო ჩენსა შამულში, ჩემთა წინააღმართ საფლავებს შორის; ნუ დამიტორის სატრომ ვეღლისა, ნუღა დამეცეს ცრელი მწუხარის, - შავი ყურანი გამთიხრის საფლავს მდგლითა შორის ტილის მიწფერის, - და ქართლხალა ძაღლთა შიენილთა ზარით, ღრიალით, შინას მომავარის!“

რამდენი სული ეული გამოიკრება ამ სიტყვებს შორეულსა თუ ახლი წარსულში, თავის სათქმელად ჩაივლიდა, მაგრამ თქმით ეს მოხალისე იმ ერთმა თქვა, ესავე განებდა ქუშირტიკა პოეტის სიბუნძელი.

ნეტავი რა დავამართებოდა „ხედიერი ერის“ ატტორის, ერთი საბუნძელი შედეგად რომ ეხილა თავისი სახმობილ? ალბათ, ხელმწიფორედ დაწერდა გულსაკლავ სიტყვებს: აჲ არვის - დიდსა, თუ პატარასა, - ქვეყნის ტიცილით არ სტკივა გული“.

და ტყუილანია დაუფერებნიერ ყოფნას: ჩვენს ცუდს არ მალავ, ეგ ნიცი ცხადი სიძულელი არისო! ვინ დაუჯერებს, რომ სამშობლოს სიყრდელი აღაპარაკებდა.

მოზაიკა

2009 წლის 31 ივლისს კიდევ ერთი საინტერესო და ლამაზი ლექსების კრებული გამოქვეყნდა. ავტორია ახალგაზრდა, ნიჭიერი პოეტი ირმა შილაშვილი, ეს მისი მეოთხე პოეტური კრებულია, რომელიც შესულია სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები.

ირმა შილაშვილის პირველი წიგნი „არსებული სიტყვა“ 1992 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა „მერანიში“. მეორე კრებული „მოლოდულო თალი“ დაკომპლექტებულია პოეტის რუსულ-ქართული ლექსებით, ბოლო მესამე გამოცემა „ცრემლის ნაღველი“.

შუბრტყავით თავად წიგნის ავტორს ირმა შილაშვილმა გახანა. მადლოვანი გამოხატვა შეურყენითავე: „დიდი მადლობა აქ მობრძანებნისთვის და იმისათვის, რომ ჩემი ახლად დაბადებული კორპუსის გამოსვლა გულთან ახლოს მიიტანეთ. წიგნს, როგორც დამიანას, ისე სტრუქტურა დალოცვა და სურნაღვება დიდი მადლობა, რომ თქვენთან გამხორციელებია დამხმარე“, იცვლ დასძინა: „სამ დიდში გერმანიაში მივეტარებინა და ეს საღამო მთლიან ძალიან ლამაზი გამოვიფიქრე, თქვენა და მეც დავერქვით ლამაზ მოგონებებს“.

ირმა შილაშვილი ამჟამად გერმანიაში მოღვაწეობს: „გერმანიაში ცხოვრებამ მას დიდი სტიმული მისცა, მისი ლექსები

რუს, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, სწავლი დაბრუნებულდარ, მკერდალად შემეგარეო!“

მილიონჯერ დასრულებული, უძედად გააცვიცილი და უნიჭო ენაბრძენით დაკინებული მოტივი ამაყად გაბზის მორავს და მიგანშობს, რომ მისი სათავე უფრო კიდევ შეურყენელია და ინარჩუნებს თავის პირველქმნილ უნაპოვებს.

აგერ, თვისტომთაგან გაუცხოებული და თავდაუზოგავად ამბოხებული სულის ექსტაზი: „გაჯაჯარდა ქეთთავადო, ფერი დაიღვა მგლისაო; ხელი გაიხვა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო“.

და იმავე კალმის ნაყოფი - სამაგალითო შემწინარებლობით გამსტკეპული ქება სათნოებისა: „იტრენ? შადლი გქინა, მე რა გამეც ვარ მაგისა? დიდას მუდამაც უხდება გლავა ვაგაკის ნიშნაო“.

და ბოლოს, გავიხსენოთ ის კაცი, ცოცხალი რომ გვიანავს თბლისის ქუჩებში. რამდენიც უნდა კონსერვტიურული ლექსი დაწერა მიზეზთა და მიზეზთა გამო, იოტოსოდანა ჩრდილი ვერ მიადაგება მის შემოქმედების უზარმაზარ სიხალისეს. და თუკი უღმრთული შორის თვალს დაუბუჭავს თავის დიქრეს და მის თვალში ბუნეს მიარერდება, აღიბიბით იფიქრებს ნებისმიერი მისი შედეგრი და ბედაურთა რემას ნინ გაუმტეება რწულებიდან ურწულესს, სადაც სუფევს სასონარკვევითებით შეპყრობილი იფუძალება, სიმფონის დარად მრავალთა მანათა და დამოუკიდებელი გათავისებთა შემეცველი, სანახევროდ ბუნდოვანი, სანახევროდ კამკამა და უსაზღვროდ ახლოვანი. „მხოლოდ ნისლის თარეში, სამუდამო მხარეში, ზეით თუ სამარეში, წყველი შენაწევრში, როგორც ზღვის ხედილი, როგორც მდის ტრიალი, ჩქარი გვიცინვა-გვარალი ქიან ლეჯად ცხენებში“.

ქართული პოეზიის საუნჯეაგან წემით დამინშებული სტრიქონების კითხვისას ნუებით მიანც ვგორდებდა ნუხილი „შობაზორენ ლერხანისა“, რომელიც ტოტალური უღბლობას ფხვებზე გაუქვემდებარებდა და ნეთ-ნეთად უფიანერებს უსწყო პოეტისტის როლს გაძაღლებული ცხოვრების დაწასამაგორული სატყუბლით, ნიღბთანთანა ვუნდს რომ გაეგმართავს. დროებით მიანც ვგორდებდა უკუღმართი ყოფიერების ხუნდებით და ლექსი გადაგვისრობს უწინარ სიყრდეს. განუტეებს, ტკივილს დავიამბებს, მეორეხარე ძალ-ღონესაც დაგბირუნებს და კიდევ ერთხელ დავაბრუნებებს, რომ ამოიდ როდი უთქვამს მაცხოვარს: „არა პურითა მიოლოდ...“

გასცდა რეკონსტრუქცი ფარგლებს და დაუახლოდა ევროპულ პოეზიასაც გამოინათა იმან, რომ მან ახლს გაცივნი ევროპული პოეზია“, - განაცხადა საღამოზე წიგნის რედაქტორმა მთხო მისულებლიმ და აღნიშნა: „ირმას სურფლი იყო ეს წიგნი მისი ერთ-ერთი რწული კრებული ყოფილიყო, მაგრამ მე ვთვლი, რომ ირმა ძალიან ახალგაზრდა იმისათვის, რომ რწული კრებული გამოსცეს“.

ირმა ჩემი ძველი მეგობარია, მისი ლექსები პირველად ინტერნეტ სივრცეში ვიხილე, გარემო ნებისმიერ ადამიანზე მოქმედებს და სწორედ აქ მიზეზითაც ასეთი ლამაზია მისი ლექსები, - გამოთქვა თავისი მოსაზრება გილა ალბანიშვილმა, ვისი მონაწილეობითა და გულისხმიერებით დაიბეჭდა ირმას პირველი წიგნი.

ირმა ჩემი უსაყვარლესი სტუდენტ იყო, რომელიც მე გრამატიკას უთხოვდა, თუმცა ვერა და ვერ შეეყვარე როგორც საგანი, იმდენად გამეფარე იყო მასში მისთვის სიყვარული. ამოქვეყნებო პოეზიის სიტყვის მესიკა, მეც ვთვლი, რომ ირმას ლექსების კითხვისას ლამაზ მესიკას უღმერ, - განაცხადა ირმას პედაგოგმა პროფესორმა გიორგი ცოცხანძემ.

# ახალი ათონის მამათა მონასტერი

ახალი ათონის მამათა – მართლმადიდებლური – მონასტერი დაარსდა 1875 წელს, წმ. პანტელეიმონის მონასტრის (რომელიც ათონზე მდებარეობს, საბერძნეთში) ბერების მიერ.

ათონის შიშის მონასტრის გაზრდილმა სამშობ რამდენიმე ბერი გამოუშვა კავკასიაში, რათა ადგილი შეერჩიათ ახალი მონასტრის ასაშენებლად, რომელშიც სამშის ნაწილი გადმოსახლდებოდა. ახალი მონასტრისთვის ადგილის ძიება შოლოდ სამშის გაზრდილი რაოდენობით არ აიხსნებოდა, ბერებს შიში ჰქონდათ, რომ თურქეთის იმპერიალისტები მოახლოებული რუსეთ-თურქეთის ომის დანაშაულებების შემთხვევაში, რუს ბერებს ათონის შიდიან განდევნიდნენ. მათ შეარჩიეს ფსორცხა და ნეოპნიზანტურ ყაიდაზე აგებული წმინდა სიმონ კანანელის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია.

მოულოდნელად, მოხდა ისე, რომ რუსი ბერები ათონის მთაზე დატოვდა ახალი ათონის მონასტრის მშენებლობამ თითქმის აზრი დაკარგა, თუმცა მშენებლობა მაინც არ შეწყვეტილა, ის კი არაა, უფრო გაფართოვდა და წმინდა სიმონ კანანელის ტაძარს "მიება". მონასტრის მშენებლობა 1884 წელს დაიწყო და 1896 წელს დაასრულეს. სამუშაო კოლხოსალური გახლდათ: მშენებლობისათვის საჭირო იყო ტონობით მიწის გამოტანა, რაც სპეციალურად შერჩეული ადგილიდან ხდებოდა. სანამ მშენებლობა დაიწყებოდა, ნატივარი მთის მოჭრილი იქნა. სამუშაო თითქმის წარმოუდგენელ პირობებში მიმდინარეობდა – საერთოდ არ არსებობდა მთამდე მოსასვლელი გზა, თუმცა ყველა სამშენებლო სამუშაო 12 წელში დასრულდა.

მშენებლობაში მონაწილეობა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემც მიიღო (წმირედ მისი საშუქარია დასავლეთ კორპუსის საშრკლო). მონასტრის ტერიტორიაზე რამდენიმე ტაძარია: ამაღლების ტაძარი, წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესია, ათონელ წმინდა მამათა ტაძარი, ივრინ ნამებულის და ლეთისმშობლის ტაძრები.

მონასტერი აშენდა სიმონ კანანელის ძველი ტაძრის მიმდებარე, სადაც ასევე დამარხულია წმინდანის ძველები. იქვე მღვიმე, სადაც, გადმოცემით, სიმონ კანანელი განმარტოებით ცხოვრობდა და ლოცულობდა. 1884 წელს ეს მღვიმე განათდა ხელეწინარე და შიგნით დაიდგა წმინდა ანდრია და წმინდა სიმონის ხატი. დღემდე ამ გამოქვაბულს ამ წმინდანთა სახელი ჰქვია.

1917 წლამდე ახალი ათონის მამათა მონასტერი მთავარ სასულიერო ცენტრად ითვლებოდა მთელ კავკასიაში, თუმცა 1924-ში კომუნისტებმა მონასტერი გააუქმეს და შიგ ფერ სამედიცინო ცენტრი გახსნეს, მერე ტურისტული ბაზა, შემდეგ კი მუზეუმი და წლების მანძილზე მღვდელთმსახურება არ მიმდინარეობდა იქ. ზღვის სიახლოვეს განლაგებული მონასტრის ტერიტორია დამთავლიერებლების დიდ რაოდენობას იზიდავდა წლების მანძილზე.

1990-იან წლებში მონასტერში მღვდელთმსახურება განაზღვდა. ომის შემდგომ წლებში კი ქართველი ბერებისაგან საერთოდ დაიკალა (გარკვეულწილად ამას ხელი შეუწყო კამანში ქართველი მღვდელმონაზონის ანდრია მოკლამაძე). წლების მანძილზე ახალი ათონის მამათა მონასტერი იმ ფორმას ინარჩუნებდა როგორც აშენდა, 2000 წლის შემდეგ კი რუსეთის საპატრიარქოს ხელდასხმით, აფხაზეთის მხარეში მის რეკონსტრუირებას მიჰყო ხელი. შეკეთდა შეღავლული მთავარი სამრეკლო და წამოწყებულ იქნა ექვსასამდე სენაკის მშენებლობა.

ამდენი ბერი არათუ მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ზოგადად აფხაზი ეროვნების მღვდელთმსახურიც კი არ არსებობს, სავარაუდოდ, ათონის მამათა მონასტრის რუსი მამაობი ისევე "გაფართოვდნენ", ან მასობრივი ბერად აღკვეცა მოსალოდნელი აფხაზ მოსახლეობაში, ანდა ქართველ მღვდელმსახურებს უშაადებენ სენაკებს...



ბ 126/300



სასალონო ნამუშევარი

საქართველოს მემკვიდრეობის

ISSN 1087-7777



9 7777 7777